პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (უოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

სამშაბათი, 11 ივნისი 1929 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 131 (2477)

დ ღ ი უ რ ი

— გაიხსნა საფრანგეთის რკინისგზელთა უნიტარული ფედერაციის კონგრესი.
— იუნგის სარეპარაციო გეგმის შინაარსი.
— საფრანგეთის მრეწველები ამერიკის ახალი საბაჟო ტარიფების წინააღმდეგ.
— რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიამ დაამტკიცა გერმანიის სამხედრო - საზღვაო ბიუჯეტი.
— ლვოვში გრძელდება ებრაელთა დარბევა.
— 25.000 ფეიქარისა და მელითონეს ლოკაუტი პოლონეთში.
— ჟილავის ციხეში (რუმინეთი) ერთი თვეა შიმშილობს ამხ. მ. პაუკერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, ივნისის 11-ს, მთავრობის სასახლეში
შესდგება
საქ. სსრ სახ. კომისართა საბჭოს მორიგი სხდომა
დასაწყისი საღამოს 7 საათზე
საქ. სსრ. სახკომსაბჭოს და ეკონომიური საბჭ. საქმ. მმართველი პრ. მეგრელიშვილი

მაკდონალდის „მეორედ მოსვლა“

მაკდონალდმა ისე შეარჩია მთავრობის შემადგენლობა, რომ ბურჟუაზიას მის კეთილ საიმედობაში არავითარი ეჭვი არ შეპაროდა; კაბინეტში შედიან უფრო მემარჯვენე რეფორმისტები, რომლებმაც მუშათა კლასის საქმის სისტემატიური გამცემლობით გაბატონებულ კლასის სრული ნდობა დაიმსახურეს. მაკდონალდი მოწოდებულია ემსახუროს ინგლისის კაპიტალს, მაგრამ უფრო მოხერხებულად, ვიდრე ამას შუბლმაგარნი ჩადიოდნენ. სწორედ ამაშია მისი არსებობის აზრი.

ინგლისი განიცდის ღრმა ეკონომიურ კრიზისს, რომლის ნიადაგზე მუშათა კლასში მემარცხენე განწყობილება ძლიერდება. ამავე დროს გამწვავებულია ამ ქვეყნის დამოკიდებულება მთელ რიგ სახელმწიფოებთან, პირველ რიგში ამერიკასა და საბჭოთა კავშირთან. „მუშათა მთავრობის მოვალეობას შეადგენს შექმნას ერთი მხრით ილიუზიები, თითქო ის ზრუნავს მშრომელ მასების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ამით მოადუნოს მათი რევოლიუციონური ნებისყოფა, და ხელი შეუწყოს ძალზე შერყეულ კაპიტალისტურ წყობილების განმტკიცებას, მეორე მხრით ის იძულებული შეიქნება ცრუ-პაციფისტურ ჟესტებს მიმართოს იქ, სადაც ინგლისის იმპერიალიზმი უძლურებას გრძნობს, ხოლო სადაც მას ძალა შესწევს მაკდონალდი მთლიანად გააგრძელებს ბოლდუინის ხაზს, უხეში ძალადობის პოლიტიკას. უკანასკნელი კერძოდ ეხება კოლონიებსა და ნახევრად კოლონიებს, „მისი უდიდებულესობის სოციალისტი“ მინისტრები სავსებით დგანან ბრიტანეთის იმპერიის „მთლიანობის“ სადარაჯოზე და ამ მიზნით ზარბაზნების ამეტყველების წინაშეც არ შეჩერდებიან. ამ მხრივ მაკდონალდის 1923—24 წლების „პრაქტიკა“ არავის დაუვიწყნია.

ინგლისის ბურჟუაზიას შეუძლია სავსებით დამშვიდებით გრძნობდეს თავს. გრძნობს კიდეც. ბანკირები აცხადებენ, რომ მათ არავითარი საფრთხე არ მოელის „მუშათა“ ხელისუფლებისაგან. ლონდონის ბირჟაზე სრული სიწყნარეა. თვით სააგიტაციო საარჩევნო პლატფორმაში, რომელიც „მუშათა“ პარტიამ არჩევნების წინ გამოაქვეყნა, არაფერია ნათქვამი მსხვილ კაპიტალის შევიწროვებაზე, ყველაფერი ეს ნათლად ახასიათებს „სოციალისტებს“. როგორც ბურჟუაზიის მსახურთ და აგენტებს.

მაკდონალდს სრულიად არ აქვს განზრახვა რაიმე სერიოზული ბრძოლა გამართოს ბურჟუაზიასთან. ის ხანგრძლივად აპირებს ხელისუფლების სათავეში დარჩენას, რომ არჩევნებმა ინგლისის ხალხი „კვლავ არ აღელვონ“, ეს კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ „მუშათა“ მთავრობა არსებითად კაპიტალის ნებისყოფას დაემორჩილება, ვინაიდან მას თემთა პალატაში აბსოლუტური უმრავლესობა არ გააჩნია. საპარლამენტო თამაშში გადამჭრელი სიტყვა ეკუთვნით ლიბერალებს, რომელთა პოზიცია გადასწყვეტს მაკდონალდის კაბინეტის ბედს. ასეთი მდგომარეობა მეტად ხელსაყრელია სოციალ-გამცემლებისათვის; ჩვენ რომ მეტი მანდატები გვქონდეს, ამას და ამას ვიზამდით,—ასე იწყებენ ისინი თავის მართლებას მასების წინაშე. მაგრამ საქმე მანდატების რიცხვი როდია, არამედ ის, რომ მაკდონალდები მთელი თავისი არსებით ბურჟუაზიული წყობილების ნიადაგზე დგანან.

ამიტომ და თემთა პალატაში შექმნილი ძალთა განწყობილების გამო, „მუშათა“ მთავრობა ლიბერალების კარნახით იმოქმედებს. არაფერს არ ნიშნავს, რომ მაკდონალდმა დამოუკიდებლად შეადგინა მთავრობა. მას არ შეეძლო ლოიდ-ჯორჯთან ოფიციალური კოალიცია განეხორციელებია, ვინაიდან ეს მუშათა მასების აღშფოთებას გამოიწვევდა, მაგრამ სინამდვილეში, ფარულად ეს კოალიცია ფაქტი იქნება.

ლიბერალები, ცხადია, თავის მდგომარეობას მაქსიმალურად გამოიყენებენ. ისინი „ზომიერებისაკენ“ მოუწოდებენ მაკდონალდს. სხვათა შორის ბურჟუაზიული პრესა აცხადებს, რომ „მაღაროებში 7 საათის სამუშაო დღის აღდგენის ყოველი ცდა კატასტროფას გამოიწვევს“-ო. როგორც ვიცით, კონსერვატორებმა იქ გააუქმეს 7 საათის სამუშაო დღე და 8 საათის სამუშაო დღე დააკანონეს. „მუშათა“ პარტიის საარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მუხლი ამ დარგში ძველი მდგომარეობის აღდგენაა და თუ აქ მაკდონალდმა უკან დაიხია, ეს იქნება მისი „პრესტიჟისათვის“ ლახვარის ჩაცემა. კაპიტალისტებისათვის მოსათმენი წვრილი სოციალური ღონისძიებებით, რა თქმა უნდა, დიდი ხნით არ შეიძლება მუშათა კლასის დაშოშმინება, და არც ისე გვიან საბოლოოდ გაშიშვლდება „მუშათა“ მთავრობის ნამდვილი სახე, რაც აუცილებლად დააჩქარებს ინგლისის პროლეტარიატის კლასობრივ გამოფხიზლებას.

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ „მუშათა“ მთავრობა იძულებული გახდება საგარეო პოლიტიკის ზოგიერთ საკითხში ერთგვარი „თავდაჭერილობა“ გამოიჩინოს. ეს პირველ ყოვლისა ითქმის საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებაზე, ზედმეტია იმის განმეორება, რომ მაკდონალდები ისეთივე მტრები არიან ჩვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფოსი, როგორც ჩემბერლენები, მაგრამ „მუშათა“ მთავრობა ვერ გაბედავს ისეთ აქტიურ ანტისაბჭოთა პოლიტიკის წარმოებას, როგორსაც შუბლმაგრები ატარებდნენ. არა მარტო მუშათა მასები, არამედ საქმიანი წრეებიც მოითხოვენ ჩვენთან ურთიერთობის განახლებას და ვაჭრობის მოწესრიგებას. მუშების გავლენა და ეკონომიური აუცილებლობა მაკდონალდს აიძულებენ ამ მხრივ ნაბიჯი გადადგას, მაგრამ ეს, რასაკვირველია, მას რაიმე „რევოლიუციონურ დამსახურებად“ ვერ ჩაეთვლება: ამ შემთხვევაში ის სავსებით გამომდინარეობს ინგლისის კაპიტალის ინტერესებიდან. ამასთან, თუ „მუშათა“ მთავრობა საერთოდ იძულებული გახდება ამ გზას დაადგეს, ის, ალბად, ამას დაურთავს ისეთ შენიშვნებს, რომელნიც ნათელს ყოფენ მის მტრულ განწყობილებას საბჭოთა კავშირთან.

რაც შეეხება ამერიკასთან დამოკიდებულებას, მტკიცება არ უნდა, რომ მაკდონალდის ძალღონეს აღემატება ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობათა დაძლევა. საგულისხმოა, რომ ვაშინგტონმა თავის საგარეო საქმეთა მინისტრის სტიმსონის პირით, თემთა პალატის არჩევნების შედეგების გამორკვევისთანავე, განაცხადა, რომ ამერიკას გადაწყვეტილი აქვს თავისი საზღვაო მშენებლობის პროგრამა მთლიანად შეასრულოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისმა ამ მხრივ ან კონკურენცია უნდა გაუწიოს მას, რომ ზღვებზე ბატონობა შეინარჩუნოს, ან და ხელი აიღოს ამ ჰეგემონიაზე და ამერიკის წინაშე იარაღი დაყაროს. მეტად საეჭვოა, რომ მაკდონალდმა ინგლისის იმპერიალიზმის შელახვაზე ხელი მოაწეროს, ან რაიმე მკვიდრ შეთანხმებას მიაღწიოს ამერიკასთან. მათ შორის ბრძოლა ბატონობისათვის კვლავ გაგრძელდება.

ამგვარად, მაკდონალდის „მეორედ მოსვლა“ ხელისუფლების სათავეში ახალ გაკვეთილებს მისცემს მუშათა მასებს. ამის მოლოდინში „დეილი ჰერალდ“ ამ თავითვე შეუდგა მასების საზოგადოებრივი აზრის „დამუშავებას“: იგი სწერს, რომ მუშათა პარტიის მთავრობა ძნელ ამოცანას კისრულობს და ყველაფრის გაკეთება მას ერთბაშად არ შეუძლიაო. გაზეთი მოუწოდებს მუშებს გამოიჩინონ მოთმინება და ლოიალობა და ჰპირდება, რომ ისინი მაკდონალდის მთავრობით გულგატეხილი არ დარჩებიან. მაგრამ მუშათა კლასის ასეთი დამშვიდება და დარიგება, უდავოა, ვერ გასჭრის. მაკდონალდის მთავრობის „მოღვაწეობა“ ინგლისის პროლეტარიატს თვალებს აუხელს და შეაგნებინებს, თუ რა მეთოდებით და ვისი ხელმძღვანელობით შეუძლია მას თავისი მიზნების მიღწევა.

„მემარცხენე“ და მემარჯვენე კომუნისტების ნამდვილი სახე

ბერლინის მუშების გმირული გამოსვლები მაისის დღეებში მეტად მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს მსოფლიო მუშათა კლასის რევოლიუციონური ბრძოლის გზაზე თავისი დიქტატურის დასამყარებლად.

მაისის დღეები ამტკიცებენ, რომ სწორია მსოფლიო მდგომარეობის ის ანალიზი, რომელიც მოგვცა კომინტერნის მე-6 კონგრესმა, ისინი ამტკიცებენ, რომ სწორია ახალი, მესამე პერიოდის ძირითადი მომენტების დახასიათება. მაისის დღეები ბერლინში მოწმობენ სოციალურ წინააღმდეგობათა გამწვავებას ომის შემდგომი დროის კაპიტალიზმის შიგნით, მუშათა კლასის გარევოლიუციონერებას და მის გამემარცხენებას. და მუშათა ამ უდიდესი მოძრაობის სათავეში სდგას ჩვენი კომპარტია.

ამასთან ერთად, მაისის დღეები განსაცვიფრებლად ნათლად ახასიათებენ სოციალ-დემოკრატიის სოციალ-ფაშისტურ რაობას. თავის თავად ცხადია, რომ ბერლინის პროლეტარიატის გამოსვლა მაისის დღეებში და მის მიერ საკუთარი უფლებების დაცვა ქუჩაში სოციალ-ფაშისტ ცერგიბელებისაგან გამოსავალი მომენტი გახდა ბურჟუაზიის და სოციალ-დემოკრატიის მხრით გაცოფებული დევნისა და ცილისწამებისათვის კომპარტიის წინააღმდეგ. ბურჟუაზიის და სოციალ-დემოკრატიის ამ საერთო კონცერტში სრულის უფლებით უნდა აღინიშნოს განსაკუთრებით „მემარცხენე“ კომუნისტების ხმები „ლენინბუნდთან“ და ბრანდლერის მომხრე მემარჯვენე ოპორტიუნისტებთან ერთად. საძაგელი და მდარე ხარისხის ცილისწამების კამპანიაში მონაწილეობის მიღებით მემარჯვენეები და „მემარცხენეები“ ობიექტურად ასრულებენ ბურჟუაზიის ნებაყოფლობითი ექსპერტების როლს კომუნისტური მოძრაობისა და „მოსკოვის გავლენის“ გამომაშკარავების საქმეში. „შინაპარტიული დემოკრატიის“ ეს პატენტიანი დამცველები მეტად კარგად ასრულებენ კომუნიზმზე და კომპარტიაზე ბურჟუაზიული სოციალ-დემოკრატიული საზოგადოებრიობის და სახელმწიფოს შეტევის როლს.

„მემარცხენე“ კომუნისტები (ტროცკისტები) თავიანთი „კომუნიზმის დროშა“-ს უკანასკნელ ნომერში, ამ „ორტოდოქსალურ მარქსისტ-ლენინელთა“ ორგანოში, როგორც გაზეთის სათაურში სწერია, თავიანთ შეფასებას აძლევენ მაისის ამბებს. დამახასიათებელია, რომ გერმანიის კომპარტიის წინააღმდეგ მიმართული წერილების ქვესათაური ასეთია: „ულტრა-მემარცხენე საყმაწვილო ავადმყოფობანი“. ეს „მემარცხენეები“ ფიქრობენ, რომ გერმანიის მუშათა კლასმა მაისის დღეებში გადამჭრელი მარცხი განიცადა. „გერმანიის კომპარტიის არა სწორმა ტაქტიკამ გამოიწვია მაისის დემონსტრაციაზე დამარცხება“-ო —სწერენ ისინი. მაისის დემონსტრაციების შედეგი იყო კომპარტიის სრული იზოლიაცია მუშათა კლასისაგან. იღებდნენ თუ არა მაისის ამბებში მონაწილეობას ბერლინის პროლეტარიატის ფართო ფენები? „მემარცხენეები“ მხარს უჭერენ სოციალ - დემოკრატიის და „ფორვერტსი“-ს საზიზღარ სიცრუეს და ამტკიცებენ, რომ „ბერლინის მუშების უდიდესი უმრავლესობა განზე იდგა 1 მაისის ბრძოლებისაგან“, რომ 1 მაისის დემონსტრაციებში მონაწილეობა არ მიუღია არც ერთ დიდ წარმოებასო. „წითელი ფრონტელების კავშირის აკრძალვამ სავსებით შეუმჩნევლად ჩაიარა გერმანიის მუშათა კლასისათვის“-ო; „მემარცხენეები“ აცხადებენ, რომ გერმანიის კომპარტია სრულებით არ წარმოადგენს გერმანიის პროლეტარიატის ბელადსო და ამით ისინი სოციალ-დემოკრატიას თითქოს აქეზებენ გააძლიერონ დევნა კომუნიზმის წინააღმდეგ. „მემარცხენეები“ ლაპარაკობენ „ბოროტმოქმედებზე, რომლებიც რაც შეიძლება მალე უნდა იქნან გაძევებულნი მუშათა მოძრაობიდან“.

ასეთია „მემარცხენე“, „ორთოდოქსალურ მარქსის-ლენინელ“ ტროცკისტების კონტრ-რევოლიუციონური სიტყვები და საქმეები. განა საჭიროა უფრო ნათლად დამამტკიცებელი საბუთები ამ ვაჟბატონების უაღრესად დაცემის და რენეგატობისა, განა საჭიროა ამაზე უფრო ნათელი საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი აშკარად, უშუალოდ გადავიდნენ ბურჟუაზიის მხარეზე, რომ ისინი აშკარად, უშუალო დახმარებას უწევენ ბურჟუაზიას კომუნიზმთან და კომინტერნთან ბრძოლაში.

როგორ აფასებენ მაისის ამბებს მემარჯვენეები—ბრანდლერის მომხრენი? ისინი თავიანთ სიტყვებში და დასკვნებში მაისის ამბების შესახებ სიტყვა-სიტყვით იმეორებენ „მემარცხენე“ ტროცკისტების დასკვნებს. თავიანთ ორგანოს —(„მიმდინარეობის წინააღმდეგ“) 19 ნომერში (11 მაისის თარიღით), რომელსაც სცემენ ტალჰეიმერი, ბრანდლერი და კომპანია, მემარჯვენე რენეგატები სწერენ, რომ „თუ ცერგიბელის პროვოკაციამ გასჭრა, თუ რევოლიუციონურმა მუშათა კლასმა სასტიკი მარცხი განიცადა პირველი მაისის დღეს, პასუხისმგებლობა ამისათვის ეკისრება პროლეტარიატის რევოლიუციონური პარტიის ხელმძღვანელებს, რომელმაც მეტად დიდი შეცდომები დაუშვეს და არა სწორი კურსი აირჩიეს“. კომპარტიამ „თავისი კლასის ნდობა დაჰკარგა“. „1 მაისი ბალანსს უკეთებს ულტრამემარცხენე პარტიულ კურსს, რომელიც მიიღო პროფინტერნის მე-4 კონგრესმა და კომინტერნის მე-6 მსოფლიო კონგრესმა“. შემცდარია კომპარტიის „ზოგად პოლიტიკური პროფკავშირული და შინაპარტიული კურსი“. „1 მაისის დემონსტრაციამ გამოამჟღავნა მუშათა კლასის ფართო მასების იზოლიაცია პარტიისაგან.

საჭირო არ არის შემდეგი ციტატების ამოწერა, ვინაიდან უკვე მოყვანილი ციტატები ადასტურებენ მემარჯვენეებისა და „მემარცხენეების“ პოზიციების გასაოცარ მსგავსებას. ერთნიც და მეორენიც ერთნაირად აფასებენ მაისის ამბებს, ულტრა-მემარცხენე ხენად, პუტჩათ სთვლიან მათ. ერთნიც და მეორენიც ლაპარაკობენ მუშათა კლასის უდიდესი დამარცხების შესახებ, რომელიც შედეგად მოჰყვა კომპარტიის არსებითად ყალბს პოლიტიკასა და ტაქტიკასო. ერთნიც და მეორენიც ლაპარაკობენ მუშათა კლასისაგან კომპარტიის სრული იზოლიაციის შესახებ. ერთნიც და მეორენიც სოც.-დემოკრატიასა და ბურჟუაზიას ბინძურ საქმეს უადვილებენ და ხელს უწყობენ მათ.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს პოზიციები სავსებით ემსგავსება სოციალ-დემოკრატიისა და მსოფლიო მენშევიზმის პოზიციას. ტყუილად კი არა ხდება, რომ „თვით“ დანი „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ“-ის უკანასკნელ ნომერში (25 მაისი) 1 მაისის ამბების შეფასების დროს დიდის თანაგრძნობით ემყარება იმ დახასიათებას, რომელიც მოგვცეს მემარჯვენეებმა და „მემარცხენეებმა“. დანიც სიტყვა-სიტყვით იმასვე ლაპარაკობს „კომპარტიის განადგურების“, სრული იზოლიაციის შესახებ და სხვ.

მაისის სისხლიანმა ამბებმა ნიღაბი ჩამოგლიჯა ყველას და მუშათა კლასის წინაშე მთელი თავისი საზიზღარი სიშიშვლით გამოიჭიმენ იმ პოლიტიკური ბანკროტების სხვადასხვა ჯგუფები, რომლებიც თავის თავს უწოდებენ „ოპოზიციას“, „მემარცხენე“ ან მემარჯვენე „კომუნისტებს“. მათ თავი იჩინეს როგორც გაუსწორებელმა რენეგატებმა, როგორც ბურჟუაზიისა და სოციალ-დემოკრატიის უშუალო თანაშემწეებმა კომუნიზმისა და კომპარტიის მტრობაში. მემარჯვენეებსა და „მემარცხენეებს“ შორის საზღვარი წაიშალა. სოციალ-დემოკრატიასთან ერთად მემარჯვენეებმა და „მემარცხენეებმა“ დაამტკიცეს, რომ ისინი წინანდელი კომუნიზმის მტრები არიან.

კრუმკინი.

მოსკოვი,
(გადმოცემულია ტელეგრაფით)

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის აღდგენის მოლოდინში

„მანჩესტერ გარდიენ“-ის ცნობით ინგლისის ელჩად მოსკოვში დანიშნულ იქნება ლორდი ოლივერი

გაიხსნა გერმანიის კომპარტიის ყრილობა--ამხ. ტელმანი ყრილობის ამოცანების შესახებ

ინგლის-საბჭ. ურთიერთობის აღდგენის მოლოდინში

ლორდ ოლივერს ნიშნავენ პირველ ელჩად მოსკოვში

ლონდონი, 9 ივნისი. „მანჩესტერ გარდიენ“-ის ლონდონელი კორესპონდენტის ცნობით, ინდოეთის საქმეთა მინისტრი მაკდონალდის წინანდელ კაბინეტში (ლორდ ოლივერი) იმიტომ არ არის შეყვანილი კაბინეტის შემადგენლობაში, რომ მას ნიშნავენ პირველ ელჩად მოსკოვში, როცა აღდგენილი იქნება დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

„ეს მოხდება მთავრობის მოქმედების დაწყებისთანავე“,—აცხადებს კორესპონდენტი. (ადს).

გერმანიის კომპარტიის ყრილობა

ყრილობის გახსნა

ბერლინი, 9 ივნისი. 9 ივნისს ბერლინის გარეუბანში, ვედინგში, გაიხსნა გერმანიის კომპარტიის მე-12 ყრილობა. სხდომა გაიხსნა პიკის სიტყვით. ყრილობამ აირჩია პრეზიდიუმი, რომელშიაც შედიან: **ტელმანი, რემელე, მეიერტი, პიკი** და სხვანი. საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: **სტალინი, მოლოტოვი, კუუსინენი, ლოზოვსკი, მანუილსკი, ტერაჩინი, მარტი, დობროჯანუ, სტოიანოვი, პასინი, მარგინი, რაკოში**, და ბომბეის ფეიქართა საგაფიცვო კომიტეტი.

დღის წესრიგი: ამხ. **ტელმანის** მოხსენება პოლიტიკური მდგომარეობის და პარტიის ამოცანების შესახებ, **ხეიხის** მოხსენება კომკავშირის მუშაობის შესახებ, **ხვერლოხის** მოხსენება მშრომელ ქალთა შორის მუშაობის შესახებ, **რემელეს** მოხსენება შემდეგ თემაზე: „იმპერიალისტური ომი, საბჭოთა კავშირის დაცვა და სოციალ-დემოკრატების სამხედრო პროგრამა“, **მეიერტის** მოხსენება ეკონომიური ბრძოლის შესახებ, კომისიების მოხსენებანი და არჩევნები.

კომისიების არჩევის შემდეგ ყრილობამ მოისმინა საზღვარ-გარეთის ძმური პარტიების წარმომადგენელთა მისალმებანი. ყრილობას მიესალმნენ: **ბიტნერი** (პოლონეთი), **ბეკი** (ბელგია), **ბლასკი** (იტალია), **შიულერი** (ავსტრია), ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის წარმომადგენელი და სხ. ბევრმა ძმურმა პარტიამ გაგზავნა მისასალმებელი დეპეშა. ყრილობას მიესალმნენ აგრეთვე სხვადასხვა ქალაქის საწარმოთა მუშების წარმომადგენლნი: ჰამბურგის გემთმშენებელი მუშების, შტეტინის ნავთსადგურის მუშების და სილეზიის ლოკაუტგამოცხადებული ფეიქრების წარმომადგენლები. გარდა ამისა, მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს „სამხედრო სპარტაკ“-ის კავშირის და რემშეიდის წარმომადგენლებმა.

ყრილობა კმაყოფილებით შეხვდა საქსონიის უმუშევართა კომიტეტის წარმომადგენლის სოციალ-დემოკრატის განცხადებას, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ მხოლოდ კომპარტია იბრძვის უმუშევართა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

შემდეგ წაკითხულ იქნა საწარმოთა, პარტორგანოების და პოლიტიკური პატიმრების მისასალმებელი დეპეშები.

ყრილობამ ერთხმად დაადგინა—გაუგზავნოს მისასალმებელი დეპეშები კომინტერნის აღმასკომს, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას, პროფინტერნს, ბულგარეთის გაფიცულ მეთამბაქოე მუშებს, ბომბეის საგაფიცვო კომიტეტს და მარგის, რომელიც, ამნისტიის მიუხედავად, საპყრობილეში ზის.

დილით ყრილობამ კოლექტიურად ინახულა ფრიდრიხსფელდში დალუპულ რევოლიუციონერების საფლავები და გვირგვინებით შეამკო ეს საფლავები.

10 ივნისს მოსმენილ იქნება **ტელმანის, ხეიხის, ოვერლოხის** მოხსენებები და გაიმართება კამათი ამ მოხსენებათა ირგვლივ.

ამხ. ტელმანის წერილი

ბერლინი, 9 ივნისი. გერმანიის კომპარტიის ყრილობის გახსნის გამო, კომუნისტური პრესა აქვეყნებს ტელმანის წერილს, რომელშიაც ნათქვამია:

„პარტიის მე-12 ყრილობა იკრიბება იმ დროს, როდესაც კლასთა ბრძოლა გერმანიაში თანდათან მწვავდება. ყრილობის გადაწყვეტილებანი და პოლიტიკური ხაზი უეჭველად დამყარებული იქნება პარტიის პრაქტიკულ პოლიტიკაზე, რომელსაც იგი ანხორციელებდა კომინტერნის მე-6 კონგრესის დროიდან. კომინტერნის მე-6 კონგრესის მიერ მიღებულმა სტრატეგიულმა ხაზმა, რომელიც მიმართულია ტრესტებში გაერთიანებული კაპიტალის და სოც.-ფაშიზმის წინააღმდეგ, კლასობრივი ბრძოლა გერმანიაში მიიყვანა ახალ მდგომარეობამდე. ამ ბრძოლაში მოპოვებული მთელი გამოცდილება ყრილობამ და პარტიამ უნდა გამოიყენონ დაშვებულ შეცდომათა აღმოფხვრის პოლიტიკის განსახორციელებლად“.

დემონსტრაცია კომპარტიის ყრილობის გახსნის გამო

ბერლინი, 9 ივნისი. გერმანიის კომპარტიის ყრილობის გახსნის გამო ბერლინის სასპორტო სასახლეში გაიმართა მიტინგი, რომელიც რევოლიუციონურ მუშებს და კომპარტიის შორის მჭიდრო კავშირის დემონსტრაციად გადაიქცა.

სასპორტო სასახლის დარბაზი, რომელიც 20.000 კაცს იტევს, სავსე იყო. მიტინგს წინ უსწრებდა კომპარტიის ბერლინის ორგანიზაციების, კომკავშირის ორგანიზაციების და არაპარტიული ორგანიზაციების მსვლელობა მწყობრი რიგებით. რაზმები ქალაქის ყველა მხრიდან მიდიოდნენ სასპორტო სასახლისაკენ და თან მიჰქონდათ დროშები და პლაკატები ლოზუნგებით: „ძირს წითელ ფრონტელთა კავშირის აკრძალვა“, „ძირს მუშათა სოციალ-დემოკრატი მკვლელები“, „უყვლანი კომპარტიის რიგებში“, „უყვლანი პროფკავშირთა რევოლიუციონური ფრთის რიგებში“.

მთელ ქალაქში, განსაკუთრებით მუშათა უბნებში გაიმართა მუშათა კოლონების მსვლელობა. ეს იყო პირველი დემონსტრაცია, რომელიც გაიმართა დემონსტრაციების აკრძალვის შემდეგ, დემონსტრაციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

პოლიცია არა ერთხელ შეეცადა შეჭრილიყო დემონსტრანტების რიგებში. მან დააპატიმრა 126 კაცი.

გრანდიოზული მიტინგი სასპორტო დარბაზში კომპარტიის ბერლინის ორგანიზაციის სახელით გახსნა პიკმა, რომელმაც წინადადება მისცა დამსწრეთ — ფეხზე ადგომით პატივი ეცად მაისის ამბების მსხვერპლთა, აგრეთვე ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის ბელადის ლევინეს ხსოვნისათვის (ლევინე ათი წლის წინედ მოჰკლეს).

გერმანიის კომპარტიის სახელით გამოვიდა გეკერტი. მან განაცხადა, რომ პარტიული ყრილობის ადგილის გადატანას დრეზდენიდან ბერლინში, სახელდობრ ვედინგში, უდიდესი სიმბოლიური მნიშვნელობა აქვს, რაც მოწმობს გერმანიის კომპარტიისა და ბერლინის მებრძოლ პროლეტარიატის მჭიდრო კავშირს. გეკერტმა ხაზი გაუსვა, რომ გერმანიის კომპარტიის ყრილობაზე წარმოდგენილნი არ არიან არც მინისტრები, არც პოლიციის უფროსები, არც ქალაქის მრჩევლები, როგორც ამას ადგილი აქვს სოციალ - დემოკრატების ყრილობაზე. კომპარტიის ყრილობაზე დელეგატებად არიან საწარმოთა მუშები, მშრომელ ქალთა და მშრომელი ახალგაზრდობის წარმომადგენელნი. (ადს)

ამერიკა საბჭ. კავშირის ურთიერთობა

ფორდი პასუხს გაურბის

ნიუ-იორკი, 9 ივნისი. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ფორდმა საბჭოთა კავშირთან დადებულ ხელშეკრულების შესახებ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს პირველ ყოვლისა ესაჭიროება საკუთარი მრეწველობის განვითარებაო. რაც შეეხება შეერთებულ შტატების მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხს, ამაზე ფორდმა არაფერი უპასუხა (ადს).

„ნიუ-იორკ ტელეგრამ“-ი საბჭოთა კავშირის შესახებ

ნიუ-იორკი, 9 ივნისი. „ნიუ-იორკ ტელეგრამ“-ი (რომელიც წინად საბჭოთა კავშირის ცნობის წინააღმდეგი იყო) ეხება შეერთებული შტატების პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ და სწერს:

„ერთ მშვენიერ დღეს სახელმწიფო დეპარტამენტი გამოიღვიძებს და აღმოაჩენს ქვეყანას, რომელიც სივრცით სამჯერ დიდია შეერთებულ შტატებზე და რომლის მოსახლეობაც 150 მილ. კაცს აღემატება. ამ ქვეყანას სურს შეიძინოს ამერიკული საქონელი. ჯერჯერობით ამერიკის დიპლომატები ფიქრობენ, რომ შელოცვის საშუალებით შეიძლება ისეთი მდგომარეობის შექმნა, თითქოს ახალი რუსეთი არ არსებობს, ხოლო წინანდელი რუსეთი ჯერ კიდევ ცოცხალია. ეს მითი მხოლოდ სახელმწიფო დეპარტამენტს სწამს. საქმიანი ხალხი კი ცდილობს ისარგებლოს საბჭოთა ბაზრით და ჰგზავნის დელეგაციას საბჭოთა კავშირში“. (ადს).

25.000 მუშის ლოკაუტი

ვარშავა, 9 ივნისი. პროფკავშირთა ორგანიზაციები არ დასთანხმდნენ ზემო-სილეზიის ბელსკის რაიონის საფეიქრო და ლითონის მრეწველობის პატრონთა წინადადებაზე სამუშაო ხელფასის შემცირების შესახებ. ამის გამო მრეწველებმა დაადგინეს 15 ივნისიდან ლოკაუტი გამოაცხადონ — 25.000 მუშას (ადს).

დაუესის გეგმის მაგიერ--იუნგის გეგმა

იუნგის გეგმის შინაარსი

პარიზი, 9 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„ექსპერტთა კომისიის მოხსენება (რეპარაციების შესახებ) განსაზღვრავს იმ სარეპარაციო თანხის რაოდენობას, რომელიც გერმანიამ 59 წლის განმავლობაში უნდა გადაიხადოს. ის თანხა, რომელიც გადახდილ უნდა იქნას პირველი 37 წლის განმავლობაში, წლიურად უდრის 1.988.800.000 მარკას. ეს თანხა აუნაზღაურებს კრედიტორ სახელმწიფოებს ომის მიერ მიყენებულ ზარალს და გაისტუმრებს იმ ვალებს, რომელიც მოკავშირეებს ერთმანეთისა მართებთ: ამაში არ შედის ის თანხა, რომელიც საჭიროა გერმანიის მიერ დაუესის გეგმით მიღებული სესხების დასაფარავად, აგრეთვე გერმანიის ოკუპაციის დროს ბელგიაში გამოშვებული ქაღალდის მარკების ასანაზღაურებლად.

რაც შეეხება უკანასკნელ 22 წელიწადს, გერმანიას ევალება ამ დროს განმავლობაში უზრუნველჰყოს კრედიტორ - სახელმწიფოების ის ვალი, რომელიც ამ უკანასკნელმა ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატებს უნდა გადაუხადონ. გარდა ამისა, გერმანიას ევალება 15 წლის განმავლობაში გადაიხადოს 40.800.000 მარკა, რომ აუნაზღაუროს ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატებს ის ფული, რომელიც შტატების მთავრობამ ომის გამო დაზარალებულ თავის მოქალაქეებს გადაუხადა.

მოკავშირეთა ურთიერთ ვალების ყოველგვარ შემცირებას მოჰყვება გერმანიის მეორე პერიოდის (22 წლის) გადასახადის შემცირება. თუ პირველი (37 წლის) პერიოდის განმავლობაში შემცირდება მოკავშირეთა ვალები, ამ თანხის ორი მესამედით შემცირდება გერმანიის გადასახადი, ხოლო ერთი მესამედი დარჩებათ კრედიტორ-სახელმწიფოებს იმ პირობით, რომ მათ ხსენებული მესამედის 33 პროცენტი საერთაშორისო საანგარიშო ბანკში შეიტანონ. ამ შეტანილი თანხის კაპიტალიზაციას მოჰყვება გერმანიის გადასახადების შემცირება, იუნგის გეგმის მოქმედების უკანასკნელ წლებში.

სარეპარაციო გადასახადებისათვის საჭირო სახსრები გერმანიამ უნდა გადაიხადოს რკინის გზებისა და საერთო საბიუჯეტო შემოსავლიდან. მტკიცედ დადგენილი ნაწილი გერმანიამ უცხო ვალიუტით უნდა შეიტანოს.

რაც შეეხება ნატურალურ გადასახადებს, მათი რაოდენობა ჯერ 750 მილ. მარკით განისაზღვრება, შემდეგ 10 წლის განმავლობაში კი ეს ჯამი 300 მილ. მარკამდე შემცირდება.

გერმანია გადასახადებს შეიტანს საერთაშორისო საანგარიშო ბანკში, რომელიც შემდეგ ამ გადასახადებს დაანაწილებს, აგრეთვე გამოუშვებს სესხებს, რომლებიც დაიფარება გადასახადების მტკიცე ნაწილიდან, მოაწესრიგებს და განაწილებს ნატურალურ გადასახადებს.

მორატორიუმის შემთხვევებში ბანკი შეამსუბუქებს მის შედეგებს. ბანკი უდიდეს როლს შეასრულებს კაპიტალის საერთაშორისო გადაჯგუფების საქმეში. ბანკის ძირითადი კაპიტალი განისაზღვრულია 100 მილ. დოლარით. ბანკის საბჭო შესდგება შვიდი სახელმწიფოს (ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, იტალიის, იაპონიის, გერმანიის და ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების) საემისიო ბანკების გამგეებისაგან. გარდა ამისა, საბჭოში შევლენ ცხრა სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელი.

ახალი სარეპარაციო გეგმა ძალაში შევა 1929 წლის 1-ლ ოქტომბრიდან. ახალი გეგმა არ ითვალისწინებს საოკუპაციო ჯარის შესანახი ხარჯების დაფარვას. (ადს).

საფრანგეთის რკინისგზელთა უნიტარული ფედერაციის კონგრესი

პარიზი, 9 ივნისი. რკინისგზელთა უნიტარული ფედერაციის მე-12 კონგრესის გახსნას დაესწრნენ 399 კავშირის დელეგატები. ამ კავშირებში გაერთიანებულია 87.367 მუშა. უნიტარულ ფედერაციაში გაერთიანებულ მუშათა საერთო რიცხვი კი 95.154-ს უდრის. (რკინისგზელთა რეფორმისტულ ფედერაციაში გაერთიანებულია 60.000 კაცი).

კონგრესმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია პარიზის ფოსტის იმ მოსამსახურეებთან სოლიდარობისა, რომლებიც ხელფასის გადიდებას მოითხოვენ და რომელთაც ერთი დღის გაფიცვა ჩაატარეს. მანვე მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია კაპიტალისტური შეტევის, მთავრობის ტერორის (კერძოდ, მარტის საქმის შესახებ) და იმ დევნის წინააღმდეგ, რომელსაც განიცდის კუტეილი (კომკავშირელი, რომელიც სამხედრო სამსახურში გაიწვიეს).

ერთხმად მიღებულ იქნა ბერლინის პროლეტარიატისათვის გასაგზავნი (პირველი მაისის დღეების გამო) რეზოლიუცია, აგრეთვე რეზოლიუცია პროტესტისა იმის წინააღმდეგ, რომ საფრანგეთის მთავრობამ საფრანგეთში შესვლის ნება არ მისცა საბჭოთა იმ რკინისგზელებს, რომლებიც კონგრესზე იყვნენ მოწვეულნი.

გაცხოველებული კამათი გაიმართა იმ მოხსენების გამო, რომელიც ფედერაციის მუშაობას შეეხებოდა. კონგრესმა განახორციელა სერიოზული საქმიანი თვითკრიტიკა, რაც ყველაზე სრულად გამოიხატა მონმუსოს (შრომის უნიტარული კონფედერაციის გენერალური მდივანი) სიტყვაში. მონმუსო შეეხო რეფორმისტულ გადახრას ფედერაციის ბიუროში. (ადს).

ბრძოლა მარგანეცზე ბაჟის გადიდებისათვის

ნიუ-იორკი, 9 ივნისი. ლითონის ჩამომსხმელი მრეწველობის წარმომადგენლები სასტიკად ილაშქრებენ ადგილობრივი მარგანეცის მრეწველთა იმ წინადადების წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს მარგანეცის შემოსატანი ბაჟის გადიდებას 50 პროცენტით.

მარგანეცის წარმოება შეერთებულ შტატებში უმნიშვნელოა. მარგანეცის დიდი ნაწილი შემოდის საბჭოთა კავშირიდან და ბრაზილიიდან. (ადს).

ფრანგი მრეწველები ამერიკის საბაჟო ტარიფების წინააღმდეგ

პარიზი, 9 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„საფრანგეთის ყველა სამრეწველო გაერთიანებამ საერთო სხდომაზე მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს, რომ საფრანგეთის მთავრობამ, ევროპის სხვა სახელმწიფოების მთავრობებთან ერთად, განიხილოს საკითხი ამერიკის დღევანდელი საბაჟო ტარიფების წინააღმდეგ გამოსვლის შესახებ“ (ადს).

პოლონეთში გრძელდება რბევა

მოუწოდებენ რბევისაკენ

ვარშავა, 9 ივნისი. ვილნოს მონარქისტების ორგანო „სლოვო“ მოითხოვს ბელორუსთა მუშურ-გლეხური კლუბის დარბევას. „სლოვო სწერს, რომ ბელორუსთა მუშურ-გლეხური კლუბი „წარმოადგენს ბელორუსთა გრომადის გაგრძელებას“-ო. (ადს).

ლვოვში

ვარშავა, 9 ივნისი. ლვოვში მდგომარეობა იმდენად სერიოზულია, რომ 7 ივნისს იქ აეროპლანით გაემგზავრა შინაგან საქმეთა მინისტრი სკლადკოვსკი. მისი ლვოვში ჩასვლის შემდეგ იქ გაიმართა სტუდენტთა ორი დემონსტრაცია 3.000 კაცის მონაწილეობით. პოლიციამ დემონსტრაცია გაფანტა. შეტაკების დროს დაშავდა 20 დემონსტრანტი და 5 პოლიციელი (ადს).

სროლა

ვარშავა, 9 ივნისი. 8 ივნისს ღამით ვარშავის ქუჩებში პოლონეთის სოციალისტური პარტიის რაზმელებსა და იავოროვსკის მომხრეებს შორის ასტყდა სროლა. მძიმედ დაიჭრა სამი კაცი (ადს).

ბულგარეთის მეთამბაქოეთა გაფიცვა ფართოვდება

ვენა, 9 ივნისი. ბულგარეთის მეთამბაქოეთა გაფიცვა თანდათან ფართოვდება. გაფიცვას შეუერთდნენ სოფიის, დუბნიცის, კიუსტენდილის და კირჯალის მრავალი თამბაქოს საწარმოს მუშები, რომლებიც აქამდე მუშაობას განაგრძობდნენ.

დამქირავებლებმა მოლაპარაკება დაიწყეს ადგილობრივ რეფორმისტულ კავშირებთან, რომლებსაც ჰპირდებიან მომატებას 10—15 პროცენტით; ისინი ფიქრობენ—რეფორმისტების დახმარებით ჩაშალონ გაფიცვა, მაგრამ მათი ცდები უშედეგოდ თავდება, რადგან გაფიცულები გადაჭრით მოითხოვენ მომატებას 30—50 პროცენტით.

გაფიცულთა საერთო რიცხვი 3.000 კაცამდე ავიდა (ადს).

კომკავშირელ კუტეილის დევნა

30 დღე კარცერში

პარიზი, 9 ივნისი. მუშათა წრეებში დიდ აღშფოთებას იწვევს ჯარისკაცის კუტეილის საქმე. მუშა-კომკავშირელი კუტეილი გაიწვიეს ჯარში, სადაც მას პირველი დღიდანვე დევნა დაუწყო პოლკის უფროსმა. ხოლო როცა კუტეილმა განაცხადა, რომ კარტოფილი, რომელსაც ჯარისკაცებს აძლევენ, ცუდი ხარისხისააო, იგი დააპატიმრეს 60 დღით. აქედან 30 დღე მას კარცერში უნდა გაეტარებია.

„ლიუმანიტე“-ს და კომკავშირის ორგანოს „ავანგარდ“-ის ფურცლებზე კუტეილის დასაცავად დაწყებულ კამპანიას მოჰყვა ის, რომ კუტეილს კარცერში ყოფნის ვადა 15 დღით გაუდიდეს. დაპატიმრების მთელი ვადის დამთავრების შემდეგ კუტეილი საჯარიმო ბათალიონში გაიგზავნა.

კომპარტია და კომკავშირი ენერგიულ კამპანიას ეწევიან კუტეილის განთავისუფლების სასარგებლოდ. კაშენმა დეპუტატთა პალატაში კუტეილის საქმის გამო შეკითხვა შეიტანა (ადს).

შვეციის პარლამენტის კომფრაქციის შეკითხვა

სტოკჰოლმი, 9 ივნისი. შვეციის პარლამენტში კომფრაქციამ შეიტანა შეკითხვა. კომფრაქციამ იკითხა — მოჰყვება თუ არა რაიმე შედეგი ფინანსთა მინისტრისადმი პარლამენტის მიერ გამოტანილ უნდობლობის ვოტუმს და მოხდება თუ არა რაიმე ცვლილება მთავრობის შემადგენლობაში. კომფრაქციამ ამხილა ორპირი პოლიტიკა სოციალ-დემოკრატებისა, რომელთა დუმილისა და ფარული თანხმობის მეოხებით მთავრობა ძალაუფლების სათავეში რჩება.

პრესას დაწვრილებით მოჰყავს შეკითხვის ეს ნაწილი და აღნიშნავს, რომ კომუნისტები ბატონობენ პარლამენტში იმდენად, რამდენადაც ისინი თავიანთი მოქმედებით ზეგავლენას ახდენენ ოპოზიციაზე, რომ მან გადასდგას ისეთი ნაბიჯები, რომლებსაც იგი თვითონ არასოდეს არ გადასდგამდა.

შენიშვნა: პარლამენტმა 2 ივნისს უნდობლობა გამოუცხადა ფინანსთა მინისტრს ვოლინს შეუფერებელი როლისათვის სასოფლო - სამეურნეო ბანკის საკითხში. კონსერვატიულ მთავრობას უნდოდა ეს ბანკი კერძო ბანკების ჯგუფისათვის მიეყიდა. (ადს).

განაჩენის „დასაბუთება“

ვარშავა, 9 ივნისი. ვარშავის სააპელაციო სასამართლომ გამოაქვეყნა იმ განაჩენის დასაბუთება, რომლის თანახმადაც საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელზე (ვარშავაში) ლიზარევზე თავდასხმის მომწყობს, თეთრგვარდიელ ემიგრანტს ვოიცეხოვსკის სასჯელი შეუმცირდა 10 წლიდან 5 წლამდე. ყველაზე უფრო დამახასიათებელია ის, რომ სააპელაციო სასამართლომ სავსებით მხარი დაუჭირა ბრალდებულის, დამცველებისა და თეთრგვარდიელთა პრესის თეზისს, რომლის თანახმადაც „ვოიცეხოვსკის პოლონეთის ტერიტორიაზე სდევნიდნენ ბოლშევიკების აგენტები“. (ადს).

ამხ. პაუკერის სიმშილობა

შიმშილობა ერთი თვის განმავლობაში

ვენა, 9 ივნისი. 4 ივნისს შესრულდა ერთი თვე, რაც ჟილავის საპყრობილეში რუმინელმა კომუნისტმა მარჩელ პაუკერმა შიმშილობა გამოაცხადა. პაუკერი სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს. იგი ძალზე დასუსტებულია, მაგრამ მაინც განაგრძობს შიმშილობას. ცდილობენ მის ხელოვნურად გამოკვებას. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

კონსერვატორები მაკდონალდის მთავრობის შესახებ

ლონდონი, 10 ივნისი. კონსერვატორთა ყოველკვირეული გაზეთის „ობსერვერ“-ის რედაქტორი გარვინი სპეციალურ წერილს უძღვნის მაკდონალდის მთავრობის მოღვაწეობის პერსპექტივებს. გარვინი ჩამოსთვლის სხვადასხვა საფრთხეს, რომელთა წინაშე მაკდონალდის კაბინეტი სდგას, და ამბობს: უმთავრეს საფრთხეს მაკდონალდისათვის შემდეგი საკითხები შეიცავენ: ჯერ-ერთი, ლიბერალებთან დამოკიდებულება, მეორე—საბჭოთა კავშირის საკითხი, მესამე—ინდოეთის საკითხი და მეოთხე—მდგომარეობა ნახშირის მრეწველობაში. საბჭოთა კავშირის შესახებ გარვინი ამბობს: „ამ საკითხის გადაჭრა შეერთებულ შტატებთან ერთად რომ შეიძლებოდეს (რაც არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლება შეუძლებლად), ბოლოსა და ბოლოს, ეს იქნებოდა დიდი მიღწევა“. (ადს).

ჰენდერსონი ინგლის - საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

ლონდონი, 10 ივნისი. მუშათა პარტიის ორგანოში „დეილი ჰერალდ“ დაბეჭდილია ინტერვიუ გარეშე საქმეთა ახალ მინისტრ ჰენდერსონთან, რომელმაც ინგლის - საბჭოთა ურთიერთობის შესახებ შემდეგი განაცხადა: „მუშათა პარტიის პოლიტიკას ამ საკითხში ყველა კარგად იცნობს. ეს პოლიტიკა განხორციელდება სასწრაფო წესით, თუმცა, რასაკვირველია, საჭირო იქნება მოლაპარაკება, რომ ინგლის-საბჭ. დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა დამაკმაყოფილებელ ნიადაგზე დადგეს, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს როგორც საყოველთაო მშვიდობიანობის თვალსაზრისით, ისე ეკონომიური თვალსაზრისით. ჯერ კიდევ 1917 წლიდან, როცა პირველად გავემგზავრე რუსეთში, მე პირადად ვცდილობ უაღრესად მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას ინგლის და რუს ხალხს შორის. რაიმე უკმაყოფილებამ, რუსეთში არსებული პოლიტიკური წყობილების გამო, გავლენა არ უნდა მოახდინოს ჩვენს სურვილზე, რომლის მიზანია უაღრესად მეგობრული ურთიერთობის უზრუნველყოფა. (ადს)

ზევერინგის განცხადება

ბერლინი, 10 ივნისი. ზევერინგმა კასელში მოხსენება გააკეთა და ვრცლად შეეხო სახელმწიფოს ბრძოლას კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ. „ის, —განაცხადა ზევერინგმა, — ვისაც იარაღით და „უცხოეთის სახელმწიფოს დახმარებით“ სურს დალუპოს გერმანელი ხალხი, შინაური მტერია და მის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა ყოველგვარი საშუალებით, რაც კი სახელმწიფოს განკარგულებაში იმყოფება“. (ადს)

ვან ჩუენ-ტინი ხარბინის ინციდენტის შესახებ

ნანკინი, 10 ივნისი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში ეროვნული მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვან ჩუენ-ტინმა განაცხადა: „საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაგზავნა მუკდენში დეპეშა თხოვნით—მიაწოდონ მას დაწვრილებითი ცნობები ხარბინის ინციდენტის შესახებ. ჩვენ მეგობრულად ვეპყრობით საბჭოთა მთავრობას, მაგრამ არ შეგვიძლია დაუშვათ მესამე ინტერნაციონალის ჩარევა ჩვენს საქმეებში. ეხლანდელი გამწვავებული მდგომარეობის დაძლევა მოსახერხებელია. შეიძლება ჩინეთის რწმუნებული მალე გაემგზავროს მოსკოვში სათანადო ინსტრუქციებით“. (ადს).

ანტისემიტური მოძრაობა პოლონეთში

ვარშავა, 10 ივნისი. შაბათს, პოზნანში სტუდენტთა ანტისემიტური დემონსტრაცია გაემართა ქალაქის ებრაული ნაწილისაკენ. დემონსტრანტები სცემდნენ გამვლელ ებრაელებს და ამტვრევდნენ ებრაულ დაწესებულებების და ებრაელ ვაჭრების მაღაზიების ფანჯრებს. დემონსტრაციამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ პოლიცია იძულებული შეიქნა გაეფანტა იგი.

უოფ. პრემიერმა ბარტელმა გადასწყვიტა უარი სთქვას თავის სადეპუტატო რწმუნებაზე. გაზ. „რაბოტნიკის“ სიტყვით, ბარტელი რჩება პილსუდსკის მეგობრად და პატივის მცემლად, მაგრამ ყოველგვარ კავშირს სწყვეტს ეხლანდელ ხელმძღვანელ ჯგუფთან.

შვეციის ახალი ფინანსთა მინისტრი

სტოკჰოლმი, 10 ივნისი. შვეციის სააგენტო იუწყება: „მეფემ მიიღო ფინანსთა მინისტრის ვოლინის გადადგომა. ფინანსთა მინისტრად დაინიშნა სენატორი დალი.

იაპონიის და საფრანგეთის სამხ. მისიები რუმინეთში

ვენა, 10 ივნისი. რუმინეთში ჩამოვიდა იაპონიის სამხედრო მისია. გაზეთების ცნობით მისია ათვალიერებს ბუქარესტის სამხედრო დაწესებულებებს. 20 მაისიდან რუმინიაში იმყოფება და მოგზაურობს საფრანგეთის სამხ. მისია გენერალ ნოლეს მეთაურობით.

„ნიჩირო გიოგიო“-მ გადასწყვიტა შეუდგეს თევზის ჭერას

ტოკიო, 9 ივნისი. პრესის სიტყვით „ნიჩირო გიოგიო“-ს საზოგადოებამ გადასწყვიტა—შეუდგეს თევზის ჭერას, რადგან საბჭოთა თევზის დამჭერი ორგანიზაციები შეუდგნენ თევზის ჭერას 241 ადგილას.

„ნიჩირო გიოგიო“-მ თავის გადაწყვეტილება აცნობა საგარეო საქმეთა მინისტრს. (ადს).

პოლიციის თავდასხმა გაფიცულებზე

ნიუ-იორკი, 9 ივნისი. გასტონიაში (ჩრდილოეთ კაროლინა), სადაც მემარცხენე ფეიქართა კავშირის ხელმძღვანელობით გაფიცულია 2.000 მუშა, პოლიცია თავს დაესხა საგაფიცვო კომიტეტის სადგომს, რომელსაც მუშათა თავდაცვის რაზმები იცავდნენ. შეტაკების დროს სასიკვდილოთ დაიჭრა პოლიციის უფროსი, ხოლო მსუბუქად—სამი პოლიციელი, აგრეთვე საგაფიცვო კომიტეტის ერთი წევრი. დააპატიმრეს მემარცხენე კავშირის 60 წარმომადგენელი.

შეტაკების შემდეგ პოლიცია თავს დაესხა საბანაკო ქალაქს, სადაც სცხოვრობენ ფაბრიკების სახლებიდან გამოსახლებული გაფიცულები. პოლიციამ დაანგრია კარვები და დააპატიმრა ყველა იქ მყოფი.

პოლიცია დაეძებს გაფიცვის ხელმძღვანელებს (ადს).

ნდობის ვოტუმი პუანკარეს

პარიზი, 9 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

იმ შეკითხვების განხილვის შემდეგ, რომლებიც შეეხებიან სახალხო ფულის შენახვის ღონისძიებებს, საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ 332 ხმით 258-ის წინააღმდეგ ნდობა გამოუცხადა მთავრობას“. (ადს).

საბჭოთა გემო-კვების მუშაკები გამოვიდნენ

გემო-კვების მუშაკთა ინტერნაციონალიდან

სტოკჰოლმი, 9 ივნისი. გემო-კვების მუშაკთა ინტერნაციონალის რეფორმისტულმა ნაწილმა უარი განაცხადა დასწრებოდა სხდომას საბჭოთა კავშირის გემო-კვების მუშაკთა პროფკავშირის წარმომადგენელთან ერთად. ამის საბაბად გადაიქცა საბჭოთა დელეგაციის განცხადება იმის შესახებ, რომ ბულგარეთის გაფიცულ მეთამბაქოეთა დახმარებაზე უარის თქმა არის ღალატი.

საბჭოთა დელეგატმა ვეინბერგმა გამოაქვეყნა საპასუხო დეკლარაცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ საბჭოთა დელეგაციის გამორიცხვა აღმასკომიდან წარმოადგენს რეფორმისტების ახალ გალაშქრებას საბჭოთა კავშირის გემო-კვების მუშაკთა პროფკავშირის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს, რომ გემო-კვების მუშაკთა ინტერნაციონალმა რევოლიუციონური კლასობრივი პოლიტიკა აწარმოოს.

ვეინბერგმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის გემო-კვების მუშაკთა პროფკავშირი გამოდის გემო-კვების მუშაკთა ინტერნაციონალიდან, რომელშიაც დარჩენა აღარ შეეფერება მუშების ინტერესებს და რევოლიუციონური კლასობრივი ბრძოლის ამოცანებს.

გერმანიის სამხედრო საზღვაო პროგრამა

ბერლინი, 9 ივნისი. რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიამ უცვლელად დაამტკიცა საზღვაო უწყების ხარჯთაღრიცხვა. 15 ხმით 13-ის წინააღმდეგ კომისიამ უარჰყო კომუნისტების წინადადება — ბიუჯეტიდან ამოეშალათ მეორე ასიგნობა ჯავშნიანი კრეისერის ასაგებად. (ადს).

ბრწყინვალე გადაფრენა

ოდესა, 10 ივნისი. მოსკოვიდან ოდესაში საბჭოთა სამხედრო ჰაეროპლანით მოფრინდა საბჭოთა კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსის მოადგილე ამხ. **ალკსნისი**. ჰაეროპლანმა ძირს დაუშვებლად 6 ნახ. საათის განმავლობაში დაჰფარა 1.160 კილომეტრის მანძილი.

ამავე დროს მოფრინდა ინჟინერ ტუპოლევის კონსტრუქციის ახალი ლითონის ჰაეროპლანი, რომელსაც მართავდა დამსახურებული მფრინავი გრომოვი. საბჭოთა ახალი კონსტრუქციის ჰაეროპლანის პირველი შორეული გადაფრენა, მიუხედავად მძიმე პირობებისა, ბრწყინვალედ დამთავრდა. ჰაეროპლანი საშუალოდ საათში 178 კილომეტრის სისწრაფით მიფრინავდა.

ნავთის ახალი წყაროების ძებნა

მოსკოვი, 10 ივნისი. ამ დღეებში მოხდა საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს გეოლოგიური და გეოდეზიური კომიტეტების გაფართოვებული სესია საბჭოთა კავშირის ევროპიულ ნაწილში ნავთის კვლევა - ძიების სამუშაოთა ხუთწლიანი გეგმის საკითხის განსახილველად. მახლობელი ხუთი წლის განმავლობაში პირველ რიგში კვლევა - ძიება უნდა მოხდეს ორ დიდ ოლქში: ურალის დასავლეთ ფერდობზე, მდ. პეჩორიდან მდ. ურალამდე, და ვიატკა-ვოლგის ოლქში, რომელიც მდებარეობს მდ. ვიატკაზე, კამაზე, სამარის გუბერნიის სამხრეთ ნაწილში და ურალის ოლქის ჩრდილოეთ ნაწილში. (ადს).

ინდოეთ-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობა

სვარაჯი საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შესახებ

ლენინგრადი, 10 ივნისი. 3 ივნისს ლენინგრადში მოვიდა კალკუტის დიდი სავაჭრო ფირმის მფლობელი სვარაჯი. იგი ესტუმრა საბჭოთა კავშირის — დასავლეთის სავაჭრო პალატის ლენინგრადის განყოფილებას, სადაც მას ეინტერესებოდა საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის უშუალო სავაჭრო ურთიერთობის შესაძლებლობის საკითხი.

სვარაჯის აზრით, ამჟამად არსებობს ასეთი ურთიერთობის საჭიროება, როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის დარგში. მაგრამ ინგლისის ხელისუფლება ეწინააღმდეგება უშუალო სავაჭრო ურთიერთობას. კერძოდ, ძალიან სასურველია ბამბისა და ზოგიერთი სხვა საქონლის ექსპორტი ინდოეთიდან საბჭოთა კავშირში. (ადს)

ზაგრაბეკოვის საქმე

სამოსამართლო გამოძიების პირველი დღეები

ბაქო, 10 ივნისი. პროკურორის ყოფილი თანაშემწის ზაგრაბეკოვის და სხვების გასამართლების პირველ ოთხ დღეს სწარმოებდა მთავარ ბრალდებულთა დაკითხვა. სასამართლომ დაჰკითხა ბრალდებულებს: ჰუსეინოვს, მოკლული ხულიგანის ქიამილ განჯინსკის მეგობარს ზაგრაბეკოვს განჯინსკის ნათესავებს აზიზბეკოვას, მის ქმარს და მამედ-ყული განჯინსკის — მოკლულის ძმას.

ჰუსეინოვი განჯინსკისთან ერთად იყო იმ დროს, როცა ეს უკანასკნელი თავს დაესხა ზაბროდინას და შემდეგ იგი განჯინსკისთან ერთად მისცეს პასუხისგებაში ამ საქმის გამო. ჰუსეინოვის ჩვენებას არაფერი ახალი არ შეაქვს საქმეში.

ზაგრაბეკოვი, აზიზბეკოვა და მამედ-ყული განჯინსკი, ქიამილის დამალვაში არა სცნობენ თავს დამნაშავედ.

დაახლოვებით ასეთივე პოზიცია უჭირავთ დანარჩენ ორ ბრალდებულს.

ზოგიერთი ბრალდებულის ეხლანდელი ჩვენება ეწინააღმდეგება იმ ჩვენებას, რომლებიც მათ წინასწარ გამოძიების დროს მისცეს. მამედ - ყული განჯინსკიმ უარი განაცხადა თავის ჩვენებაზე იმის შესახებ, რომ როცა ქიამილი დაჭრილი იყო, იგი სხვისი გვარით მოათავსეს საავადმყოფოში.

აზიზბეკოვას ჩვენებაში საინტერესო იყო ერთი მომენტი; მან განაცხადა რომ ქიამილი დაახლოვებული იყო სისხლის სამართლის მილიციის ბევრ თანამშრომელთან და რომ ზაბროდინაზე თავდასხმის შემდეგ, ე. ი. როცა ქიამილს ეძებდა სისხლის სამართლის მილიცია, ქიამილი რომელიღაც ქორწილში იყო სისხლის სამართლის მილიციის ზოგიერთ თანამშრომელთან ერთად.

ბრალდებულნი მეტად უხალისოდ ლაპარაკობენ თავიანთ ბოროტმოქმედ ნათესავზე. სამაგიეროდ ბევრს ლაპარაკობენ ბრალდების მოწმეებათა უარყოფითი დახასიათების დროს.

დიდის ინტერესით მოელიან სისხლის სამართლის მილიციის ყოფილი ინსპექტორის შახვერდოვის ჩვენებას, მის პირისპირ წაყენებას ზაგრაბეკოვთან, აგრეთვე მოწმე ბაზიანცის, სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლის, ჩვენებას, რადგან ზაგრაბეკოვმა განაცხადა, რომ ბაქოს სისხლის სამართლის მილიციაში არიან „ბოროტმოქმედი ელემენტები“, რომ შახვერდოვი და ბაზიანცი მონაწილეობას იღებდნენ მეძავი ქალის გალევიჩის მოკვლაში (გალევიჩის საქმე ამას წინად გაარჩია ბაქოს სავანგებო საქმეთა სასამართლომ. საქმეში არის ჩვენება, რომ შახვერდოვი და ბაზიანცი გალევიჩთან იყვნენ ნახევარი საათით ადრე მისი გვამის აღმოჩენამდე).

გალევიჩის მოკვლის პროცესის დროს შახვერდოვი, და ბაზიანცი ჩრდილში დარჩნენ.

სასამართლო, ალბად გამოითხოვს ამ საქმეს და დაუბრუნდება მას შახვერდოვის და ბაზიანცის დაკითხვის დროს. კიდევ უნდა დაჰკითხონ 11 ბრალდებულს და მრავალ მოწმეს.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო პროფსაბჭოს კომფრაქცია
მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ
(რეზოლიუცია მიღებული ერთხმად ამხ. დოგადოვის მოხსენების გამო)

საკავშირო პროფსაბჭოს ფრაქცია, რომელმაც მოისმინა ამხ. დოგადოვის მოხსენება, მთლიანად იწონებს საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას აპრილის პლენუმისა და მე-16 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებს.

ფრაქცია სავსებით ეთანხმება მემარჯვენე ოპოზიციის იმ შეფასებას, რომელიც პლენუმმა მოგვცა.

სოციალისტური რეკონსტრუქციისა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში მასების აზვირთებული აქტივობის სათავეში ჩადგომის ნაცვლად, მემარჯვენე ოპოზიცია არსებითად ქადაგებს კაპიტულიაციას სიძნელეთა წინაშე და უარს ამბობს ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ სოციალისტურ შეტევაზე. მემარჯვენე ოპოზიციამ იმით, რომ იგი გამოდის პარტიის მიერ აღებული კურსის წინააღმდეგ, იმ კურსის წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მაქსიმალური ტემპისკენ და იქითკენ, რომ პირველ რიგში განვითარებულ იქნას მძიმე მრეწველობა, იმით, რომ გამოდის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის სწრაფად გადაშლის წინააღმდეგ, მოითხოვს პურის ფასის მომატებას, კულაკის წინააღმდეგ შეტევის შემსუბუქებას, და იმას, რომ გაფართოვებულ იქნას მისი მეურნეობის განვითარების შესაძლებლობანი, — ყველა ამით მან გამოაჩინა თავისი ოპორტუნისტული სახე. ის ეფარება ფრაზებს საშუალო გლეხის შესახებ, ნეპის შენარჩუნების საჭიროების შესახებ და სხვ.

მემარჯვენეთა პოზიციის მთავარ შეცდომას წარმოადგენს სოციალიზმში კულაკის შეზრდის ანტიმარქსისტული, ანტილენინური თეორია, ისე, რომ მემარჯვენეებს არ ესმით კლასობრივი ბრძოლის დიალექტიკა პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში. სწორედ ამ დებულებას მიჰყავს მემარჯვენეები იქამდე, რომ მათ ვერ გაიგეს კლასობრივი ბრძოლის თანამედროვე ზოლი, სათანადოდ არ აფასებენ და უარჰყოფენ კიდეც გლეხობის ძირითად მასებთან მუშათა კლასის შეკავშირების ახალ საწარმოო ფორმებს, ცილსა სწამებენ პარტიას, ვითომ იგი „გლეხობის სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაციის“ პოლიტიკას ატარებდეს, და აყენებენ ისეთ პრაქტიკულ წინადადებებს, რომლებიც საქმით მხოლოდ გააძლიერებენ კაპიტალისტურ ელემენტებს ჩვენს ქვეყანაში.

პარტიის გენერალურ ხაზს მემარჯვენე ოპოზიციამ დაუპირისპირა თავისი ოპორტუნისტული ხაზი, რომელსაც სინამდვილეში სოციალისტური რეკონსტრუქციის ხუთ წლიანი გეგმის ჩაშლა მოჰყვება.

ფრაქცია, აღნიშნავს რა დიდ უთანხმოებას მემარჯვენე ოპოზიციასა და პარტიას შორის კაპიტალიზმის სტაბილიზაციის პერიოდისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის პერსპექტივების შეფასებაში, ადასტურებს იმ უეჭველ კავშირს, რომელიც საკავშირო კ. პ. (ბ) მემარჯვენე ოპოზიციას აქვს მემარჯვენე უკლონისტებთან და შემარიგებლებთან კომინტერნის რიგებიდან.

აი რატომ წარმოადგენს მთავარ ამოცანას საკავშირო კ. პ. (ბ) შიგნით მემარჯვენე გადახრისა და შემარიგებლობის უსათუოდ გადალახვა, — ამოცანას, რომლის გადაჭრასაც გვიკარნახებენ, როგორც საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის ინტერესები, ისე მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარების ამოცანები.

მემარჯვენე ოპოზიცია, ისევე, როგორც პარტიის მიერ დამსხვრეული ტროცკისტული ოპოზიცია, იკვებება იმ წვრილბურჟუაზიული სტიქიონით, რომელიც გარს არტყია მუშათა კლასს.

ტროცკისტები პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აშკარა კონტრ-რევოლიუციონური მუშაობის გზას დაადგნენ; აქამდე მიჰყავს პარტიის გენერალურ ხაზთან საკუთარი პოზიციის დაპირისპირების ყოველ გვარ სხვა ცდას. პარტიამ უნდა განაგრძოს ტროცკიზმის ნაშთებთან ბრძოლა, ამავე დროს დღევანდელს პირობებში მთავარი მახვილი უნდა მიმართოს მემარჯვენე საფრთხესთან და შემარიგებლობასთან ბრძოლისაკენ.

პრინციპიალურმა უთანხმოებამ პარტიის პოლიტიკის მთავარ საკითხებში მემარჯვენეები აუცილებლობით ფრაქციულ ნაბიჯებამდე მიიყვანა; მათ უღალატეს ბოლშევიკურ ტრადიციებსა და დისციპლინას და შეეცადნენ შეეკრათ ბლოკი ყოფილ ტროცკისტებთან ცეკას ხელმძღვანელობის წინააღმდეგ.

ტროცკისტების მსგავსად, მემარჯვენე ოპოზიციამაც მიმართა ფრაქციულ ცილისწამებას. ის ცილსა სწამებს პარტიასა და პარტიულ ხელმძღვანელობას, როდესაც ამბობს, რომ პარტია მხარს უჭერს ბიუროკრატიზმს, როდესაც ამბობს, რომ არ არსებობს შინაპარტიული დემოკრატია.

საკავშირო პროფსაბჭოს ფრაქცია გულისწყრომით უარჰყოფს ამ ცილისწამებას და აცხადებს, რომ ვერავინ ვერ შესძლო და ვერც შესძლებს სახელი გაუტეხოს ლენინურ პარტიულ ხელმძღვანელობას ისეთი მეთოდით, როგორიც არის ამხ. სტალინის წინააღმდეგ გალაშქრება, რაც უკვე ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა ოპოზიციისათვის. ლენინურ ცეკას უსაზღვროდ მხარს უჭერენ და იგი უსაზღვრო ავტორიტეტით სარგებლობს როგორც პარტიაში, ისე მუშათა კლასის ფართო უპარტიო მასებში და ვერავინ ვერ შესძლებს მის შერყევას.

ფრაქცია აღნიშნავს, რომ პარტიის ბრძოლას ლენინური ხაზის სისწორისათვის წინააღუდგა პროფესიონალისტების ერთი ნაწილი. პროფესიონალისტთა ამ ნაწილმა ვერ გაიგო პროფესიონალური რიგებისა და პროფკავშირთა მუშაობის მეთოდების გარდაქმნის საჭიროება ისეთ პირობებში, როდესაც ხდება სოც. რეკონსტრუქცია და პროლეტარიატის შეტევა სოფლად და ქალაქად, აგრეთვე ისეთ პერიოდში, როდესაც გადაჭრით უნდა დაძლეულ იქნას სერიოზული დეფექტები პროფმოძრაობაში.

რეკონსტრუქციის პერიოდის სიძნელეთა გადასალახავად მასების მობილიზაციის ნაცვლად—პანიკიორობა ამ სიძნელეთა წინაშე; ნაცვლად ფართოდ გადაშლილი მუშაობისა, რათა მუშათა და მუშა-ქალთა მასები ჩაბმულ იქნან სამეურნეო მშენებლობაში, სოციალისტური რაციონალიზაციის პროცესში, შრომის ნაყოფიერებისა და შრომის დისციპლინის აწევისათვის ბრძოლაში—მუშათა კლასის ჩამორჩენილი ფენების ცეხური ინტერესებისა და სულისკვეთების დაფარვის ცდა; პროფკავშირებში პროლეტარული თვითკრიტიკის გაბედული და თანდათანი გადაშლის ნაცვლად—ფორმულები და შენიშვნები, რომლებიც მოუწოდებენ სიფრთხილისაკენ თვითკრიტიკის საქმეში, რომლებიც აფერხებენ პროფკავშირებში მასების აქტივობის განვითარებას ისეთი მოვლენების წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორიც არის ბიუროკრატიზმი და დამახინჯება, პროფაპარატის ცალკე ნაწილების გახრწნა და მათი მასებისაგან მოწყვეტა.

სოფელში პროლეტარული გავლენის გაძლიერების ნაცვლად, იმის ნაცვლად, რომ პროფკავშირებმა ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნას — მათი კარჩაკეტილობის განვითარება, რაც კერძოდ, გამოიხატა პროფკავშირების სუსტ გავლენაში სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, სოფლის მოჯამაგირეთა შორის მუშაობის ჯეროვნად შეუფასებლობა და სხვ. პოლიტიკური განათლებისა და მუშათა მასების, განსაკუთრებით მათი ჩამორჩენილი ფენების, კლასობრივად აღზრდის ნაცვლად — ხშირად დავიწყება პროლეტარიატის საერთო-კლასობრივი ამოცანების, ჩამორჩენილ მუშათა მასებს შორის წვრილ-ბურჟუაზიულ გავლენასთან გადაჭრილი ბრძოლის საჭიროების შეუგნებლობა.

პარტიის გენერალური ხაზის დაცვისა და პარტიის ცენტრალური შტაბის—ლენინური ცეკას ირგვლივ პროფესიონალისტების დარაზმვის ნაცვლად—ხელმძღვანელი ორგანოებისათვის პროფმოძრაობის კომუნისტ-მუშაკების დაპირისპირების ცდა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცდას—გამოესწორებინა პროფკავშირთა ხელმძღვანელობის ეს უდიდესი პოლიტიკური დეფექტები, პროფესიონალისტთა ამ ჯგუფმა პროფკავშირთა მე-8 ყრილობაზე უხეში ფარული წინააღმდეგობა, ხოლო შემდეგ, ყრილობის ფრაქციის პლენუმზე, აშკარა წინააღმდეგობა გაუწია. პარტიის ბრძოლას ამ დეფექტებთან ხატავდნენ, როგორც პროფკავშირების ტროცკისტულ „დაფერთხვას“, როგორც პროფმოძრაობის „დაქსაქსვის“ მუქარასა და სხვ. პარტიისათვის პროფკავშირების მეტად სახიფათო დაპირისპირება, ფაქტიური კურსი პროფმოძრაობის პარტიული ხელმძღვანელობის შესუსტებისკენ, ტრედიუნიონური ტენდენციების და პროფკავშირის აპარატის ნაწილის ბიუროკრატიული დამყაყების მოვლენათა მიჩქმალვა,— აი, რა ედო საფუძვლად პროფესიონალისტების ნაწილის ბრძოლას სწორი ლენინური ხაზის წინააღმდეგ პროფმოძრაობაში.

ლენინი აღნიშნავდა იმ საფრთხეს, რომ პროფკავშირების რიგებში შეიძლება თავი იჩინოს ერთგვარმა ცეხურმა შეზღუდულობამ, ერთგვარმა აპოლიტიკურმა სულისკვეთებამ, ერთგვარმა რუტინიურობამ, რომელიც წარმოადგენს იმის გამოხატულებას, რომ მასიურ ორგანიზაციებსა და პროფკავშირებში არიან ჩამორჩენილი მუშები ცეხური, ტრედიუნიონისტური დრომოჭმული შეხედულებებით: „პროფკავშირების ერთგვარი „რეაქციონერობა“ აღნიშნული აზრით აუცილებელია პროლეტარიატის დიქტატურის დროს“. ამის შეუგნებლობა ნიშნავს კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის ძირითად პირობათა სრულ შეუგნებლობას“.

ამ საფრთხეს სპობს პროლეტარიატის მასიური ორგანიზაციების—პროფკავშირების და პარტიის, როგორც მისი ავანგარდის, სწორი ურთიერთ დამოკიდებულება, პროფმოძრაობაზე კომუნისტური პარტიის ყოველდღიური ხელმძღვანელობა. ლენინიზმის ეს ძირითადი დებულება პროფმოძრაობაში აუცილებლად უნდა ახსოვდეს ყველა კომუნისტ პროფმუშაკს, განსაკუთრებით ეხლა, სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისა და პროლეტარიატის სოციალისტურ შეტევასთან დაკავშირებულ სიძნელეთა მომენტში.

პროფკავშირების მიმართ პარტიული ხელმძღვანელობის შესუსტება და ავანგარდის მასებთან დამაკავშირებელი ხიდის—პროფკავშირების არასწორი მუშაობა გამოიწვევდა პროლეტარიატის სოციალისტური შეტევის დასუსტებას, სიძნელეთა გადიდებას, მასების შემოქმედებითი ინიციატივის და აქტიობის შესუსტებას სოციალისტური რეკონსტრუქციის პროცესში.

ფრაქცია კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ პარტიისათვის პროფკავშირების დაპირისპირების ცდები, რომლებმაც ყველაზე უფრო ნათლად ჰპოვეს გამოხატულება პროფესიონალისტების ნაწილის გამოსვლაში მე-8 ყრილობის ფრაქციის სხდომებზე, მკაცრად დაგმეს მე-8 ყრილობის შემდეგ ჩატარებულ კავშირების ცენტრალურ კომიტეტების პლენუმების და კავშირთაშორისო ორგანიზაციების ფრაქციების, აგრეთვე ყრილობების ფრაქციების სხდომებზე, სადაც გამოაშკარავდა კომუნისტ-პროფმუშაკების დარაზმულობა ლენინური პარტიული ხელმძღვანელობისა და ოპორტუნიზმთან მისი ბრძოლის ირგვლივ.

ფრაქცია სავსებით იწონებს ცეკას პლენუმის გადაწყვეტილებას, რომელიც მიზნად ისახავს პროფკავშირების პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებას.

საკავშირო პროფსაბჭოს ფრაქცია დარწმუნებულია, რომ ყველა კომუნისტი, რომელიც პროფმოძრაობის დარგში მუშაობს, მთელი ძალღონით შეეცდება განახორციელოს პარტიის ცეკას აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

მასების მობილიზაცია სიძნელეთა დასაძლევად, მუშათა ყურადღების მიქცევა პროლეტარიატის საერთო კლასობრივი ამოცანებისადმი— სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის გეგმის შესრულებისადმი— და ბრძოლა წვრილბურჟუაზიულ გავლენასთან და მერყეობასთან მუშათა მასების ჩამორჩენილ ფენებში,—აი რას წარმოადგენს პროფმოძრაობაში მომუშავე ყოველი კომუნისტის უდიდეს მოვალეობას. საჭიროა თვითკრიტიკის გადაჭრით გაშლა-გაფართოვება პროფკავშირებში და ბრძოლა პროფაპარატის ერთი ნაწილის ბიუროკრატიულ დამყაყებასთან, მასებისაგან მოწყვეტასთან, კავშირების მთავარი ამოცანის—მუშათა და მუშა-ქალთა ეკონომიური და კულტურული-საყოფაცხოვრებო ინტერესების ყოველდღიური დაცვის საქმისადმი გულგრილად მოპყრობასთან. ყოველივე ეს მოითხოვს, რომ პროფკავშირების მუშაობის მეთოდები, ფორმები და ტემპი გადაჭრით გადაისინჯოს და სავსებით შეუთანხმდეს იმ ამოცანებს, რომლებიც მუშათა კლასის წინაშე დგანან რეკონსტრუქციის პერიოდში.

პროფკავშირებმა, რომლებიც აერთიანებენ მუშათა და გლეხთა მილიონიან მასებს, ყოველგვარი საშუალებით უნდა განავითარონ პროლეტარული მასების ფართო მოძრაობა, რომელიც პარტიის ხელმძღვანელობით მიმართულია სიძნელეთა დასაძლევად და ქალაქად და სოფლად კაპიტალიზმის ფესვების ამოსაფხვრელად.

ფაბრიკების, ქარხნების, მაღაროების და საბჭოთა მეურნეობების სოციალისტური შეჯიბრების გაშლა-გაფართოვება, რისთვისაც საჭიროა თვით მუშების ინიციატივის გაღვიძება და მისთვის ხელისშეწყობა, რადგან იგი წარმოადგენს მთავარ საშუალებას სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, მისი სოციალისტური გარდაქმნისათვის მილიონიანი მასების ძალ-ღონით; მუშათა კლასის კავშირის განმტკიცება გლეხობის ძირითად მასებთან, რისთვისაც საჭიროა აქტიური მონაწილეობა დაკავშირების საწარმოო ფორმების განვითარებაში და პროლეტარიატის დახმარება გლეხობის ღარიბ-საშუალო ფენების იმ ფართო მოძრაობისათვის, რომელიც მიმართულია სოფლის საწარმოო კოოპერაციაში შეკავშირებისა და კოლექტივიზაციისაკენ; პროფკავშირების ყოველმხრივ მონაწილეობა კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ შეტევაში ღარიბთა შეკავშირებისათვის ხელისშეწყობის გზით და სხვ.; მუშათა მასების ფართო კულტურული მოძრაობის თვითმოქმედებისა და თვითკრიტიკის გაშლა - განვითარება პროფკავშირებში, პროფმოძრ. კადრების ფართოდ დაწინაურება და განახლება საკავშირო დემოკრატიის ნიადაგზე; ფართო უპარტიოთა აქტივის ჩაბმა საკავშირო ორგანოების მუშაობაში ნებაყოფლობის ნიადაგზე; გაბიუროკრატებული ელემენტების გამოწვევის პრინციპის თანამიმდევრობით გატარება პროფკავშირებში,—ყოველივე ეს საფუძვლად უნდა დაედოს პროფკავშირების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გარდაქმნას.

მთელ თავის ყოველდღიურ მუშაობაში კომუნისტ პროფმუშაკებს უნდა ახსოვდეთ, რომ პროფკავშირთა ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს—„გადაუხრელად გააფართოვონ სოციალიზმის მშენებელთა რიგები; მათ უნდა ახსოვდეთ, რომ პროფესიონალურ კავშირების ამოცანას შეადგენს ახალი ცხოვრების შენება, ახალი მილიონების, მრავალი მილიონების აღზრდა, რომლებიც თავიანთ გამოცდილებაზე შეისწავლიან შეცდომების თავიდან აცილებას, ძველი დრომოჭმული შეხედულებების უკუგდებას, თავიანთ გამოცდილებაზე ისწავლიან სახელმწიფოს და წარმოების მართვა-გამგეობას,—მხოლოდ ამაშია უშეცდომო გარანტია, რომ სოციალიზმის საქმე გაიმარჯვებს და სავსებით მოისპობა უკან დაბრუნების შესაძლებლობა“ (ლენინის სიტყვა პროფკავშირთა მეორე ყრილობაზე).

პროფკავშირები, როგორც პროლეტარიატის მასიური ორგანიზაციები მხოლოდ ამ მიზნით შეასრულებენ კომუნიზმის სკოლის ამოცანას და მასებთან პარტიის დამაკავშირებელ როლს პროლეტარიატის გაშლილი სოციალისტური შეტევის პირობებში.

ფრაქცია ფიქრობს, რომ პარტიის გადამჭრელი ბრძოლა მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ აუცილებელ პირობას წარმოადგენს სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის ხუთწლიანი გეგმის შესრულებისა და პროლეტარიატის სოციალისტური შეტევისათვის ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის ფესვების ამოფხვრის გზით. საკავშირო პროფსაბჭოს ფრაქცია დარწმუნებულია, რომ კომუნისტი პროფმუშაკები მტკიცე, გადამწყვეტ დახმარებას აღმოუჩენენ პარტიას ამ საქმეში და თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში უზრუნველჰყოფენ პროლეტარიატის მილიონიანი მასების უსაზღვრო ნდობას პარტიისა და მისი ლენინური შტაბის—ცეკას მიმართ.

მოსკოვი.

გადმოცემულია ტელეგრაფით.

საქართველოს მშრომელთა პროტესტი
პოლონელ პანების პროვოკაციის წინააღმდეგ

საკუთარი სისხლით დავიცავთ პროლეტარულ სახელმწიფოს
საპროტესტო მიტინგი ხაშურში

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

7 ივნისს, ნაშუადღევის სამ საათზე, ხაშურში, ქალაქის დიდ მოედანზე შესდგა მუშა-მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგი.

მიტინგზე მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია:

„საერთაშორისო იმპერიალისტებს სურთ საბჭოთა კავშირი ჩაითრიონ იმპერიალისტურ ომში. ჩვენ არ გვინდა ომი, მაგრამ თუ ომი დაიწყო, სიტყვას ვსდებთ, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ პროლეტარულ სახელმწიფოს დასაცავად.

ძირს გაიძვერა და ბურჟუაზიის ლაქია მენშევიკები!! გაუმარჯოს წითელ არმიას!

მიტინგმა დაავალა ქალაქის საბჭოს და რკინისგზელთა პროფკავშირს მიტინგზე მიღებული რეზოლიუცია ტელეგრაფით გაუგზავნოს სრულიად საკავშირო და საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს.

ზიზღი სოციალ-გამცემლებს
(ტელეფონით ზუგდიდიდან)

ზუგდიდის მუშა-მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანმა მიტინგმა, მოისმინა რა ამხ. ისაკი უვანიას ცნობა პოლონეთის მთავრობის პროვოკაციული გამოსვლების შესახებ, გმობს პოლონეთის იმპერიალისტების და მათი დამქაში ემიგრანტ მენშევიკების შავ ზრახვებს, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საქართველოდან გაძევებული ემიგრანტ მენშევიკების მიერ პოლონეთის ხელისუფლების დახმარებით გამართული ზეიმი და იქ წარმოთქმული სიტყვები სავსეა საბჭ. საქართველოსადმი უსირცხვილო და უსაფუძვლო ცილის წამებით. შავრაზმელი მუსტაფა ჩოკაევის განცხადება თურქესტანის მოსახლეობის ჩაგვრის შესახებ, წარმოადგენს მორიგ აღმაშფოთებელ პროვოკაციას. პოლონეთის იმპერიალისტებს და მათ მფარველობის ქვეშ მომუშავე ქართველ ემიგრანტ მენშევიკების სამარცხვინო კონტრ-რევოლიუციონური საქმიანობა ასევე პოლონეთ - საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი ურთიერთობის ჩაშლის ცდა. ზიზღი პოლონეთის იმპერიალისტებს და საქართველოდან გაძევებულ ქართველ სოციალ-გამცემლებს. შორს სისხლიანი ხელები საბჭოთა კავშირიდან.

საპროტესტო მიტინგი ბათომში

ბათომი, 10 ივნისი. 7 ივნისს დილით ბათომში გაიმართა მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგი პოლონეთის იმ მორიგ ანტისაბჭოთა გამოსვლის წინააღმდეგ, რომელიც გამოხატა მაში, რომ პოლონეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს მენშევიკების „საზეიმო სხდომაში“.

მიტინგში მონაწილეობა მიიღეს უცხოეთის გემების მეზღვაურებმა, რომელთაც თავიანთი საპროტესტო ხმა შეუერთეს ბათომის პროლეტარიატის პროტესტს.

„ხელები შორს წითელი საზღვრებისაგან“

ქუთაისი, 10 ივნისი. 8 ივნისს ქუთაისში გაიმართა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია. პოლონეთის ფაშისტების ანტისაბჭოთა გამოსვლის წინააღმდეგ. დემონსტრანტები გამოვიდნენ წითელი დროშებით და პლაკატებით. პლაკატებზე მოსჩანდა წარწერა: „ხელები შორს წითელი საზღვრებისაგან“. დემონსტრანტებმა მუსიკით ჩამოიარეს ქუჩები, სადაც მოეწყო საპროტესტო მიტინგები. (ადს).

„გახვეტილი ნაგავის უკან შემოტანა არ გვსურს“

ფოთის საცივარის, სატყეო ტრესტის ქარხნის, რკინის გზის, მარგანეცზე მომუშავე მუშების და წყალზე მომუშავეთა კავშირის წევრების საპროტესტო მიტინგზე მიღებულ რეზოლიუციებში ნათქვამია:

„მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების სამშვიდობო პოლიტიკისა, ფაშისტური პოლონეთი, რომელიც კონტრ-რევოლიუციის და ანტი-საბჭოთა ემიგრაციის თავშესაფარს წარმოადგენს ევროპის იმპერიალიზმის ფინიის როლს ასრულებს, არავითარ საშუალებებს არ ერიდება იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს საბჭოთა კავშირის მშვიდობიან აღმშენებლობას. ამხ. ვოიკოვის მკვლელობა, ლიზარევზე თავდასხმა, საფრანგეთთან სამხედრო ხელშეკრულების დადება, რუმინეთთან და უნგრეთთან მოლაპარაკება, პოლონეთის პრესის ანტი-საბჭოთა კამპანია,—ყველაფერი ეს ნათლად ამტკიცებს პოლონეთის აგრესიულ ზრახვებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ფაშისტური პოლონეთი, რომლის უღლის ქვეშ გმინავენ მის ტერიტორიაზე მცხოვრები ბელორუსები, უკრაინელები, ლიტველები, ჩვენგან განდევნილ მენშევიკებთან ერთად მიისწრაფვის ვითომც „უკრაინის და საქართველოს განთავისუფლებისაკენ“.

საქართველოს მშრომელები კარგად იცნობენ ამ „მხსნელებს“ და მათ ნამდვილ ბნელ ზრახვებს, ამიტომ საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად საჭიროების დროს კიდევ დაუმტკიცებენ, რომ გახვეტილი ნაგვის უკან შემოტანა მათ არ სურთ“.

—:—

სენაკის მშრომელთა პროტესტი
(ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

8 მაისს სენაკის მუშათა კლუბში შესდგა ქ. ახალსენაკის მუშა-მოსამსახურეთა, შავი ზღვის და ამიერ-კავკასიის რკ. გზის მუშების, ქალაქის საბჭოს და პარტ-კომკავშირის ქალაქის ორგანიზაციის კრება, რომელსაც 600-მდე კაცი დაესწრო. კრებამ მოისმინა რა ამხ. კაჭარავას მოხსენება პოლონეთის მთავრობის პროვოკაციული მოქმედების შესახებ, ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„პოლონეთი გახდა თავშესაფარი რევოლიუციის მიერ საბჭოთა კავშირიდან გაძევებულ ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონურ-ავანტიურისტულ ელემენტების, დაწყებული რუს მონარქისტებით და გათავებული გაკოტრებული ქართველი მენშევიკებით.

საერთო კრება საბჭოთა ხელისუფლებისაგან მოითხოვს განაგრძოს თავისი მშვიდობიანი პოლიტიკა, მაგრამ ამავე დროს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს ყველა იმათ, ვინც გაბედავს ხელის შეშლას ჩვენს მშვიდობიანი მშენებლობისათვის.

ჩვენ სიტყვას ვაძლევთ საბჭოთა ხელისუფლებას, რომ ყოველ მომენტში მტკიცედ დავიცავთ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს და ოქტომბრის მონაპოვარს მოღალატე მენშევიკების და ყველა კლასიური მტრების შემოტევისაგან.

ჩვენი ზიზღი და პროტესტი კაპიტალის ლაქიებს!

პარტიაში
პარტიული ორგანიზაციები შეასრულებენ მე-16 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებს
კონფერენციის დადგენილებანი მასებს

საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკასა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის აპრილის პლენუმისა და მე-16 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებები ჯერჯერობით დამუშავებულია თბილისის ორგანიზაციის აქტივისა და უჯრედების ჯგუფურ კრებებზე. ახლო მომავალში დაიწყება ამ გადაწყვეტილებათა უფრო დეტალური დამუშავება ცალკე უჯრედებში.

თბილისის ორგანიზაციის აქტივთა, 1200 კაცმა, ერთხმად მოიწონა ეს დადგენილებანი.

უჯრედების 17 ჯგუფურ კრებას დაესწრო 7.344 კომუნისტი ანუ მთელი ორგანიზაციის 61,3 პროცენტი. ამ კრებებზე შემოტანილი იქნა 393 შეკითხვა, კამათში გამოვიდა 115 კაცი. დამახასიათებელია, რომ ყველაზე მეტი დასწრება ჩვენ გვქონდა ლენინის რაიონში (72,4 პროც.), შემდეგ 26 კომუნარის რაიონში (57,5 პროც.) და ქალაქის რაიონში (52,3 პროც.).

ჯგუფურმა კრებებმა, ისე, როგორც თბილისის ორგანიზაციის აქტივმა, დაადასტურა მე-16 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა სისწორე და აღთქმა დასდო, რომ სავსებით ხელს შეუწყობს ცხოვრებაში მათს გატარებას. მაგრამ მაინც პარტიულ ამხანაგების ნაწილს არ ესმის პარტიის მთავარი ხაზი, მასში ადგილი აქვს მერყეობის და აშკარა ოპორტუნისტულ სულისკვეთებასაც კი. ზოგიერთი ამხანაგი რამოდენიმედ სოციალიზმში „კულაკის მშვიდობიანი შეზრდის“ თეორიამდეც ეშვება.

ასე, მაგ., შემოსულ შეკითხვებში იყო ორი შეკითხვა, რომლებშიაც ავტორები გამოსთქვამდნენ, რომ საჭიროა კულაკისთვის დათმობა, მისი სამეურნეო სიძლიერის გამოყენება, და, კოლმეურნეობაში ჩაბმის გზით, მისი ფსიხოლოგიის „გამოცვლა“.

„ჩვენ გეთანხმებით, — სწერს პარტიის წევრი,—რომ კულაკი არ იქნას დაშვებული კოლმეურნეობაში, მაგრამ როგორ უნდა მოვიქცეთ მაშინ, თუ კულაკი თავიდანვე „ჩვენს ხაზზე დადგება“ და მოისურვებს თავისი ქონებისა და მიწის კოლექტივში შემოტანას?“.

აქ ცხადია, რომ გულუბრყვილო კითხვის სახით ავტორს სურს გაატაროს სოციალიზმში „კულაკის მშვიდობიანი შეზრდის“ თეორია. არ შეიძლება, — შეკითხვის შემომტანმა არ იცოდეს, რომ საერთოდ, არ არსებობენ ისეთი კულაკები, რომლებიც „ჩვენს ხაზზე დადგებიან“, ან „მოისურვებენ ქონებისა და მიწების შემოტანას“. ჩვენი გამოცდილებიდან სოფელში კლასობრივი ბრძოლის დარგში ჩვენ ვიცით, რომ კულაკი არა თუ არ შემოდის კოლმეურნეობაში, არამედ ყოველის ღონისძიებით სცდილობს მის დანგრევას და თვით სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის იდეის სახელის გატეხას ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებში, რადგან კოლექტივიზაციის განვითარება მოასწავებს კულაკური მეურნეობის დაღუპვას და, მაშასადამე, ჩვენს ქვეყანაში „კაპიტალიზმის ძირიან - ფესვიანად აღმოფხვრას“.

მეორე ბარათის ავტორი ფიქრობს, რომ „საკმარისია კულაკი ჩაბმული იქნას კოლმეურნეობაში“ (ავტორი განცვიფრებით კითხულობს: რათ არ შეიძლება კულაკის მიღება კოლმეურნეობაში?), და მისი „ფსიხოლოგიაც შეიცვლებაო“. მაშასადამე, არ არის საჭირო კულაკთან ბრძოლა, ის თვითონ მოვა კოლმეურნეობაში, დასთმობს ქონებას, ცოცხალსა და მკვდარ ინვენტარს, მიწას, „შეიცვლის“ ფსიხოლოგიას და „კოლექტივისტი - კომუნისტი“ გახდება.

ასეთს თეორიას არაფერი - საერთო არა აქვს პარტიის ხაზთან და ის სრულიად გადაჭრით უნდა უარყოფილი იქნას.

არა ნაკლებ დამახასიათებელია შეკითხვა, რომელშიაც ნათქვამია, რომ „რაც უფრო ვიშორებთ ჩვენ ნეპმანს, მით უფრო ძვირდება პროდუქტები და, საერთოდ, მთელი ცხოვრება“-ო.

კომუნისტი, რომელიც ფიქრობს, რომ ჩვენი დროებითი სამეურნეო სიძნელეების მიზეზი ნეპმანის მოშორებაა, და რომელიც მოითხოვს არ შეავიწროონ იგი, ყველაზე უფრო საძაგელი ტიპის მემარჯვენე უკლონისტია და ნეპმანის აშკარა დამცველი.

ასეთი ბარათების შემოტანა დახურულ ჯგუფურ კრებებზე მოწმობს, რომ ზოგიერთ პარტიულ ამხანაგებს ჯერ კიდევ სავსებით არ შეუთვისებიათ ჩვენი პარტიის მთავარი ხაზი, მიმართული ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ გადაჭრით შეტევისაკენ, და სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის ტემპის გაძლიერებისაკენ.

მე-16 პარტკონფერენციის შედეგების დამუშავების დროს გამოაშკარავდა აგრეთვე, რომ ორგანიზაციაში არიან ფარული ტროცკისტები, რომლებიც დროგამოშვებით, მარჯვე შემთხვევაში თავს იჩენენ უსახელო ბარათების შემოტანით. მართალია, ასეთი ბარათების რიცხვი ცოტა იყო, მაგრამ ისინი მეტად დამახასიათებელნი არიან. ამ ბარათების მთავარი აზრია: „მემარჯვენე გადახრის შესახებ ყველაზე ადრე ოპოზიციამ ამოიღო ხმა, მართალი იყო ტროცკი, როდესაც საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას ხაზს აკრიტიკებდა და სხვ.“.

იდეოლოგიურ სიმტკიცისათვის ბრძოლაში თბილისის ორგანიზაციას უდიდესი მიღწევები აქვს, მაგრამ მაინც საჭიროა გაგრძელდეს გადამჭრელი ბრძოლა პარტიის ლენინური ხაზიდან ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ და ამ გადახრათა მხილება ბოლშევიკური სიმტკიცით.

ცალკე პარტიულ ამხანაგებს შორის ჩვენ ვამჩნევთ არაჯანსაღ სულისკვეთებას, რომელიც გამოხატავს ერთგვარ უნდობლობას სოციალისტური მშენებლობისადმი. ეს ამხანაგები, მაგ., ასეთი ხასიათის შეკითხვებს იძლევიან: „თუ ჩვენ გადავაბიჯეთ ომის წინადროის დონეს, მაშინ რათ არის კრიზისი?“, „როდის მოეღება ბოლო ყველა ამ სიძნელეს?“ და სხვ.

ზემოდ თქმულიდან ცხადია, რომ ჩვენს წინაშე ასეთი ამოცანა სდგას: ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისთვის, რომ უნდა განვუმარტოთ პარტიის წევრებს სამეურნეო სიძნელეთა მიზეზები და ის გზები, რომლითაც შეიძლება მათი გადალახვა. პარტიულმა უჯრედებმა ყოველმხრივ უნდა გააძლიერონ პოლიტიკურ - საგანმანათლებლო მუშაობა როგორც თავის წევრებ შორის, ისე უპარტიოებს შორისაც.

კამათი, რომელიც სწარმოებდა მე-16 პარტკონფერენციის შედეგების შესახებ მოხსენების გარშემო, სავსებით ჯანსაღ ხასიათს ატარებდა. გამოსული ამხანაგები მხარს უჭერდნენ პარტიის გენერალურ ხაზს, მოუწოდებდნენ ბოლშევიკური რიგების მთლიანობის განმტკიცებისაკენ, რომ წარმატებით გადალახული იქნას სამეურნეო სიძნელენი სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის განხორციელების ნიადაგზე.

ორატორები დაუნდობლად ჰგმობდნენ ყოველგვარ გადახრას პარტიაში და მოითხოვდნენ სასტიკ იდეურ ბრძოლას მის წინააღმდეგ.

ი. რ—ძე.

როგორ მიმდინარეობს პარტკონფერენციები

სამხრეთ-ოსეთი

ამ დღეებში დასრულდა სამხრეთ-ოსეთის მე-11 პარტიული კონფერენცია.

კონფერენციამ პირველ საკითხად განიხილა ამხ. ნ. სვანიძის მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ც. საკ. კომისიის უკანასკნელი პლენუმის და მე-16 პარტკონფერენციის შედეგების შესახებ. მეორე საკითხად განხილულ იქნა მოხსენება იმ დადგენილების შესრულების შესახებ, რომელიც გამოიტანა საქ. კომპარტიის (ბ) ცეკამ სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის ანგარიშის გამო.

მიღებულ რეზოლიუციაში საოლქო კონფერენცია გადაჭრით ჰგმობს მემარჯვენე ოპორტუნისტების მოქმედებას პარტიის შიგნით და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სამხრეთ-ოსეთის პარტორგანიზაციის მთავარი ამოცანაა სასოფლო მეურნეობის მოსავლიანობის აწევა და კოლექტივიზაცია.

ვინაიდან პარტორგანიზაციაში მოიპოვებიან ელემენტები, რომლებიც სათანადოთ არ აფასებენ გლეხობის ფენებად დაყოფასა და მისი მეურნეობის ახალ საფუძველზე გარდაქმნას, კონფერენცია გადაუდებელ ამოცანად სთვლის ამგვარ განწყობილებებთან ბრძოლას.

დასასრულ კონფერენციამ ს. კ. პ. (ბ) ყრილობაზე გასაგზავნად აირჩია 9 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 5—სათათბირო ხმით. არჩეულთა შორის არიან: ამხ. **სვანიძე**, **ალხიაშვილი**, **ჯატიევი**, **კუდრიავცევი** და სხვა.

ახალქალაქი

ახალქალაქი, 10 ივნისი. დღეს ქალაქის თეატრის შენობაში გაიხსნება მე-9 სამაზრო პარტკონფერენცია.

დღის წესრიგი: 1) მე-16 საკავშირო პარტკონფერენციის შედეგები (მომხსენებელი ამხ. **მათიკაშვილი**), 2) სამაზრო კომიტეტის ღონისძიებანი საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის იმ გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის, რომლებიც შეეხებიან საქართველოს კომპარტიის (ბ) მუშაობას, 3) არჩევნები.

ჭიათურა

7 ივნისს დაიხურა ჭიათურის რაიონული პარტკონფერენცია.

კონფერენციაზე მოსმენილ იქნა ამხ. **გ. ყურულაშვილის** მოხსენება მე-16 პარტკონფერენციისა და ცეკას და ც. საკ. კომისიის გაერთიანებულ პლენუმის შედეგების შესახებ. მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია:

„კონფერენცია მთლიანად და სავსებით იწონებს მე-16 პარტკონფერენციის დადგენილებას. იგი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ეს დადგენილებანი სავსებით შეეფარდებიან სოციალისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპს.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს კონფერენციის და ცეკას პლენუმის დადგენილებებს 5 წლიანი გეგმის შესახებ, რომლის განხორციელებაც შეზღუდავს და შეავიწროებს კაპიტალისტურ ელემენტებს ჩვენს ქვეყანაში და გააძლიერებს მეურნეობის სოციალისტურ სექტორს.

სოციალისტურ მშენებლობის ახალი ეტაპი მოითხოვს მუშათა და გლეხთა კავშირის ახალ ფორმას—საწარმოო ურთიერთობის გაძლიერებას სოფელსა და ქალაქს შორის, რაც მეურნეობის ხუთწლიანი გეგმით სავსებით უზრუნველყოფილი იქნება.

კონფერენცია აღნიშნავს, რომ მემარჯვენეების იდეოლოგია გამოხატავს წვრილი ბურჟუაზიულ სულისკვეთებას.

ისინი უყენებენ პარტიას ბრალდებებს გლეხობის შესახებ. ქადაგებენ კულაკის სოციალიზმში შეზრდის თეორიას, აფუჩეჩებენ სამხედრო ფეოდალური ექსპლოატაციის კლასთა ბრძოლის გამწვავებას და ამით რევიზიას უშვებენ პარტიის ლენინურ ბოლშევიკურ ხაზს.

ჭიათურის ორგანიზაცია მუდამ გადაჭრით იბრძოლებს ამ ლიკვიდატორულ ელემენტების წინააღმდეგ და დაუზოგავად გამოიტანს მზის სინათლეზე მემარჯვენე გადახრის ყოველ გამოხატულებას“.

სამშაბათს, 11 ივნისს, საღამოს 6 საათზე თბილისის ალმასკომის დარბაზში მოწვეულია

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის მე-4 გაფართოებული პლენუმი

რაიკომთა პლენუმების წევრებთან და უჯრედების მდივნებთან ერთად

დღის წესრიგი:

1. პარტიის წმენდის შესახებ (წმენდის საოლქო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ლენგნიკის მოხსენება); 2. სახელმწიფო აპარატის წმენდის შესახებ (ამხ. ნაზარეტიანის მოხსენება).

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი.

საერთაშორისო მიმოხილვა
სოციალ-გამცემლების მთავრობა. — სარეპარაციო შეთანხმება.—პოლონეთის მთავრობის მორიგი ანტისაბჭოთა პროვოკაცია.— ერთა ლიგა და ნაცუმცირესობათა საკითხი.—ურთიერთობა ამერიკასთან ფართოვდება

ინგლისის ბურჟუაზიული პრესა მოწონებით შეხვდა მაკდონალდის მთავრობის შემადგენლობას, რომელიც მთლიანად შესდგება ყველა უფრო მემარჯვენე პირებისაგან. „მუშათა“ პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდ“ წერს: „კაბინეტის შემადგენლობა მტკიცე პასუხია ყველა იმათთვის, ვინც კითხულობდა—შეუძლია მუშათა პარტიას ქვეყნის გაძღოლა“-ო. ეს სიტყვები უნდა გავიგოთ არა იმგვარად, რომ თითქო ახლანდელი მინისტრები რაიმე განსაკუთრებული ნიჭის პატრონები იყვნენ, არამედ აქ მთავარია ის გარემოება, რომ მაკდონალდის მთავრობა ქვეყანას „გაუძღვება“, ისე როგორც ეს კაპიტალის ინტერესებს შეეფერება. ასეთია „მუშათა“ პარტიის „პასუხი“ ბურჟუაზიის იმ ეჭვზე, რომლის შესახებ „დეილი ჰერალდ“ ლაპარაკობს.

მართლაც, ბურჟუაზია არ შეიძლება იყოს უკმაყოფილო მაკდონალდის კაბინეტის შემადგენლობით. აიღეთ, მაგალითად, ტომასი, რომელსაც, როგორც ახლად დაარსებულ პროფესიულ საქმიანობის მინისტრს, დაკისრებული აქვს უმუშევრობასთან ბრძოლა. მრეწველების გაზეთი „დეილი ექსპრეს“ კი სულ სხვანაირად უყურებს ტომასის დანიშნულებას: იგი დაგვეხმარება რკინისგზებზე რაციონალიზაციის გატარებაშიო (ტომასი რკინისგზელთა კავშირის გენ. მდივანია),რაც ნიშნავს უმუშევრობის უფრო გადიდებას და მუშათა ექსპლოატაციის გაძლიერებას. ტომასი, „შავი პარასკევის“ გმირი, რომელმაც 1921 წ. ჩაშალა საყოველთაო გაფიცვა, ტომასი, რომელიც აშკარად გამოდის კლასობრივი ბრძოლის წინააღმდეგ და მრეწველთა ყურმოჭრილი აგენტია, ცხადია, ყველაზე ნაკლებ შესაფერია უმუშევართა და საერთოდ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმისათვის, და მისმა დანიშვნამ ამ ხსენებულ პოსტზე, მაშინ როცა უმუშევრობის საკითხი ასე მწვავედ დგას ინგლისში, მუშათა კლასი უნდა დაარწმუნოს, რომ მაკდონალდის მთავრობისაგან არაფერი სახეირო არ უნდა გამოელოდეს.

თავის-თავად ცხადია, პროლეტარიატის ცხოვრების მძიმე პირობების შემსუბუქება შეიძლება მხოლოდ კაპიტალის ხარჯზე და გულისხმობს მთელი კაპიტალიზმის ეკონომიური სისტემის ძირფესვიან რეორგანიზაციას. მაგრამ მაკდონალდები არამც თუ ასეთ გარდატეხის მოხდენაზე არ ფიქრობენ, არამედ მათ აზრად არ მოსდით კაპიტალის დაბეგვრის მცირეოდენი გადიდებაც კი. აი რას სწერდა არჩევნების წინ სნოუდენი „მუშათა“ მთავრობის საგადასახადო პოლიტიკაზე, თუ ასეთი მთავრობა შესდგებოდა: „...აქ არ არის ბრძოლა საშუალო ან ვაჭართა კლასის ადამიანების წინააღმდეგ. მათ სრულებით არ უნდა აფრთხობდეთ მუშათა პარტიის საგადასახადო პოლიტიკა. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ მშრომელთა კეთილდღეობა სამრეწველო აყვავებაზეა დამოკიდებული და მუშათა პარტიის არც ერთი ფინანსთა მინისტრი არ გაატარებს ისეთ პოლიტიკას, რომელიც მრეწველობის ტვირთს გაადიდებდა“. გულახდილადაა ნათქვამი. ესაა კაპიტალის დაბეგვრის უარყოფის პროგრამა. ე. ი. ლიბერალების და კონსერვატორების პროგრამა. ამნაირად, სნოუდენი ბურჟუაზიისათვის სავსებით მისაღებია ფინანსთა მინისტრის პოსტზე.

ასე ითქმის დანარჩენ მინისტრებზეც. სხვათა შორის, საგულისხმოა, რომ გენერალურ პროკურორის თანამდებობაზე წინად წამოყენებული იყო „მუშათა“ პარტიის წევრი სლესერი, მაგრამ შემდეგ მის მაგივრად დანიშნეს ყოფილი ლიბერალი ჯოუტი, რომელიც მხოლოდ არჩევნების შემდეგ გადაბარგდა ამ პარტიაში. საქმე ის არის, რომ სლესერს ბურჟუაზია ბრალს სდებდა, თითქო ის საჭირო სიმკაცრეს ვერ იჩენდა კომუნისტების მიმართ, როცა მაკდონალდის პირველ კაბინეტში (1924 წ.) ამ თანამდებობაზე იყო. მაკდონალდმა კაპიტალისტები დაამშვიდა გენერალურ პროკურორის პოსტის ჯოუტისათვის ჩაბარებით.

ბურჟუაზიული პრესა აგრეთვე ესალმება გარეშე საქმეთა მინისტრად ჰენდერსონის დანიშვნას. ამასთან „მანჩესტერ გარდიენ“ კმაყოფილებას გამოსთქვამს, რომ ჰენდერსონი მეორე ინტერნაციონალის თავმჯდომარეა. ეს კარგად ახასიათებს ამ ინტერნაციონალს, როგორც იმპერიალიზმის მსახურს, და კერძოდ ჰენდერსონს, რომელიც, რა თქმა უნდა, ინგლისის კაპიტალის საგარეო პოლიტიკას გაატარებს.

არას ვიტყვით „თვით“ მაკდონალდზე, რომელიც ამ „თაიგულს“ მეთაურობს: ის ხომ ინგლისის კაპიტალიზმის მთავარი ბოძია რეფორმისტული ბანაკიდან.

კაბინეტის ასეთი შერჩევა თავის-თავად ამხელს „მუშათა“ პარტიის ბუნებას და ზრახვებს. იგი მოწოდებულია ემსახუროს ბურჟუაზიულ წყობილების განმტკიცებას. მისი მთავრობის პრაქტიკა უეჭველად დაამსხვრევს რეფორმისტულ ილიუზიებს, რომლებიც ჯერ კიდევ ძლიერია ინგლისის მუშათა მასებში.

* * *

რამოდენიმე თვის ვაჭრობის შემდეგ ექსპერტთა კონფერენციაზე, როგორც იქნა, კომპრომისს მიაღწიეს. შეთანხმება მოხდა მოკავშირეთა მიერ წამოყენებულ პირობების საფუძველზე. პირველი 37 წლის განმავლობაში გერმანიამ ყოველ წლიურად საშუალოდ უნდა იხადოს 2.050 მილიონი მარკა, შემდეგ 21 წლის განმავლობაში — წლიურად 1.500.000-დან 1.100.000 მარკამდე. ამგვარად, სარეპარაციო გადასახადის საერთო ჯამი პირდაპირ ასტრონომიული ციფრით გამოიხატება — 110 მილიარდ მარკას აღემატება, ხოლო გადასახადის ვადა 58 წლითაა განსაზღვრული. ამასთან, გერმანიას მიეცა მცირეოდენი შეღავათები, რომლებზე არც კი ღირს შეჩერება. მაგალითად, პირველ წლებში შესატან თანხების რაოდენობა რამდენიმედ შემცირებულია, სამაგიეროდ შემდეგ წლებში ეს თანხები მატულობენ, ისე რომ აღნიშნული ჯამი დაწესებულ ვადაში მთლიანად იქნას დაფარული.

რით აიხსნება გერმანიის ასეთი კაპიტულიაცია? აქ მცირე როლი არ უთამაშია თვით მისი დელეგაციის მერყევ და ორჭოფულ პოზიციას. თუ ერთი მხრით შახტი მოითხოვდა გერმანიის საგადასახადო უნარიანობის გამორკვევას და ამის მიხედვით სარეპარაციო გადასახადის ჯამის დაკლებას, მეორე მხრივ კიულმანი, გერმანიის არაოფიციალური დელეგატი, ფარულ მოლაპარაკებას აწარმოებდა საგარეო ბაზრების და საერთოდ იმპერიალისტურ ექსპანსიის საკითხებში დათმობების მიღების შესახებ და სანაცვლოდ პირდებოდა მოწინააღმდეგე მხარეთ რეპარაციების ჯამის გადიდებაზე დათანხმებას. ამით გერმანიამ თვითონვე უარჰყო შახტის მიერ წამოყენებული პრინციპი (რეპარაციების რაოდენობის დაკავშირება გერმანიის საგადასახადო უნარიანობასთან), და ხელიდან გაუშვა საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების ერთ - ერთი მთავარი არგუმენტი. ანტანტის ექსპერტებმა ეს სავსებით გამოიყენეს და გერმანიას უდიდესი გადასახადები მოახვიეს თავზე, ხოლო რაც შეეხება ხსენებულ დათმობებს, ამ მხრივ გერმანია არსებითად იმედ გაცრუებული დარჩა. ამავე დროს ამერიკამ ბოლოს და ბოლოს მხარი არ დაუჭირა გერმანიას. ეს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გერმანიისათვის გადასახადების საგრძნობლად დაკლება ერთგვარ პირობებს შექმნიდა მისი დაახლოვებისათვის ანტანტასთან, რაც, რა თქმა უნდა, სრულებით მიუღებელია ამერიკისათვის; შემდეგ: ამერიკის კაპიტალი დიდ მოგებას გამოელის სარეპარაციო გადასახადის ოპერაციებიდან („ზებანკის“ ორგანიზაცია). ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დასავლეთის ორიენტაციას, რომლის გასატარებლად გერმანელი სოციალ - დემოკრატები ყოველგვარი მსხვერპლს იღებენ, ოღონდ ამით ხელი შეუშალოს გერმანია-საბჭოთა დამოკიდებულების განმტკიცებას.

ამ მსხვერპლის გაღება კი, ცხადია, მთლიანად გერმანიის მშრომელთ ეკისრება. თუ ასე იყო დღემდეც, ამიერიდან უფრო გაძლიერდება გერმანიის მუშათა კლასის ექსპლოატაცია, რომ ბურჟუაზიამ შესძლოს თავის ჯიბის გასქელებაც და ვალების გასტუმრებაც. ამის ნიშნები უკვე სჩანან. გერმანიის სახალხო მეურნეობის მინისტრმა კურციუსმა ამ დღეებში გულახდილად განაცხადა, რომ სარეპარაციო კონფერენციის დამთავრების შემდეგ მთავრობა რეიხსტაგში შეიტანს რეფორმების ვრცელი პროგრამის პროექტს გერმანიის მეურნეობის მდგომარეობის „შემსუბუქების მიზნით“-ო. ეს პროგრამა, თვით კურციუსის თქმით, სხვათა შორის, გულისხმობს დაზღვეულთა რიცხვის შემცირებას. ამ აშკარა აღიარებამ, რომელიც, უეჭველია, დიდ აღელვებას გამოიწვევს მუშებში, მენშევიკები „უხერხულ“ მდგომარეობაში ჩააგდო. მაგრამ ხომ ისინი უდგანან სათავეში კაპიტალის შეტევას მუშათა კლასზე. მათ სულ ამას წინად უარყვეს კომუნისტების მიერ რეიხსტაგში შეტანილი წინადადება ბავშთა უფასო კვებისათვის ბიუჯეტის თანხების გაღების შესახებ. დადებული სარეპარაციო კომპრომისიც ბურჟუაზიასთან ერთად - ერთი საქმეცაა!

ამნაირად, სარეპარაციო კონფერენციის შედეგებთან დაკავშირებით ჩვენ უნდა მოველოდეთ შემდგომ შეტევას გერმანიის მუშათა კლასზე, მის საცხოვრებელ მინიმუმზე. ამას კი აუცილებლად მოჰყვება კლასთა ბრძოლის უფრო გამწვავება. სოციალ-დემოკრატები ყოველგვარი საშუალებით სცდილობენ რევოლიუციონურ მოძრაობის აღკვეთას, რომ ამ გზით ბურჟუაზიას გაუადვილონ მასების მეტი დამონება. ცერგიბელების „მოღვაწეობა“ ამ მხრივ დამახასიათებელია. მაგრამ ისინი, ცხადია, მიზანს ვერ მიაღწევენ. აუტანელ მდგომარეობაში ჩაყენებული გერმანიის მუშათა კლასი მოთმინებიდან გამოდის, კომპარტიის გარშემო იკრიბება და კაპიტალთან გადაჭრილ ბრძოლის გზას ადგება.

* * *

მორიგი ანტი - საბჭოთა გამოსვლები პოლონეთში ერთხელ კიდევ გვახსენებენ იმ აგრესიულ ზრახვებზე, რომლებსაც პოლონელი ფაშისტები ატარებენ მშრომელთა რესპუბლიკების მიმართ. მიუხედავად თვალთმაქცური დაპირებებისა, რომ ვარშავის მთავრობა მოსპობდა ემიგრაციის მტრულ მოქმედებას თავის ტერიტორიაზე, უკანასკნელი დღემდე საბჭოთა კავშირიდან გაძევებულ კონტრ - რევოლიუციონერების ბუდეს წარმოადგენს და, რაც მთავარია, ხელისუფლება აშკარად მფარველობს მათ.

განწირული ქართველი მენშევიკები ვარშავაში კრებას მართავენ „დამოუკიდებელ საქართველოს“ 11 წლის თავის აღსანიშნავად. პეტლიურელები თავის ყოფილ მეთაურის ხსოვნას პანაშვიდით აღნიშნავენ. თეთრი ემიგრენტი ჩოკაევი აწყობს მოხსენებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. თავისთავად კონტრ-რევოლიუციონურ ემიგრაციას, ასეთი გამოსვლების დაშვება პოლონეთის მთავრობის მხრით შეუწყნარებელია. მაგრამ გაცილებით უფრო აღმაშფოთებელია ის გარემოება, რომ ყოველივე ამასთან დაკავშირებით პოლონეთის მმართველებმა პირდაპირ გამოამჟღავნეს თავისი მტრობა ჩვენდამი. პოლონეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ოფიციალურად ესწრებიან ზევით ხსენებულ კრებებს და ამით ხაზს უსვამენ, რომ პოლონეთის მესვეურები საბჭოთა კავშირიდან გაძევებულ კონტრ - რევოლიუციონერებთან ერთად არიან, მათ ანტისაბჭოთა მუშაობას განაგრძობენ.

ეს უფრო აშკარა გახდა ჩვენი ელჩის პროტესტის შემდეგ. ამ პროტესტის საპასუხოდ, რომელიც მიმართული იყო მენშევიკების და პეტლიურელების კრებებზე პოლონელ ხელისუფალთა მონაწილეობის წინააღმდეგ, პოლონეთის პრესა მთავრობის კარნახით იმდენ თავხედობას იჩენს, რომ თავდაცვის მაგივრად შეტევაზე გადმოდის: საბჭოთა კავშირი პოლონეთის შინაურ საქმეებში ერევა, რასაც პოლონეთის მთავრობა ვერ დაუშვებსო. და ეს მაშინ, როცა თვითონ პოლონეთი თავხედურად ერევა საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში. აბა განსაჯეთ: პოლონეთის პრესა აღნიშნავს, რომ პოლონეთმა თავის დროზე იცნო „დამოუკიდებელი“ საქართველო, რომ პეტლიურასთან მას „მეგობრული“ ხელშეკრულება ჰქონდა დადებული და ამიტომ მისი ოფიციალურ წარმომადგენლების დასწრება ხსენებულ კრებებზე, ჩვენი „მორალური მოვალეობა“ იყოო. პოლონეთის მმართველნი თურმე მაღალი მორალის ადამიანები ყოფილან, მაგრამ მათ ერთი „წვრილმანი“ ავიწყდებათ — სახელდობრ ის ვალდებულებანი, რომლებიც მათ იკისრეს საბჭოთა კავშირის მიმართ. მაგალითად, რიგის ხელშეკრულებაში არის სპეციალური მუხლი, რომლის ძალით თვითეული მხარე უარს აცხადებს რაიმე დახმარება აღმოუჩინოს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც მეორე მხარის ან მისი ტერიტორიის ნაწილის მთავრობად ასაღებენ თავს. პოლონეთის მთავრობამ იცნო საბჭოთა კავშირი ყველა მისი შემადგენელი რესპუბლიკით, დასდო რიგის ხელშეკრულება და ამავე დროს ჩვენ საქმე გვაქვს ზევით მოყვანილ პროვოკაციულ გამოსვლებთან, რომლებიც ამ ხელშეკრულებას უხეშად არღვევენ და მიზნად ისახავენ პოლონეთის მიერ ცნობილ საბჭოთა კავშირის მთლიანობის დაშლას. თურმე ეს არ არის საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში ჩარევა, ხოლო საბჭოთა მთავრობის მხრით ამის გამო პროტესტის განცხადება პოლონეთის შინაურ საქმეებში ჩვენს ჩარევას ნიშნავს! ამაზე შორს უტიფრობა ვერ წავა.

პოლონეთის იმპერიალისტების ასეთ პროვოკაციას პირველ ყოვლისა საფუძვლად უდევს ამ ქვეყნის შინაური მდგომარეობა. პოლონეთში ამჟამად ეკონომიური კრიზისი მძვინვარებს და იქ კლასობრივი, აგრეთვე ნაციონალურ - განმანთავისუფლებელი ბრძოლა მწვავდება. პილსუდსკელებს სურთ მასების ყურადღება შინაურ მდგომარეობას ჩამოაშორონ საგარეო ავანტიურების საშუალებით. ამასთან, პოლონეთის მესვეურები, უდავოა, ამ შემთხვევაში იმ გარეშე ძალებთან შეთანხმებით მოქმედებენ, რომელნიც ჩვენი საერთაშორისო დამოკიდებულებების გართულებით არიან დაინტერესებული.

მაგრამ უდავოა, რომ ავანტიურისტების პროვოკაცია აღკვეთილი იქნება. ამის თავდებია ერთი მხრით საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებს მტკიცე ნებისყოფა, რომელმაც მკაფიო გამოხატულება ჰპოვა მათ მრისხანე საპროტესტო დემონსტრაციებში, მეორე მხრით თვით პოლონეთში შექმნილი მდგომარეობა, რომელიც თავზე ხელაღებულ ფაშისტების თარეშს ფეხიდან ნიადაგს აცლის.

* * *

პოლონელ იმპერიალისტებს იმდენი „გამბედაობა“ შესწევთ, რომ საბჭოთა კავშირის „დაჩაგრულ“ ერთა მოსარჩლეების როლში გამოდიან. ამ არა მკითხე „მზრუნველებს“ ზიზღით და აღშფოთებით უპასუხებს ჩვენს კავშირში შემავალი ყველა ხალხი, რომელთაც მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მიანიჭა სრული თავისუფლება და განვითარების უფართოესი შესაძლებლობანი. ჩვენმა ხალხებმა მშვენივრად იციან, რომ იმპერიალისტებს სურთ მათ მონობის უღელი დაადგან, ისეთი უღელი, რომლის სიმძიმე ასე ახრჩობს, მაგ., პოლონეთში მოსახლე ეროვნულ უმცირესობებს. პოლონეთი ეროვნებათა ჩაგვრის ყველაზე უფრო „კლასიკურ“ ქვეყანას წარმოადგენს. მისი მოსახლეობის 45 პროცენტი, რომელიც არაპოლონელებისაგან შესდგება, მოკლებულია ყოველგვარ უფლებებს და გაუგონარ დევნას განიცდის. უკანასკნელ, ბელორუსთა, გერმანელების და სხვათა ორგანიზაციების სისტემატიური განადგურება, მათი წარმომადგენელთა მასიური პროცესები, სულ უკანასკნელად — ებრაელთა აწიოკება ლვოვში ამ მხრით მეტად მჭერმეტყველური ფაქტებია.

სწორედ იმ დროს, როცა დარბეულ ებრაელთა ხმა ჯერ კიდევ არ შემწყდარა ლვოვის ქუჩებში, შეიკრიბა ერთა ლიგის საბჭოს მორიგი სესია. ამ სესიის დღის წესრიგში ერთ - ერთ მთავარ საკითხად ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა სდგას. ეს საკითხი ბოლო დროს წამოაყენა შტრეზემანმა. ეს, ცხადია, არა იმიტომ, რომ გერმანიის იმპერიალიზმი საერთოდ ეროვნებათა ინტერესებს იცავს. გერმანიის მთავრობა აალაპარაკა გერმანულ უმცირესობის დევნამ პოლონეთში. ამასთან, გერმანიის იმპერიალიზმი ცდილობს ამ გარემოების გამოყენებას თავისი მიზნებისათვის, კერძოდ იმისათვის, რომ პოლონეთი აიძულოს ერთგვარ ეკონომიურ და ტერიტორიულ დათმობებზე.

ასეა თუ ისე, ეროვნულ უმცირესობათა საკითხი დასმულია განსახილველად ერთა ლიგის საბჭოს მადრიდის სესიაზე. მისმა აპრილის სესიამ, რომელზედაც ამ ნიადაგზე მკაცრ შეტაკებას ქონდა ადგილი შტრეზემანსა და ზალესკის შორის, საქმე „შესასწავლად“ სპეციალურ კომისიას მიანდო. საკმაოდ არახელსაყრელი პირობებში მოუხდება პოლონეთის წარმომადგენელს მადრიდში გამოსვლა. ერთი მხრით, ლვოვის ამბები, ხოლო მეორე მხრით ის გარემოება, რომ ჩემბერლენი, პოლონეთის იმპერიალიზმის მფარველი, უკვე არ დაესწრება სესიას, გაუძნელებენ მას იმ მხეცობის მიფუჩეჩებას, რომელსაც პოლონეთის ფაშიზმი ეროვნულ უმცირესობათა მიმართ იჩენს. მაგრამ ამით, ცხადია, იმის თქმა არ გვინდა, თითქო ერთა ლიგა უფლებააყრილ ხალხებს გამოექომაგება, ან, კერძოდ პოლონეთის მთავრობას გაკიცხვას გამოუტანს. ერთა ლიგის ყოველ წევრს, ვისაც ამის შესაძლებლობა აქვს, ხელი აქვს გასვრილი ხალხთა დამონებაში და პოლონეთის წინააღმდეგ გალაშქრება ამ შემთხვევაში მათთვის თავის თავის გამათრახებაც იქნებოდა. ზედმეტია იმის განმარტება, რომ ერთა ლიგას, რომელიც თვითონ წარმოადგენს სუსტ ხალხთა ჩაგვრის იარაღს იმპერიალისტების ხელში, ნაკლებად შეეფერება ეროვნებათა ინტერესების დამცველის როლის თამაში. ის, ალბად, არაფრის მთქმელი გადაწყვეტილებებით დაკმაყოფილდება, ან საკითხს კვლავ გადასდებს „დამატებითი გამოკვლევისათვის“. დაჩაგრული ხალხები, რა თქმა უნდა, ერთა ლიგის შემყურენი ვერ იქნებიან. არა შუამდგომლობანი მის წინაშე, არამედ მედგარი ბრძოლა იმპერიალისტების წინააღმდეგ, ნაციონალურ მოძრაობის დაკავშირება კლასობრივ ბრძოლასთან, — აი ხალხთა თავისუფლების ერთად - ერთი სწორი გზა.

* * *

იმ დროს, როდესაც პოლონელი იმპერიალისტები პროვოკაციული გამოსვლებით ჩვენთან ურთიერთობას ართულებდნენ, საბჭოთა კავშირი აფართოებს თავის საქმიან დამოკიდებულებას მთელ რიგ ქვეყნებთან. ამ შემთხვევაში ჩვენ ვლაპარაკობთ იმ ხელშეკრულებებზე, რომელიც საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ ცნობილ ამერიკულ კაპიტალისტ ფორდთან დასდო.

ამ ხელშეკრულების შინაარსს უკვე იცნობთ. საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა აგოს საავტომობილო ქარხანა, რომელიც ყოველწლიურად 100.000 მანქანას გამოუშვებს. ფორდის კომპანია ვალდებულებას კისრულობს ამ ქარხნის ორგანიზაციისა და მის რაციონალურ დაყენების საქმეში სათანადო ტეხნიკური დახმარება აღმოგვიჩინოს. სამაგიეროდ საბჭოთა კავშირი თავის მიღწევებს საავტომობილო მშენებლობის დარგში ამ ფირმას გაუზიარებს. ამასთან, სანამ ჩვენი საავტომობილო მრეწველობა დააკმაყოფილებდეს არსებულ მოთხოვნილებებს, საბჭოთა მთავრობა ფორდისაგან იძენს მანქანებს, კრედიტისა და სხვა მხრივ შეღავათიან პირობებში.

შეთანხმება ნავთის გასაღების შესახებ, ელექტრო კომპანიასთან და ფორდის ფირმასთან დადებული ხელშეკრულებები და მრავალი სხვა უფრო წვრილი ტეხნიკური და ეკონომიური ხასიათის გარიგებანი — ასეთია ამერიკა - საბჭოთა კავშირის საქმიანი დამოკიდებულების გამოხატულება. ეს თანამშრომლობა სულ უფრო იზრდება, და სცილდება ჩვეულებრივ აღებ-მიცემობის ფარგლებს.

საქმიან დამოკიდებულების გაფართოება ამერიკასთან არა მარტო ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, არამედ ამას ბუნებრივად უნდა მოყვეს მხარეთა შორის პოლიტიკურ ურთიერთობის აღდგენა. ამ მიმართულებით ამერიკაში საკმაოდ ძლიერი მოძრაობაა. ამავე დროს, ამან არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს საბჭოთა კავშირსა და სხვა ქვეყნებს შორის აღებ - მიცემის გაშლაზე, ვინაიდან უკანასკნელთ საფუძვლიანად ეშინიათ, რომ საბჭოთა ბაზარს დაკარგავენ და ამით თავის თავს თვალსაჩინო ზიანს მიაყენებენ. ამას, სხვათა შორის, იძულებული იქნებიან პოლონელი ავანტიურისტებმაც გაუწიონ ანგარიში. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ პოლონეთის ეკონომიური ინტერესები მოითხოვენ ჩვენთან ნორმალურ ურთიერთობის დამყარებას, არამედ იმიტომაც, რომ ავანტიურების გზაზე დამდგარ პოლონეთს გაუძნელდება ამერიკისაგან სესხების აღება, რამდენადაც ამ სესხების უზრუნველყოფა ასეთ დროს საეჭვო ხდება.

გ. ქ—ლი.

საქართველოს და აზერბეიჯანის მწერლები სომხეთში
(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ერევანი 10 მაისი. კვირას დელეგაციები გაემგზავრნენ ვაღარშაპატში, დაათვალიერეს ეჩმიაძინში კოლექტიური მეურნეობა „ანასტვაც“, ცხენოსანი პოლკი, ეჩმიაძინის ბიბლიოთეკა და ძველი ზვარტნოცის ნანგრევები. მწერლები გააოცა ძველი ხელნაწერების, მსოფლიო მნიშვნელობის უნიკუმების სიმრავლემ, აგრეთვე ზვარტნოცის მონასტრის არქიტექტურის მონუმენტალობამ. კოლექტიურ მეურნეობაში ახლო - მახლო სოფლების გლეხობის, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების, აგრეთვე მოწაფეთა მონაწილეობით გაიმართა მიტინგი, რომელიც აღფრთოვანებით მიესალმა დელეგაციებს. საპასუხო მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს **ა. ჭუმბაძემ**, **სანლიმ** და **ს. შანშიაშვილმა**, რომლებიც შეჩერდნენ კოლექტიურ მეურნეობათა როლზე სოფლის სოციალისტურ გარდაქმნაში.

ცხენოსანმა პოლკმა დელეგაციის პატივსაცემლად გამართა ალლუმი, რომელსაც დელეგაციის სახელით მხურვალე სიტყვებით მიესალმენ **სანდრო ეული** და **სანლი**. ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა მწერლებზე წითელ-არმიელთა სამხედრო ვარჯიშობამ, დოლმა, კულტურულმა დონემ და ყოფა-ცხოვრების პირობებმა.

ამ ოთხი დღის განმავლობაში დელეგაცია ესაუბრებოდა სომხეთის პოლიტიკურ და სამეცნიერო მოღვაწეებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შემდგომი კულტურული დაახლოების საკითხების შესახებ. დიდი პოლიტიკური სიტყვები წარმოსთქვეს სომხეთის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ტერ-გაბრიელიანმა**, სომხეთის კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის მდივანმა ამხ. **ხანჯიანმა**, განათლების სახ. კომისარმა ამხ. **მრავიანმა** და ამხ. **ერზინკიანმა**, ხოლო დელეგაციის მხრით **რობაქიძემ**, **ახვერდოვმა**, **ეულმა**, **სანლიმ**, **მიწიშვილმა**, **ტ. ტაბიძემ**, **ჭუმბაძემ**, **აბაშელმა**, **ქიაჩელმა**, და სხვებმა.

დღეს სომხეთის კომპარტიის (ბ) ც. კ.-თან შესდგა თათბირი, რომელმაც ჯამი გაუკეთა დელეგაციის ერთი კვირის მუშაობას და შეიმუშავა მომავალი კულტურული თანამშრომლობის პლატფორმა. 9 ივნისს დელეგაციები ლენინაკანში გაემგზავრნენ.

ვ. წულიკიძე.

ერევანი, 10 ივნისი. საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მწერალთა სხდომაზე ქართული, აზერბეიჯანული და სომხური ლიტერატურის შესახებ მოხსენებანი გააკეთეს აზერბეიჯანელმა კრიტიკოსმა **ჯაბარ ეფენდიმ**, ქართველმა მწერალმა **რობაქიძემ** და სომეხმა კრიტიკოსმა **გიულიკეხფიანმა**.

9 ივნისს საღამოთი ერევანში 1-ლ საბჭ. მეურნეობაში (ყოფ. სარდარის ბაღი) გაიმართა ბანკეტი, რომელსაც დაესწრნენ მთავრობის წევრები, სტუმრები, ერევნის ყველა ლიტერატორი და მხატვარი.

ყველა ორატორმა, რომლებიც კი შეეხნენ სალიტერატურო საკითხებს, სურვილი გამოსთქვეს, რომ შეიქმნას ამიერ-კავკასიის საბჭოთა მწერლების ფედერაცია.

შირვანზადეს წინადადებით, მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნა რ.ს.ფ.ს.რ.-ის საბჭოთა მწერლების ფედერაციას. (ადს).

სას. სამ. საკრედიტო ამხანაგობების მუშაობა
(საქართველოს სას.-სამ. კრედიტის სისტემის ინსპექტორთა თათბირი)

თათბირის მეხუთე სხდომაზე მოსმენილი იქნა სასოფლო - სამეურნეო კრედიტის ინსპექტორის **გ. კიკვაძის** მოხსენება სასოფლო-სამეურნეო საკრ. ამხანაგობათა მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ძირითად ქსელში სათანადო სიმაღლეზე ვერ არის დაყენებული ანგარიშწარმოება, რაც აიხსნება ძირითად ქსელის მუშაკთა დაბალი კვალიფიკაციით. ამავე მიზეზით მოიკოჭლებს კოოპერატიული მუშაობა ამხანაგობებში. მართალია წინა წლებში მოწყობილი იქნა მოანგარიშეთა გადასამზადებელი კურსები, რომლებზედაც მოწვეული იყვნენ ძირითად ამხანაგობების მოანგარიშეები, მაგრამ მარტო მოანგარიშეების გადამზადება არ კმარა და საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები ძირითად ქსელის ყველა მუშაკების გადასამზადებლად. ამ მიზნით მიმდინარე წლის სექტემბერში თბილისში მოეწყობა ერთ თვიანი კურსები, რომელზედაც მოწვეული იქნება 80 მოანგარიშე (ავტონომიურ რესპუბლიკებს დაეთმობათ 30 ადგილი). სექტემბრის დამლევისათვის რაიონებში მოეწყობა სარევიზიო კომისიის წევრების გადასამზადებელი ერთკვირიანი კურსები, ხოლო 1 ოქტომბრიდან თბილისში გაიხსნება ხელმძღვანელ ორგანოების მუშაკთა გადასამზადებელი 6 თვიანი კურსები. სამივე კურსების ხარჯები ნავარაუდევია 64.200 მანეთის რაოდენობით.

ამხ. კიკვაძის მოხსენების შემდეგ განხილული იქნა ძირითად ქსელის ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების ნორმალიზაციის პროექტი და შემუშავებული იქნა ინსტრუქტორების მუშაობის გეგმა.

მეექვსე სხდომაზე გაიხსნა კამათი მოსმენილ მოხსენებების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს **შ. ფოფხაძემ**, **ი. არველაძემ**, **ნ. კალატოზოვმა**, **ცხომელიძემ**, **ს. გამყრელიძემ**, **გ. კიკვაძემ**, **დევიძემ**, **კაჭარავამ**, **გოგუშვილმა**, **კანდელაკმა**, **გიორგობიანმა**, **დგებუაძემ** და **ცხვარაძემ**.

ორატორები აღნიშნავდნენ, რომ ვადაგადაცილებული სესხების ჯამის ზრდა ნაწილობრივად გამოწვეულია მმართველი ორგანოების უმოქმედობით.

მე-7 სხდომაზე თათბირმა განიხილა და დაამტკიცა რეზოლიუციები, რის შემდეგაც თათბირი დაიხურა.

მუშაობა კვირა-უქმე დღეებში
ანუ
# განუწყვეტელი საწარმოო წელიწადი
საწარმოების ხელმძღვანელთა აზრი

საწარმოების ხელმძღვანელები მიზანშეწონილად და სასარგებლოდ სთვლიან განუწყვეტელი საწარმოო წელიწადის შემოღებას.—მუშაობის ეს წესი პირველ რიგში შემოღებული უნდა იქნას ნედლეულით უზრუნველყოფილ საწარმოებში.—განუწყვეტელ მუშაობაზე გადასვლასთან დაკავშირებული საკითხები საჩქაროდ და დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, წინადადება განუწყვეტელი საწარმოო წლის შემოღების შესახებ, დიდ გამოხმაურებასა და თანაგრძნობას იწვევს მუშათა ფართო წრეებში და სამეურნეო მუშაკებში. ეს ერთი ხანია ამ საკითხის შესახებ კამათია მოსკოვის გაზეთებში. საქართველოში ჩვენმა გაზეთმა უკვე მოათავსა ზოგი მასალა ამის შესახებ. ქვემოთ ვაძლევთ ამ საინტერესო საკითხზე ჩვენი კორესპონდენტის საუბარს მთელ რიგ სამეურნეო მუშაკებთან.

ამხ. ხარაზიანი
(პოლიგრაფტრესტი)

— პოლიგრაფიულ მრეწველობაში განუწყვეტელი საწარმოო წელიწადის შემოღება მთელი ტრესტის მასშტაბით არ იქნება მიზანშეწონილი. ეს იმიტომ, რომ ტრესტი აერთიანებს უმთავრესად ისეთ საწარმოო ერთეულებს, (სტამბები, ლიტოგრაფიები და სხვა), რომლებიც შეკვეთებისა და ქაღალდის სიმცირის გამო, ხშირათ იძულებული არიან შეამოკლონ მუშაობის მასშტაბი. ხუთწლიანი გეგმით ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს მოვახდინოთ ყველა პოლიგრაფიული საწარმოო ერთეულების კონცენტრაცია. ამ ღონისძიების ცხოვრებაში გატარებით, ჩვენ ვფიქრობთ, მივაღწევთ სტამბების დატვირთვას შეკვეთებით. ასეთ პირობებში მთლიანი საწარმოო წელიწადის შემოღება პირადათ მე არ მიმაჩნია მიზანშეწონილად.

ამ ღონისძიების განხორციელება ე. ი. მთლიანი საწარმოო წელიწადის შემოღება; შესაძლებელი, მიზანშეწონილი და სასარგებლო იქნება მხოლოდ ლიტოგრაფიაში, რომელიც ამზადებს საეტიკეტო ნიშნებს, პლაკატებს და ასრულებს სხვა ხასიათის ლიტოგრაფიულ სამუშაოებს. ტრესტის ლიტოგრაფიაში მუშაობს 130 კაცი. ზედმეტი მუშა-ხელის შოვნა შესაძლებელი იქნება შრომის ბირჟის საშუალებით, ისე რომ აღნიშნულ საწარმოში განუწყვეტელი სამუშაო წელიწადის შემოღებას განსაკუთრებული დაბრკოლება არ გადაეღობება.

ამხ. პ. ფრიდონოვი
(თამბაქოს ტრესტი)

— ჩვენი ტრესტის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა, განსაკუთრებით რუსეთის და შორეულ მოკავშირე რესპუბლიკების ბაზრებზე. ნედლეული მასალით სრულიად უზრუნველყოფილი ვართ და, საერთოდ, ყოველ გვარი პირობები მოგვეპოვება იმისათვის, რომ შემოვიღოთ განუწყვეტელი სამუშაო წელიწადი. ამ ღონისძიების გატარებით ჩვენ შევძლებთ არსებულ საფაბრიკო მოწყობილების და მანქანების მაქსიმალურად გამოყენებას. ამავე დროს საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენი ფაბრიკების მოწყობილობა შესამჩნევათ მოძველდა და მათი მაქსიმალური გამოყენებით საშუალება მოგვეცემა დავაჩქაროთ ქარხნების რეკონსტრუქცია და მოწყობილობის განახლება.

გარდა ამისა განუწყვეტელი სამუშაო წლის შემოღებით ჩვენ საგრძნობლად შევამცირებთ უმუშევართა რიცხვს (რადგან დამატებით დაგვჭირდება 1.000-მდე მუშა), გავაიაფებთ და გავაუმჯობესებთ პროდუქციას და გავადიდებთ თამბაქოს მრეწველობის საბრუნავ თანხებს.

ამჟამად ჩვენი თამბაქოს მრეწველობა ყოველწლიურად გვაძლევს დაახლოებით 8.000.000 მანეთის პროდუქციას. განუწყვეტელ სამუშაო წელიწადის შემოღების შემდეგ ჩვენ შესაძლებლობა გვექნება მივიღოთ 1.600.000 მანეთზე მეტის პროდუქცია.

დანარჩენი საკითხები, რომელზედაც უნდა შევაჩეროთ ყურადღება, ეს არის კვირა-უქმე დღეებში საწარმოებში მეთვალყურეობის მოგვარება, გამოსასვლელი დღეების განაწილება და სხვა მსგავსი საკითხები. კვირაობით საწარმოებში საკანცელარიო მუშაობის წარმოება, მე მგონია, აუცილებელი არ იქნება. საჭირო გახდება მუშაობის ადგილებზე კვირა დღეებში ვიყოლიოთ სპეციალისტი აღმრიცხველები, რომლებსაც შეიძლება დავაკისროთ ადმინისტრაციის ფუნქციები მუშაობაზე მეთვალყურეობის დარგში.

ამხ. ნ. ზრევაძე
(საქ. სატყეო მრეწვ. ტრესტი)

განუწყვეტელ საწარმოო წელიწადის შემოღებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება, როგორც, საერთოდ, საბჭოთა კავშირის მრეწველობისათვის, ისე, კერძოთ საქართველოს სატყეო მრეწველობისათვის, რომლის პროდუქცია ამჟამად აკმაყოფილებს შინაურ ბაზრის მოთხოვნილების მხოლოდ 70 პროც.-ს და საკავშირო ბაზრის მოთხოვნილების 25 პროც.-ს. მუშაობის არსებული წესების დროს საქართველოს სატყეო მრეწველობა საგრძნობლად ვერ აფართოვებს საექსპორტო პროდუქციის დამზადების საქმეს.

ამხ. ლარინის წინადადების განხორციელება საგრძნობლად გაადიდებს ტრესტის პროდუქციას და წარმოებაში ჩაბმულ მუშების რიცხვს.

ამხ. ლარინის წინადადების განსახორციელებლად ჩვენს წარმოებას დასჭირდება სათბობი მასალის და ნედლეულის დამზადების გაფართოება და შრომის საკითხების მოგვარება. სათბობისა და ნედლეულის საკითხი ჩვენთვის ადვილი გადასაჭრელია. რაც შეეხება შრომის ორგანიზაციას, ეს საკითხი უფრო რთულია, ვინაიდან წარმოებისათვის საჭიროა კვალიფიციური მუშა-ხელი.

ყველა საწარმოს გადაყვანას განუწყვეტელ მუშაობაზე ერთბაშად, ჩემის აზრით, ვერ შევსძლებთ, რადგან საწარმოთა ნაწილი საჭიროებს აუცილებელ შეკეთება - რეკონსტრუქციას.

სატყეო მრეწველობის ტრესტი უკვე შეუდგა განუწყვეტელ მუშაობაზე გადასვლის საკითხის დამუშავებას. მას განზრახული აქვს განუწყვეტელ მუშაობაზე პირველ რიგში გადაიყვანოს თბილისის ფანერის ქარხანა.

ჩვენის აზრით, ამხ. ლარინის წინადადება დროული და მიზანშეწონილია და ღრმათ გვწამს, რომ შევსძლებთ მის განხორციელებას.

ამხ. აბრამიანი
(თბილისის მაკარონის ფაბრიკა)

კვირა - უქმე დღეებში მუშაობის შესახებ უნდა განვაცხადო, რომ შეუძლებელია პრინციპიალურად არ დავეთანხმოთ საქართველ-
მუნისტ“-ში წამოყენებულ წ ეტებს იშვიათ
ნაიდან შეუწყვეტელი მუშაო ერთა აზერბეი-
ინდუსტრიალიზაციის ტემპს.
ცანა უშუალოდ არის დაკავში ადოებრიობამ,
მის ორგანიზაციასთან. განუწყვეტელისა და სა-
ობა მოითხოვს განსაზღვრული მწერლობის
ციის მქონე მუშათა ახალ კ ნსაკუთრებული
ბიც საკმაოდ არ მოგვეპოვება ენ სომხეთის
რმოთათვისაც და ზოგიერთ
მუშაობა ფერხდება მათი ნა რმეტყველურად
ისმება კითხვა: თუ გად მომწიფდა
აღნიშნულ წინადადებას, მა ის კულტურუ-
მოვიყენოთ ჩვეულებრივ სა ცების საკითხი.
ახლად მიღებული კვალიფი
დრი? (ჩემის აზრით, ჩვეულ სის ეროვნება-
დღეებში საწარმოებში იმ განწყობილებას
მომუშავეთა ძირითადი კადრებისაკენ მხატ-
წინადადების განხორციელ დარგში, ხელა
უნდა ჩაითვალოს ის გარემ ნალურ პოლი-
წყვეტელი მუშაობის დროს
ლოწას დასჭირდება ერთი ქვეად ანხორ-
ნედლი მასალა, ვიდრე დღ უნისტური პარ-
დაბრკოლებებისა აღნიშნულ უფლება.
უნდა ჩაითვალოს ისეთ ზო ბლიკების მწე-
აუცილებლად განხორციელ
უყონებლივ უნდა დაიწყო ება, შესაძლე-
ბაში გატარების ტექნიკურ ნს პირობებში.
შესწავლა. ჰ - დამნაკურ
ჩემის აზრით, გამოყოფილ იც მოძმე ხა-
მდინიმე საწარმო, სადაც ცდ რხობოდა, ასე-
ღებულ იქნება კვირა-უქმე დ დებოდა, სომ-

ამხ. დ. რუხაძე
(საპონ-ზეთის ტრ[ესტი])

ა საქართვე-
კავშირი ახა-
— საპონ ზეთის ტრესტის ს ვისაც არ ას-
რა - უქმე დღეებით მუშაობა მშრომელ ხა-
ვსებით შესაძლებელია. ტრეს ვინც, კაცისქა-
ციაზე როგორც ჩვენში, ისე ნაციონალი-
პუბლიკებში, დიდი მოთხოვნ
ჩვენი საწარმოები იმუშავებ ისაც დაძრწის
ლად, პროდუქცია გაიზრდება ბათა დერეფ-
ტით. მაგრამ შეიძლება ზოგიერ გლეხური
ებში განუწყვეტელი საწარმო ილიუზიე-
შემოღებას ხელი შეუშალოს
მარაგების საქმემ. ასე, მაგალ
დელი ქარხნების მუშაობისათვის და აზერ-
დღეებში საჭირო გახდება გაცერ დაწყებუ-
ნედლი მასალის მომარაგება,
ვიმარაგებთ. მასალის მომარაგებას კი დააბრკოლებს მთელი რიგი მიზეზები.

ჩვენი ტრესტის წარმოებებში იმ ლოზუნგის ცხოვრებაში გასატარებლად, რომელიც საქართველოში გაზ. — „კომუნისტმა“ წამოაყენა — ე, ი. „6 დღე მუშებისათვის — 7 დღე წარმოებისათვის“, — საჭირო იქნება სპეციალური, ჩვენი ტრესტისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი საკითხების დაწვრილებითი შესწავლა. ასეთი საკითხებია ორთქლის მეურნეობის მდგომარეობა კვირა - უქმე დღეებში, გამოსასვლელი დღეების განაწილება სხვადასხვა ცვლაში მომუშავე მუშებს შორის და სხვა.

ტრესტის ყველა საწარმოებში მუშაობს 600-მდე მუშა და თუ განუწყვეტელი საწარმოო წელიწადი შემოვიღეთ ტრესტის საერთო მასშტაბით, საჭირო გახდება დაახლოებით აქედანვე უმუშევარის მოწვევა.

მე საჭიროდ მიმაჩნია, რაც შეიძლება ადრე დაიწყოს მუშაობა ამ მეტად დიდმნიშვნელოვანი რეფორმის ცხოვრებაში გასატარებლად.

ამხ. თხილავა
(თბილისის ალმასკომის ადგ. მრეწველობის განყ. გამგე)

პრინციპიალურად სავსებით ვიწონებთ ამხ. ლარინის წინადადებას კვირა-უქმე დღეებში მუშაობის შესახებ. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ამ მიზნის განხორციელება დაკავშირებულია მთელ რიგ ტექნიკურ საკითხებთან, როგორიც არის ნედლეულის მომარაგების, შრომის ორგანიზაციის, ფინანსების მიწოდების და სხვა საკითხი, რომლებიც მოითხოვენ დეტალურ დამუშავებას. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ზოგიერთ ჩვენი ფაბრიკა-ქარხანა კონსტრუქციის სიძველესა და სხვა მიზეზების გამო ყოველ კვირეულად საჭიროებს ნაწილობრივ შეკეთებას. შესაკეთებელია ერთი მანქანა, ურომლისოდაც მთელი მუშაობა შეჩერებულია. ასეთ ქარხნებში შეკეთება უმთავრესად სწარმოებს კვირაობით და ჩვენის აზრით ასეთ ფაბრიკა-ქარხნებში ხელსაყრელი არ იქნება ამხ.

დიდი უმრავლესობა, განსაზღვრული ღონის
საერთოდ უნდა ითქვას, რომ წარმოებების ძიებებით, თამამად შესძლებენ განუწყვეტელ მუშაობაზე გადასვლას, რითაც საგრძნობლად დაჩქარდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების ზრდა.

მაკდონალდის გეგმები

ლონდონი, 10 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„მაკდონალდს განზრახვა აქვს ჟენევას გაემგზავროს სექტემბერში, ერთა ლიგის მორიგი საერთო კრების დროს, ხოლო აგვისტოში ან სექტემბერში გაემგზავროს ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მაკდონალდი ფიქრობს, რომ პრეზიდენტ ჰუვერთან პირად კონტაქტს უფრო ადრე შეუძლია გაუგებრობის გადალახვა და ინგლისისა და ამერიკის დამოკიდებულების გაუმჯობესება, ვიდრე სხვა რომელიმე მეთოდს.

ჰენდერსონი მაკდონალდის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ

ლონდონი, 10 ივნისი. საგარეო პოლიტიკის საკითხების შესახებ ინტერვიუში, რომელიც დაიბეჭდა მუშათა პარტიის ორგანოს „დეილი ჰერალდ“-ში, საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰენდერსონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მაკდონალდის მთავრობა იხელმძღვანელებს „საერთაშორისო თანამშრომლობის იდეით, ამასთან იგი ითანამშრომლებს როგორც ერთა ლიგაში შემავალ სახელმწიფოებთან, ისე იმათთან, რომელნიც ერთა ლიგაში არ შედიან, მაგ., ამერიკის შეერთ. შტატებთან და საბჭოთა კავშირთან“.

შემდეგ ჰენდერსონი შეეხო ინგლისისა და ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის საკითხს და სთქვა: „ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან უდავოა, რომ მრავალი საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ მისი მონაწილეობით. რაც შეგვიძლია ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ განვამტკიცოთ კავშირი ორი უდიდესი ინგლის-საქსონური დემოკრატიის შორის“. (ადს).

„ობსერვერ“-ი ჩრდ.-ამერიკის შეერთ. შტატებთან დამოკიდებულების შესახებ

ლონდონი, 10 ივნისი. ყოველკვირეული დამოუკიდებელი კონსერვატიული გაზეთი „ობსერვერ“-ი მეთაურ წერილში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინგლისის საგარეო პოლიტიკის მთავარ პრობლემას შეადგენს ამერიკასთან დამოკიდებულება.

42 წელიწადი პედაგოგიურ ასპარეზზე
მ. მ. ბჟანია

მ. მ. ბჟანია დაიბადა 1864 წელს კოდორის მაზრის სოფელ ილორში, ღარიბი აფხაზი გლეხის ოჯახში. მან ადრე დაჰკარგა მშობლები და ბავშობა გაატარა თავის ღარიბ ბიძასთან, რომელმაც ბავშს შეამჩნია ცნობისმოყვარეობა და სწავლის დიდი სურვილი. ბიძამ იგი ოჩემჩირის სკოლაში მიაბარა. აქედან პატარა მელიტონი, მასწავლებლისა და ბიძის დაუკითხავად, ფეხშიშველი მიდის სოხუმში იმ განზრახვით, რომ რომელიმე სკოლაში შესულიყო ხაზინის ხარჯზე. და მართლაც, ზოგიერთ პირის დახმარებით, ის ახერხებს სოხუმის ქალაქის სკოლაში შესვლას. ეს სკოლა მან დაამთავრა 1883 წელს და ხაზინისავე ხარჯზე გაგზავნეს ქუთაისის (ქ. ხონში) სამასწავლებლო სემინარიაში. აქ მან ოჯახური პირობების გამო სწავლა ვერ დაამთავრა და 1886 წელს დაინიშნა სოფელ ლესიჩინში (ზუგდიდის მაზრა) მასწავლებლის თანამდებობაზე. 1890 წელს გადაიყვანეს დრანდის ერთკლასიან სკოლაში, საიდანაც 1897 წელს დაინიშნა გუდაუთის ორკლასიანი სკოლის უფროს მასწავლებლად, ხოლო 1904 წელს ამავე თანამდებობაზე გადაყვანილ იქნა დრანდის სკოლაში. 1908 წელს დაინიშნა უფროს მასწავლებლად ილორის ორკლასიან სკოლაში, სადაც მ. მ. ბჟანიას ამჟამად გამგის თანამდებობა უჭირავს.

42 წლის მოღვაწეობის დროს მ. მ. ბჟანია პატიოსნად და ერთგულად ასრულებდა თავის მოვალეობას. მან სავსებით გაამართლა სახალხო მასწავლებლის მაღალი სახელწოდება.

ჯერ კიდევ ლესიჩინის სკოლაში მასწავლებლად ყოფნის დროს იგი, ახალგაზრდა სტუდენტის, მიხა ცხაკაიას ზეგავლენით, ჩაება არალეგალურ რევოლუციონურ მუშაობაში, ეწეოდა გლეხობის შორის ანტირელიგიურ და მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდას.

მთელი მისი მოღვაწეობა აფხაზეთის ფარგლებში მიმართული იყო და არის გლეხობის ფართო ფენების კულტურული გარდაქმნისა და გათვითცნობიერებისაკენ. 1922 წლიდან დღემდე ის არის ილორის თემის საბჭოს აქტიური წევრი, თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოების, რემედასის, წითელი ჯვრის ილორის ორგანიზაციის ორგანიზატორი და თავმჯდომარე. ილორში მისი ინიციატივით გაიხსნა სოხუმის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების განყოფილება საცდელი მინდვრით, სასოფლო-სამეურნეო მანქანების გასაქირავებელი სადგური, კოოპერატივი, სამკითხველო და სხ.

მ. მ. ბჟანიამ თავისი იდეური და პრაქტიკული მოღვაწეობით დიდი პოპულარობა და პატივისცემა მოიპოვა გლეხობის შორის. ის ერთი პირველი აფხაზთაგანი იყო, რომელიც შევიდა თავისი ხალხის ფართო მასაში განათლების ჩირაღდნით. მ. მ. ბჟანიას გათვალისწინებული ჰქონდა ამ გზის განსაკუთრებული სიძნელე და 42 წლის განმავლობაში იგი უმწიკვლოდ და პატიოსნად ემსახურებოდა კულტურული მებრძოლის საყვარელ საქმეს.

ამ ცოტა ხანში ქალაქ ოჩემჩირეში, განათლების მუშაკთა კავშირის ინიციატივით, გადახდილი იქნება მ. მ. ბჟანია 42 წლის სამასწავლებლო მოღვაწეობის იუბილეი.

მისი მოღვაწეობა არ შეიძლება არ აღინიშნოს მშრომელი მასის ფართო წრეში, რომელიც მადლობას გამოუცხადებს იუბილიარს 42 წლის თავდადებული მუშაობისათვის კულტურის ფრონტზე.

სალამი ჩვენს იუბილიარს.

განათლების მუშაკთა კავშირის კოდორის განყ. თავმჯდომარე — ა. მარღანია.

საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე — გ. ჯაფარიძე.

ადგილობრივი მრეწველობა

მრეწველობას ჩვენში მხო-
მისი
რალში,—ჩვენ მას ორივე ხელით ტაშს დაუკრავთ“. (ადს).

სნოუდენი მოუწოდებს

ლონდონი, 10 ივნისი. ფინანსთა მინისტრი სნოუდენი „რეინოლდს“-ში (კოოპერატიული მოძრაობის ამას წინად შექმნილი ორგანო) მოთავსებულ წერილში მოუწოდებს ლიბერალებს—ნუ მოითხოვთ საარჩევნო უფლების რეფორმას, არამედ დაეხმარეთ მუშათა პარტიის მთავრობას მისი უფრო მნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრაში.

სნოუდენი აღნიშნავს, რომ თუ მთავრობამ მოახერხა ისეთი საკითხების სიმწვავის შენელება, როგორიც არის, მაგ. უმუშევრობის საკითხი, მაშინ ბევრი დრო დარჩება იმისათვის, რომ საარჩევნო რეფორმას შევუდგეთ. (ადს)

კამპანია ბოლდუინის წინააღმდეგ

ლონდონი, 10 ივნისი. ზოგიერთი კონსერვატიული გაზეთი კამპანიას აწარმოებს ბოლდუინის წინააღმდეგ. ისინი მოითხოვენ ბოლდუინის გადაყენებას კონსერვატიული პარტიის ლიდერობიდან. გაზეთები ბრალსა სდებენ ბოლდუინს, რომ მან თავისი მომხრეები კატასტროფამდე მიიყვანა. „დეილი მეილ“-ი წინადადებას იძლევა—კონსერვატიული პარტიის ლიდერობა გადაეცეს ლორდ ბივერბრუკს, ცნობილი საგაზეთო ტრესტის („დეილი ექსპრეს“-ისა და სხვა გაზეთების) მფლობელს.

„დეილი მეილ“-ი აცხადებს, რომ თუ ბოლდუინი კონსერვატიული პარტიის ლიდერად დარჩება, კონსერვატიული პარტია დაიღუპება. (ადს).

თემთა პალატის არჩევნების საბოლოო შედეგები

ლონდონი, 10 ივნისი. გამოქვეყნდა თემთა პალატის არჩევნების საბოლოო შედეგები. ჯერ გამოურკვეველი არ არის არჩევნების შედეგი მხოლოდ რეგალის ოლქში, სადაც არჩევნები 13 ივნისისათვის გადაიდო მუშათა პარტიის კანდიდატის გარდაცვალების გამო რამოდენიმე დღით ადრე არჩევნებამდე. დანარჩენ 614 მანდატიდან მუშათა პარტიას ეკუთვნის—288 მანდატი, კონსერვატორებს—259, ლიბერალებს—58 და უპარტიოებს—9. (ადს).

პოლიტიკან აღმოსავლეთის ქვეყნებში

იქნა ახალი მშენებლობა, რომლისთვისაც შესა-
ფონდიდან გაღებულ იქნა წლის განმავლობაში 1.218.893 მან., საკავშირო საამშენებლო ფონდიდან 267.600 მან., ხოლო ადგილობრივი სახსრებიდან 370.100 მან. ახალ მშენებლობაზე დაიხარჯა 1.856.593 მან., სულ ადგილ. მრეწველობაზე კი—2.237.241 მან. აქ
აღინიშნოს, რომ არსებულ საწარმოების გაზეთი ...დაიხარჯა მხოლოდ 245.648
შო მოთავსებულ უმთავრესი სიმძიმე 1927—
რაციების აკრძალ ილია უკვე ახალ მშენებ-
წერილში ნათქვა
„დემონსტრაც ების ხვედრითი წონა უდ-
ბულია. მაგრამ ობაზე 82,9 პროც., შეკე-
მანიის მშრომელ ციაზე 17,1 პროც.
ლისუფლების დრ კვნა აშკარა, სახელდობრ
ვითარ შემთხვევა რეკონსტრუქციის პერიო-
რეაქციონური კ კა და მომავალი წლების
ნაამდეგ რბილად შემთხვევაში უნდა მო-
ფაშისტური რეაქციონერობას. თუ მიმდინარე
ვოკაციის საშუალობანდებებს შესაფერ ანა-
ლეგალური დემო აუცილებლად მივალთ ზე-
ახალი რეპრესიე მედ. გეგმის მიხედვით
თელი კავშირისა 121,4 ათასი მან., აქედან:
ძალვა ძალაში რჩ ო. მან., ახალ მშენებლობა-
რატია და გ
კომპარტიის ა
სპოლის ტენდენც ის ხვედრითი წონა უდრის
შისტური დიქტ კაპიტალურ შეკეთებას—
ლად. მუშათა კლ ების ადგილ. მრეწვ. 1928
მაისში აღებული ადი კაპიტალის მხოლოდ
წირა 80 კაცისმოკიდებულების სხვა-
ლელო რჩება“. (ადა, ვიდრე მიმდინარე რე-
მასებულია. კაპიტალურმა დაბან-
ბერლინი, 1 —28 წლის განმავლობაში
პარტიამ მიიღო შემდეგი. საერთო პროდუქ-
რისთ წითელი დ შისი (7.336,2 ათასი
სოფლის მუშათა გაიზარდა 20,4 პროც.
დღედ იმპერიალი წინა წლის ფასებში). მუშა
და საბჭოთა კავშ პროც. 1927—28 წლ. სა-
მობილიზაცია მ ხვედრითი წონა რესპუბ-
ლი გერმანიის კ ობასთან შედარებით უდ-
ბრძოლასთან სოც
ალიციური მთავარ
ტემის და რეფორ რომ წარმოებათა მთელი
რული. გამოიწვე და ეკონომიური მაჩვენებ-
ბერლინი, 1 ალითად, შრომის პროდუქ
პორტო სახასხლ ფასების დაკლება და სხვ.
გერმანიის კომპა სურათს ვერ იძლევა. აგ-
ჰუქერტიან, რომ მოწესრიგებული მიმდინარე
გერმანიის კომპა ა საბრუნავი თანხების სა-
მასების მობილი
ხელმწიფოს, მრეწობით სუსტად არის დაყე-
დემოკრატიის მეკონომიური რაიონების შეს-
რიალისტური ოდო საწარმოთა ტიპების შე-
ველად, საბჭოთა ჩამოყალიბებული
„ჩვენი ს ორგანიზაციული ფორმებიც.
საკითხზე სათანადო პასუხი უნდა
ვასცეს ს. მ. უ. ს. მიერ მოწვეულმა ადგილ.
მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკანურმა თათბირმა

ი. ნარსია.

რკინის ნატეხების შეგროვება ა.-კავკასიაში
მაისში შეგროვდა 3.717 ტონა ნატეხები

ამა წლის მაისის განმავლობაში ა.-კავკასიასა და შუა აზიაში შეგროვდა 3,717 ტონა რკინის ნატეხი. აქედან აზერბეიჯანში — 2.365 ტონა, საქართველოსა და სომხეთში — 1.352 ტონა. მაისის განმავლობაში გეგმით განზრახული იყო 6.530 ტონას შეგროვება. გეგმის შეუსრულებლობა აიხსნება იმით, რომ „აზნეფტი“ შმიდტის ქარხნიდან რკინის ნატეხებს აღარ აბარებს სათანადო ორგანოს, „კასპარი“ ამ საქმისათვის საჭირო გემებს აღარ იძლევა და სხვა. (ადს)

რკინის ნატეხების მოგროვებას ა.-კავკასიაში საფრთხე მოელის

ა.-კავკასიაში რკინის ნატეხების შეგროვების წლიური გეგმის შესრულებას საფრთხე მოელის. ამ გეგმით, „აზნეფტს“, წლის მეორე ნახევარში სათანადო ორგანიზაციისათვის უნდა ჩაებარებინა 17.800 ტონა რკინის ნატეხები. აქედან 9.800 ტონა სარეწაოებიდან და 8.000 ტონა შმიდტის ქარხნიდან. აპრილისა და მაისის განმავლობაში „აზნეფტ“-მა შმიდტის ქარხნიდან არ ჩააბარა 1.350 ტონა და საერთოდ ამ ქარხნიდან რკინის ნატეხების ჩაბარებაზე უარი სთქვა. შმიდტის ქარხნის ეზოებში დაგროვებულია რკინის ნატეხების დიდი რაოდენობა. (24.570 ტონა), რომლის გადარჩევასაც „აზნეფტი“ არ იწყებს.

ნატეხების შეგროვება ა.-კავკასიაში აპრილისა და მაისის განმავლობაში შესრულებული არ არის 30 პროცენტით. ეს საფრთხეს უქმნის ჩვენი მრეწველობისათვის რკინის ნატეხების მიწოდების საქმეს; ამით ა.-კავკასიაში გეგმის შესრულებას დააკლდება, საშუალოდ 10.000 ტონა ან 8 პროცენტი საბჭოთა კავშირში. (ადს)

კოლექტიურად შევინახოთ ობლიგაციები
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბის მუშებმა გამოიწვიეს 1-ლი სტამბის მუშები

ხელმძღვანელი ორგანიზაციებისა და ამხანაგების მოწოდება, რომ მუშა-მოსამსახურეებმა რაც შეიძლება ხანგრძლივად შეინახონ მათ მიერ შეძენილი ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციები, ცხოველ გამოხმაურებას პოულობს მშრომელთა ფართო მასებში. მთელ რიგ წარმოებების მუშებმა თავიანთ საერთო კრებებზე მიიღეს დადგენილება სესხის ობლიგაციების კოლექტიურად შენახვის შესახებ და ამ მხრივ კიდეც გადადგეს სათანადო ნაბიჯი.

მოწოდებას გამოეხმაურა აგრეთვე პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბის და გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციის მუშა-მოსამსახურენი.

კვირას, 9 ივნისს შესდგა ხსენებული სტამბის მუშების საერთო კრება რედაქციის თანამშრომლებთან ერთად. კრებამ სხვა საკითხებთან ერთად განიხილა საკითხი ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების კოლექტიურად შენახვის შესახებ და, მცირე მსჯელობის შემდეგ მიიღო დადგენილება კოლექტიურად იქნას შენახული ობლიგაციები.

სესხის გავრცელების ხელისშემწყობ კომისიას დაევალა ცხოვრებაში გაატაროს საერთო კრების დადგენილება. იგივე კომისია განიხილავს იმ პირთა განცხადებებს, რომელნიც უკიდურესი გაჭირვების, ან რაიმე მოულოდნელი უბედურების გამო იძულებული იქნებიან ვადამდე გაყიდონ, ან დააგირაონ სესხის ობლიგაციები.

ამავე კრებამ დაადგინა გამოიწვიოს პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბის მუშა-მოსამსახურენი ობლიგაციების კოლექტიურად შენახვაში.

მე-5 სტამბის მუშების ამ დადგენილებას უნდა მიბაძოს თითოეული წარმოება-დაწესებულების მუშა-მოსამსახურეებმა, რომელთაც ჯერ არ გამოუტანიათ ასეთი დადგენილებანი.

ს. გორგაძის გარდაცვალება

ივნისის 10-ს, ნაშუადღევის 5 ს., გარდაიცვალა ისტორიკოსი სერგი რომანოზისძე გორგაძე. განსვენებული დაიბადა 1876 წ. ყაზანის სასულიერო აკადემიაში უმაღლესი განათლების მიღების შემდგომ, მასწავლებლად განემწესა ახალსენაკში. სამეცნიერო - სალიტერატურო მუშაობას იწყებს აკადემიაშივე ყოფნის დროს. განსვენებული შეუწყვეტლივ განაგრძობდა მუშაობას ორსავე სარბიელზე უკანასკნელ დრომდის. მის კალამს ეკუთვნის თვალსაჩინო გამოკვლევები საქართველოსა და ქართ. ლიტერატურის ისტორიიდან, ისევე როგორც ქართ. ენათმეცნიერების და სიტყვიერების თეორიიდან. ს. გორგაძე იყო აგრეთვე საქ. საისტ. და საეთნ. საზოგადოების ერთი დამაარსებელთაგანი და აქტიური თანამშრომელი და იმავე საზ-ის უდიდესი მუზეუმის გამგე.

სათანადო დაწესებულებათა მიერ გამოყოფილ იქნა დამკრძალავი კომისია, რომელშიაც შედიან: ვუკ. ბერიძე, პროფ. გ. ახვლედიანი, გ. გოგუაძე, ს. ყაუხჩიშვილი, ვ. ძიძიგური, ირ. სონღულაშვილი და ს. ჯანაშია

ი.

რა ხდება ადგილებზე

ტყიბულის პარტკონფერენცია

ტყიბული, 10 ივნისი. 9 ივნისს გაიხსნა ტყიბულის რაიონის მეშვიდე მორიგი პარტკონფერენცია.

დღის წესრიგში სდგას მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-XVI კონფერენციის შედეგებისა და ტყიბულის მაღაროების მდგომარეობის შესახებ. (ადს).

75 პროც. უვარგისი საქონელი

სოხუმი, 10 ივნისი. გუდაუთის საკრედიტო ამხანაგობის სანერგედან გლეხებს და კოლექტიურ მეურნეობებს მიეცათ 12.000 ვაზის ნერგი. აქედან 75 პროცენტი უვარგისი გამოდგა. სამაზრო საადგილმამულო განყოფილებამ შეადგინა ოქმი, რათა გლეხებს აენაზღაუროთ ზარალი. გუდაუთის საკრედიტო ამხანაგობის სანერგე მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია. მასში დამზადებული ატმის, მსხლის და ვაშლის ნერგი 100 პროცენტით უვარგისია. გლეხები უარს ამბობენ ასეთი ნერგების წაღებაზე. სანერგეში ადგილი აქვს სრულ უყაირათობას და აგრონომის ელემენტარული წესების არ ცოდნას. (ადს).

გუმისტის ტყის გამოკვლევა

სოხუმი, 10 ივნისი. ამ დღეებში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი შეუდგება გუმისტის ტყის გამოკვლევას. გუმისტის ტყე მდებარეობს მდინარე [illegible] გუმისტას ხეობაში. მას უჭირავს 20.000 ჰექტარი. ტყეში ბლომად მოიპოვება წაბლი, იფანი და სხვ. გამოკვლევამ უნდა გამოარკვიოს ტყით დაფარული სივრცე, გამოჰყოს ადგილები ხეების სხვადასხვა ჯიშების გასაშენებლად და სხვ.

ახლო მომავალში განზრახულია სამუშაოები ტყის გასაშენებლად აფხაზეთის სხვადასხვა ადგილებში. (ადს).

სრულიად აფხაზეთის სახალხო დოღი

სოხუმი, 10 ივნისი. 16 ივნისს სოხუმში ეწყობა სრულიად აფხაზეთის სახალხო დოღი, გლეხთა საუკეთესო ცხენების მონაწილეობით. ამავე დროს გაიხსნება ცხენთსაშენის კვიცების გამოფენა (ადს).

აბრეშუმის მოსავალი საფრთხეშია

მაისის დამლევს და ივნისის დამდეგს დასავლეთ საქართველოში რამოდენიმე დღის განმავლობაში მძვინვარებდა გრიგალი, რომელმაც გაანადგურა ნათესების დიდი ნაწილი და საგრძნობათ დააზიანა ბაღვენახები. ამ.-კავ. ვაჭრობის სახ. კომისარიატში მიღებული ცნობით, დასავლეთ საქართველოში გრიგალმა გაანადგურა თუთის ხეების 60 პროცენტზე მეტი, რის გამო საფრთხეში ჩავარდა აბრეშუმის მიმდინარე წლის მოსავალი.

ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის და ქუთაისის მაზრებიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ თუთის ფოთლის ნაკლებობის გამო შეუძლებელი ხდება აბრეშუმის ჭიის გამოკვება. ინკუბაციის წესით გამოყვანილი ჭია მესამე ჰასაკში იმყოფება. მათთვის საკვები საჭიროა კიდევ ექვსი დღის განმავლობაში. რკინიგზის ლიანდაგის გასწვრივ, სადაც გაშენებულია თუთის ხის დიდი რაოდენობა, ფოთოლი არ იშოვება. ფოთლის საშოვნელად გლეხებს დიდ მანძილზე სიარული უხდება ტყეში. თუთის ფოთლის ფასი ზღაპრულად გაიზარდა. გლეხობის კულაკური ნაწილი არ ყიდის თუთის ფოთოლს და უცდის ფასების უფრო აწევას. ჭიები თითქმის ყველგან ჯანსაღია. გლეხები, რომლებსაც, არ შეუძლიათ თუთის ფოთლის ყიდვა (სიძვირის გამო), იძულებული არიან გადაყარონ ჭია. „საქართველოს აბრეშუმმა“ გლეხების დასახმარებლად მიიღო სასწრაფო ზომები. დასავლეთ საქართველოში გადაგზავნილია 100.000 მანეთი, რომლითაც შეძენილი იქნება თუთის ფოთოლი განსაკუთრებით დაზარალებულ რაიონებისათვის. გარდა ამისა, დასავლეთ საქართველოში გაიგზავნა კომისია „საქართველოს აბრეშუმი“-ს და საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენელთა შემადგენლობით, რომელსაც დავალებული აქვს ადგილობრივ მიიღოს საჭირო ზომები.

დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციის საკითხი
(დამცველთა კოლეგიის წევრების კრებაზე)

შაბათს, 8 ივნისს, იუსტიციის სახალხო კომისარიატის შენობაში შესდგა დამცველთა კოლეგიის წევრების საერთო კრება.

დღის წესრიგში იდგა დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციის საკითხი, მოხსენებით გამოვიდა დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. **სიჭინავა.**

ამხ. სიჭინავას მოხსენება

— დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციის საკითხი, — ლაპარაკობს მომხსენებელი, დიდი ხანია დასმულია იუსტიციის მუშაკთა წრეში. რეორგანიზაციის აუცილებლობა აღიარა იუსტიციის მუშაკთა მე-6-ე საკავშირო ყრილობამაც. ამის შესახებ ბევრი დაიწერა პრესაში, ბევრმა გამოსთქვა თავისი აზრი. ზოგი მოითხოვდა დამცველთა კოლეგიის სავსებით გაუქმებას, მაგრამ უმრავლესობამ მიიღო ის აზრი, რომ დამცველი სასამართლო საქმიანობაში უსათუოდ საჭიროა და ის დახმარებას გაუწევს სასამართლოს, თუ რასაკვირველია, სათანადო სიმაღლეზე იდგომება, რისთვისაც საჭიროა თანამედროვე ადვოკატურის მთელი სისტემის ძირიან - ფესვიანად შეცვლა.

მომხსენებელი ეხება დამცველთა კოლეგიის ეხლანდელ მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ დაცვის ეხლანდელმა სისტემამ არა თუ მოსჭამა თავისი დრო, არამედ ის სავსებით ეწინააღმდეგება თანამედროვე სახელმწიფოებრივ წყობილებას. ჰონორარის სისტემა, დამცველის მატერიალური დამოკიდებულება კლიენტისაგან, ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომ დამცველი ობიექტივობას ჰკარგავს და ოღონდ კი თავის კლიენტს უშველოს, არ დაეძებს, ჭეშმარიტების გამორკვევას. ადგილი აქვს ყოვლად უმსგავსო კონკურენციას ცალკე დამცველთა შორის კლიენტების წართმევისათვის, სწარმოებს ვაჭრობა ყოვლად მახინჯ ფორმებში, რაც ჯერ ერთი ზნეობრივად აქვეითებს თვით ადვოკატს, უკარგავს მას წონას სასამართლოს თვალში და სახელს უტეხს მთელს დამცველთა კოლეგიას, როგორც ორგანიზაციას.

მომხსენებელი ეხება საკითხს, თუ როგორი უნდა იქნეს თანამედროვე პირობებში ადვოკატურის მუშაობის სისტემა და ასაბუთებს, რომ ერთად - ერთ მისაღებ ფორმად უნდა იქნეს მიჩნეული კოლექტიური მუშაობა. ეს დაამტკიცა გამოცდილებამ საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში: ლენინგრადში, მოსკოვში, ხარკოვში და სხვ.

მუშაობის კოლექტიური ფორმა სპობს გაუტანლობას, მეტოქეობას, ამყარებს ამხანაგურ დამოკიდებულებას დამცველთა შორის. მატერიალური დაინტერესების მოსპობით დამცველი გახდება სავსებით ობიექტიური, ის იქნება დამხმარე ელემენტი სასამართლოში. გარდა ამისა ეს გააუმჯობესებს დამცველთა მატერიალურ მდგომარეობასაც.

დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმმა უკვე დაადგინა კოლექტიურ მუშაობაზე გადასვლა და გამოიმუშავა სათანადო პროექტი.

— ჩვენი მიზანია, აცხადებს მომხსენებელი, მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ პროკურორსა და დამცველს შორის არ იყოს არავითარი განსხვავება, რომ დამცველი სარგებლობდეს ისეთივე ნდობით, როგორც სახელმწიფო პროკურორი.

ი. დოლუხანოვის თანამოხსენება

თანამოხსენებით იმავე საკითხზე გამოვიდა დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრი **ი. დოლუხანოვი,** რომელიც უმთავრესად შეეხო გამომუშავებული პროექტის, დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციის შესახებ.

— ძველ ჩარჩოებში მომწყვდევამ, — ლაპარაკობს ორატორი, — ჩვენ ჩამოგვაცილა თანამედროვეობას, დაგვიკარგა წონა და ავტორიტეტი, რაც ჩვენ უნდა მოვიპოვოთ ყოველ მიზეზს გარეშე. ამიტომ მე ვემხრობი რეორგანიზაციას.

ორატორი ზოგადად ეხება პროექტის შინაარს და აღნიშნავს, რომ განზრახულია თბილისში დამცველთა რამოდენიმე კოლექტივის მოწყობა. თითო კოლექტივში შევა დამცველთა განსაზღვრული რაოდენობა. კოლექტივები იმუშავებენ რაიონების მიხედვით. თავის რაიონში ყოველ კოლექტივს უნდა ექნეს მონოპოლიური უფლება დაწესებულებებისა, თუ კერძო მოქალაქეების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეში. ყოველგვარი იურიდიული დახმარებისათვის დაწესებული იქნება განსაზღვრული გასამჯელო.

კოლექტიურ მუშაობაზე გადასვლა ჯერ-ჯერობით უნდა მოხდეს მარტო თბილისში.

დოლუხანოვის თანამოხსენების მოსმენით დამთავრდა პირველი სხდომა. კამათი გადაიდო მეორე დღისათვის.

კამათი

კვირას, 9 ივნისს დილის სხდომაზე დაიწყო კამათი მოხსენების გარშემო.

პირველად გამოვიდა დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრი **შ. მესხიშვილი.** ორატორი არ ეთანხმება მომხსენებლებს და ლაპარაკობს, რომ კოლექტიური ფორმა მიუღებელია. მისი აზრით უნდა დარჩეს დამცველთა კოლეგია ისეთივე ორგანიზაციის სახით, როგორც ეხლა არის, მხოლოდ საჭიროა მისი შემადგენლობის გაწმენდა და გადახალისება.

რეორგანიზაციის წინააღმდეგ გამოვიდნენ აგრეთვე დამცველთა კოლეგიის წევრები **ანდრონიკაშვილი და მკურნალი.**

შემდეგ ილაპარაკა დამცველთა კოლეგიის წევრმა **ა. გელოვანმა,** რომელმაც თავის ვრცელ და დასაბუთებულ სიტყვაში გააქარწყლა რეორგანიზაციის წინააღმდეგ გამოსული ორატორების მოსაზრებები.

ამით გათავდა კვირის სხდომა. კამათი გადაიდო მომავალ შაბათისათვის.

საქართველოს მწერლები ბაქოში
IV *)

წინა წერილში ჩვენ მოკლეთ მოვიყვანეთ აზერბაიჯანის სახალხო განათლების კომისარის მოხსენების შინაარსი. მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა - გამოცვლა.

აზ. სახელგამის გამგე ამხ. **ჰეპინოვის** განცხადებით, წლიურათ ქართული ნათარგმნი ლიტერატურის გამოსაცემათ მათ გადადებული ქონიათ 20 საბეჭდი ფურცელი. ნაწილი უკვე მოუხმარიათ, გამოუციათ ყველა ის ქართველი მწერალი, რომელთა ნაწარმოებიც მიუღიათ, ეხლა კიდევ მოუთხოვნიათ საქართველოს სახელგამიდან იმ ნაწარმოებთა სია, რომლებიც უნდა გადაითარგმნოს და გამოიცეს.

საქართველოს სახელგამს ჯერ ხელიც არ გაუნძრევია. ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება **ბ. ჟღენტმა,** რომელმაც მოითხოვა გადადგმულ იქნეს საქართველოს სახელგამის მიერ ენერგიული ნაბიჯი თურქული მწერლების გამოსაცემათ ქართულ ენაზე.

პაოლო იაშვილი შეჩერდა თურქული მწერლების ორგანიზაციის საკითხზე. უნდა მოეწყოს მწერალთა ფედერაცია, რომელიც გააერთიანებს ყველა მიმდინარეობის საბჭოთა მწერლებს და უფრო გეგმიან ხასიათს მისცემს მწერლების მოღვაწეობას.

შეუწყნარებელი და გაუმართლებელია ჩვენი ამდენი ხნის დაგვიანება ურთიერთ ინტერნაციონალურ დაახლოვების საქმეში, განაცხადა ამხ. **ბუაჩიძემ,** დროა შევიგნოთ და გავითვალისწინოთ მთელი მავნებლობა იმ განკერძოებისა და ურთიერთ არცოდნისა, რომელსაც დღემდე ქონდა ადგილი. ეს შეხვედრა უნდა გახდეს ჩვენი ლიტერატორების და კულტურულ მუშაკების სისტემატიური ურთიერთობის დასაწყისად. ჩვენ ამ თავითვე უნდა გამოვიმუშაოთ კულტურული კავშირის კონკრეტული გეგმა.

საღამო დამთავრდა ბანკეტით, რომელზედაც საქმიან აზრთა გაცვლა-გამოცვლის გარდა წარმოითქვა რამოდენიმე აღფრთოვანებული საზეიმო სიტყვა. ბანკეტზე ლექსები წარმოსთქვეს პოეტებმა. ს. რუსტემმა, იურინმა, კ. ლორთქიფანიძემ, გუსეინ ჯავადმა, პ. იაშვილმა, ჯავიდმა, სანილიმ, ი. გრიშაშვილმა, ტ. ტაბიძემ და ქუჩიშვილმა. სახ. ოპერის მსახიობებმა სარაბსკიმ და განჯიბეკოვმა შეასრულეს თურქული და სომხური რომანსები როიალზე აკომპანიმენტით, დიდი ხელოვნებით შესრულებულ იქნა აგრეთვე თარზე რამოდენიმე აზერბაიჯანული ხალხური მელოდია.

⁂

ბაქოში რამოდენიმე ქალთა კლუბია, მაგრამ ჩვენს გეგმაში შეტანილია მხოლოდ ბაირამოვის სახელობის კლუბის დათვალიერება.

საბუნჩის ელექტრო-რკინიგზის სადგური

— ალბათ იგი განსაკუთრებული კლუბი უნდა იყოს,—ვფიქრობდი გუნებაში, როდესაც 20 მაისს დილით წავედით მის დასათვალიერებლად.

და ჩემი მოლოდინი გამართლდა.

ვისაც დღევანდელი აზერბაიჯანის გაცნობა სურს, განა შეუძლია მას გვერდი აუაროს ბაირამოვის სახელობის ქალთა კლუბს?.

კლუბს უჭირავს ერთი საუკეთესო შენობათაგანი.

დელეგაცია მიიღო კლუბის გამგე **გულარა კარდიბეკოვამ.**

ეს ახალგაზრდა ქალი ანსახიერებს დღევანდელ აზერბაიჯანს. ეს შედარება არ არის გადაჭარბება. სამი-ოთხი წლის წინათ, აზერბეიჯანის ერთ-ერთი მიყრუებული მაზრის რომელიღაც ჩამორჩენილ სოფელში გულარაც სხვებივით ჩადრახვეული დადიოდა.

და უცებათ ასეთი გარდაქმნა, მეტამარფოზა!

მან არა თუ ცეცხლს მისცა შავი საბურველი, იგი გონებრივადაც იმდენად გაიზარდა, იმდენათ გათვითცნობიერდა, რომ დღეს ხელმძღვანელობს ქალთა განმანთავისუფლებელ მოძრაობას აზერბეიჯანის ისეთ კულტურულ ცენტრში, როგორიც არის ბაქო.

ნუ თუ ამხ. გულარას ასეთი ზრდა არ გამოხატავს მთელი აზერბეიჯანის საკულტურო და კულტურული განვითარების ეხლანდელ ტემპს?

უნდა გენახათ, როგორი გატაცებით, სიხარულით, ბედნიერებისაგან აელვარებული თვალებით გვაცნობდა ამხანაგი გულარა თავისი კლუბის მუშაობას, მის მომავალ სამოქმედო გეგმას, ამ დროს იგი იყო ხორცსხმული ენტუზიაზმი, აღფრთოვანება.

როცა იგი მშრალ სტატისტიკურ ციფრებს გვეუბნებოდა, იგი გავდა მომღერალს თავისი ხმით მოხიბლულს, იგი გავდა პოეტს თავისი პოემის კითხვით გატაცებულს.

ჩვენ არც ერთი პოეტისაგან, არც ერთი მომღერლისაგან არ მიგვიღია ისეთი სიამოვნება და სიხარული, როგორიც გაგვანცდევინა ამხ. გულარამ თავისი მშრალი, მაგრამ ბედნიერებით აღსავსე გულით წარმოთქმული სტატისტიკით.

და იგი ამ დროს წარმოადგენდა არა მარტო განთავისუფლებული თურქი ქალის სიხარულს, არამედ მთელი განახლებული აზერბაიჯანის ენტუზიაზმს.

რა ახარებს გულარას? რა არის მისი ბედნიერება? ის, რომ ბაირამოვის სახელობის კლუბი მისი ხელმძღვანელობით აზერბეიჯანს ყოველ წლიურათ აწვდის 2 ათას ახალ ადამიანს, თავისუფალ პიროვნებათ გარდაქმნილ გუშინდელ მონას; ის, რომ ეს კლუბი მფარველობს და ქომაგობს საუკუნეებით დევნილს, გაწამებულს, მრავალი მტრებით, დახავსებულ ყოფაცხოვრებით გარემოცულს ჩადრახვეულ თურქ ქალს, არა მარტო მფარველობს, გამოჰყავს იგი ახალ ცხოვრებისთვის სასარგებლო ადამიანად. თურქი ქალები ამ კლუბში სწავლობენ წერა-კითხვას. სწავლობენ ხელობას,—ქსოვას, ჭრა-კერვას, საბეჭდ მანქანაზე მუშაობას, მეეჯახეობას, ბავშების კულტურულ აღზრდა-მოვლას, სწავლობენ მუსიკას და ხელოვნების სხვადასხვა დარგს.

ჩვენ გვქონდა ბედნიერება საკუთარი თვალით გვენახა ის, რაც ამხ. გულარამ მშრალი ციფრებით გადმოგვცა.

ჩვენ ვნახეთ — 200 ქალი კლუბის სამკერვალო სახელოსნოში მომუშავე, ჩვენ ვნახეთ მომაცადინე ქალებით სავსე დარბაზი, ვნახეთ საბავშო ბაგა და მისი პატარა მდგმურები,—მალხაზი იოლდაშები; ვნახეთ კლუბის სამკითხველო, წითელი კუთხეები, სამეცადინო კაბინეტები, ვნახეთ ყველაფერი ის, რითაც ამაყობს გულარა, რომელიც სიხარულის ნაპერწკლებს აფრქვევდა თვალებიდან.

ბედნიერია გამარჯვებული გულარა!

განა იგი გამონაკლისია? განა იგი ერთია?

დღეს რამოდენიმე ათასი თურქი ქალი გულარასავით აქტიურათ მონაწილეობს სოციალისტურ აღმშენებლობაში. 7 ათასი თურქი ქალი აზერბაიჯანის ქალაქისა და სოფლის საბჭოების დეპუტატია, 300 ქალი სწავლობს მედიცინას, 800 პედაგოგიურ ტეხნიკუმებსა და კურსებზე, 70 დრამატიულ ხელოვნებას და მუსიკას.

1.900 თურქი ქალი კომპარტიის წევრია.

დღეს დღეობით ეს არის თურქ ქალთა მოწინავე რაზმი. რამდენ მებრძოლს მისცემს ამ რაზმს კიდევ ის 50 ათასი თურქი ქალი, რომელიც უკვე საბოლოოდ გამოეთხოვა ჩადრს.

განა ეს საკმაო არ არის გულარას აღტაცებისა და სიხარულისათვის?

დღეს აზერბეიჯანის მთელ მშრომელ მოსახლეობასთან საბჭოთა აღმშენებლობაში მონაწილეობს განთავისუფლებული თურქი ქალი, მონაწილეობს არა სიტყვით, არამედ საქმით. ამის ცოცხალი სახეა გულარა და მისი დები.

ვ. ფულუკიძე.

ძველი ქალაქი



ბაქოს საბჭოს შენობა

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი“ № 130.

საქართველოს მეტყავეთა კავშირის მე-8 ყრილობა

კვირას, 9 ივნისს, საღამოს 6 საათზე ამხ. ლენინის სახელობის მეტყავეთა კლუბში გაიხსნა საქართველოს მეტყავეთა პროფკავშირის მერვე ყრილობა. ყრილობის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1) კავშირის ცენტრალური გამგეობის და სარევიზიო კომისიის ანგარიში, 2) მოხსენება სოციალისტურ შეჯიბრების შესახებ, 3) ს. მ. უ. ტყავტრესტის მოხსენება და 4) არჩევნები. ყრილობა გახსნა კავშირის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. **ენუქიძემ.**

ყრილობას მიესალმნენ: საქ. კ. პ. (ბ) 26 კომუნარის სახ. რაიკომის სახელით ამხ. **ტერვართანოვი,** პროფსაბჭოს სახელით ამხ. **ანთაძე,** ტყავტრესტის დირექტორი—**გარინი,** მე-2 ტყავის ქარხნის მუშების სახელით ამხ. **კინწურაშვილი,** თბილისის ფეხსაცმელების მკერავთა კოლექტივის სახელით—ამხ. **ჩხენკელი** და ბათუმის დელეგატი ამხ. **მიკირტიჩიანი.**

10 ივნისის დილის სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. **ენუქიძის** მოხსენება კავშირის ც. გ. მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კავშირის წევრთა რიცხვი გაიზარდა 2,4 პროცენტით. ამჟამად საქ. მეტყავეთა კავშირი აერთიანებს 2.466 კაცს, ამათგან უმუშევარია 611. საწარმოო თათბირები დაარსებულია ყველა სახელმწიფო და კოოპერატიულ წარმოებებში. მსხვილ წარმოებებში დაარსებულია საამქრო საწარმოო თათბირებიც, რომლებიც განსაკუთრებით კარგად მუშაობენ. საქმიანი წინადადებებისათვის და სხვადასხვა გამოგონებებისათვის დაჯილდოვებულია 15 კაცი 1.060 მანეთით. კავშირი დიდ ყურადღებას აქცევდა მუშათა დაწინაურებას. დაწინაურებული იქნა 45 მუშა, აქედან 22 თბილისში და 23 მაზრებში. კავშირმა კოლხელშეკრულებების დადებით მიაღწია ჩამორჩენილი ჯგუფების ხელფასის ამაღლებას. ტყავტრესტის მიერ უშიშროების ტექნიკისა და მუშათა სანიტარული პირობების გასაუმჯობესებლად გადადებული 10.000 მანეთი გამოყენებულია დანიშნულებისამებრ. უმუშევრობის შესასუსტებლად კავშირი აწყობდა უმუშევართა კოლექტივებს, კურორტებზე და დასასვენებელ სახლებში გაგზავნილი იქნა 128 კაცი, ამათგან მუშები 118 და მოსამსახურეები—10.

ამხ. ენუქიძის მოხსენების შემდეგ მოსმენილი იქნა ამხ. **ასათიანის** მოხსენება სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ.

თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა მე-17 კრება

კრების მეორე და მესამე სხდომაზე მოსმენილ იქნა მუშკოოპის სარევიზიო კომისიის დასკვნა გამგეობის საანგარიშო მოხსენების გამო და საუწყებათაშორისო კომისიის მოხსენება მუშკოოპის გენერალური გამოკვლევის შედეგების შესახებ. შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. მურადოვმა, ტაბიძემ, პატარქალაშვილმა, პოლოსოვმა, კილასონიამ, სარდალიშვილმა კაციტაძემ, დარმანიმ, ხაჩატუროვმა, ჩიხლაძემ, დავითაშვილმა, ბოლქვაძემ, კალმახელიძემ, სიმონიანცმა; ყიფიანმა, სოლომონიშვილმა, გასვიანმა და სხვ.

კამათში გამოსული ამხანაგები საჭიროდ სცნობენ, რომ გაფართოებულ იქნეს მუშკოოპის სავაჭრო წერტების ქსელი და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქალაქის განაპირა უბნებს; მოწყობილი იქნეს კურსები კოოპერატორთა ახალი კადრების მოსამზადებლად და მუშკოოპის აპარატი გაწმენდილი იქნას არა საბჭოთა ელემენტებისაგან; გაძლიერებული იქნეს შეშის დამზადების ოპერაციები და გაიხსნას შეშის საცალო ვაჭრობის (ფუთობით) წერტილები, რომ უღარიბესი მოსახლეობა, რომელსაც საშუალება არა აქვს შეიძინოს შეშის მარაგი, არ ჩავარდეს კერძო ჩარჩების ხელში; დაწესებული იქნეს არასასურსათო მაღაზიების მორიგეობა კვირა-უქმე დღეებში, რომ მუშა-მოსამსახურეებს საშუალება მიეცეს ამ დღეებში შეიძინონ მათთვის საჭირო საგნები. გაუმჯობესებული იქნეს მუშა - მოსამსახურეთათვის მოკლევადიან სადუქნო კრედიტის მიცემის საქმე. განაპირა უბნებში გატანილი იქნეს მეტი რაოდენობის პირველმოთხოვნილების საქონელი და გაუმჯობესებული იქნეს საზოგადოებრივი კვების საქმე; ორატორები აღნიშნავენ, რომ ბოსტნეულისა და მწვანეულის ბაზარი თითქმის მთლიანად იმყოფება კერძო ვაჭრების ხელში და კოოპერაციას ისე ვერ მოუწყვია აპარატი, რომ დაიპყროს ეს ბაზარი. ერთსა და იმავე საქონელზე სხვადასხვა ფასებია დაწესებული არა მარტო სხვადასხვა კოოპერატიულ ორგანიზაციებში, არამედ მუშკოოპის სხვადასხვა მაღაზიებშიაც. ხშირად მუშკოოპში ჰყიდიან მეტად ცუდი ხარისხის საქონელს (მაგალითად, ფეხსაცმელს), რომელიც ფუჭდება ორ-სამი დღის შემდეგ. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს სერიოზული ყურადღება. სადუქნო კომისიებს არ აქვთ მიცემული ინსტრუქციები და განსაზღვრული არ არის მათი უფლება - მოვალეობა, რის გამო ხშირად ზოგიერთი სადუქნო კომისიის წევრი ცდილობს თავისი მდგომარეობა გამოიყენოს პირადი სარგებლობის მიზნით. კულტ-განმანათლებელ მუშაობას არ ექცევა სათანადო ყურადღება და ხშირად ამ მიზნით გამოყოფილი თანხები გამოუყენებელი რჩება. პროლეტარული სტუდენტობის უზრუნველყოფას არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. მუშკოოპის სამმართველოს აპარატში ადგილი აქვს ბიუროკრატიულ მოვლენებს, რასაც უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და სხვ.

უკანასკნელი სხდომა

კრების მეოთხე სხდომაზე — 10 ივნისს საღამოს მოსმენილი იქნა ამხ. **ერისთავის, დუნაევის** (სარევ. კომისია) და **მაშონინის** (საუწყებათა შორისო კომისია) საბოლოო სიტყვები, რის შემდეგ განხილული და დამტკიცებული იქნა რეზოლიუცია საანგარიშო მოხსენების გარშემო. ამხ. ფირაშვილის მოხსენების მიხედვით კრებამ დაადგინა გამორიცხული იქნან მუშკოოპის წევრობიდან ბოროტ-მოქმედებაში შემჩნეული წევრები და აგრეთვე ის წევრები, რომლებსაც შემოტანილი არა აქვთ სრული საპაიო გადასახადის — პირველი ნაწილი. შემდეგ მოსმენილი იქნა მისალმებების დეპეშები სხვადასხვა მუშათა კოოპერატივებისაგან. კრებას მიესალმა პიონერების 50 წარმომადგენელი.

დასასრულ მოხდა არჩევნები.

ახალი გამგეობა

გამგეობაში არჩეული იქნა 9 კაცი:

ამხ. **ერისთავი, სავა ორჯონიკიძე, ძაგნიძე, ფირაშვილი, მელჩარსკი, მაქსიმოვი, დავრიშვილი და ჩახმახსაზოვა.**

სარევიზიო კომისიაში არჩეული იქნა 7 კაცი — ამხ. **ადუდაევი, ორენევი, ა. დევრადიანი, ბუაძე, დემეტრაშვილი ხუხუნაშვილი და ა. ფარნიევი.**

კრების შემდეგ დელეგატებისათვის გაიმართა კინო სეანსი და დადგმული იქნა კოოპერატიული პიესა.

ქრონიკა

ამხ. ფ. მახარაძე და გ. მგალობლიშვილი ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტში

საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ფ. მახარაძემ და მისმა მოადგილემ ამხ. გ. მგალობლიშვილმა სახალხო ჯანმრთელობის კომისრის მოადგილეს ექ. მამალაძის და სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის ამხ. მეგრელიშვილის თანდასწრებით 8 ამა ივნისს ინახულეს ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტი. მნახველებმა დაათვალიერეს ინსტიტუტის კლინიკური, ბიოქიმიური, ენტომოლოგიური განყოფილებანი, ლაბორატორია და კლინიკური განყ-ბის ახალი შენობა. დაწესებულების მუშაობის და ახალ შენობის აგების შესახებ მოხსენება გაუკეთა ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. ვირსალაძემ.

ამხ. ს. გეგეჭკორის ხსოვნის აღსანიშნავად.

გუშინ ამხანაგ საშა გეგეჭკორის ტრაგიკულად გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად შესდგა სამოქალაქო პანაშვიდი.

პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო.

დღის 12 საათისათვის განსვენებულის საფლავზე, კომუნარების ბაღში, მოვიდნენ ამხ. მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, მ. კახიანი, ს. თოდრია, ლ. ლოლობერიძე და სხვ.

სამოქალაქო პანაშვიდი გახსნა ამხ. ვანო ზოდელავამ, რომელმაც დაახასიათა ამხ. ს. გეგეჭკორის რევოლიუციონური მოღვაწეობა.

სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. მიხა ცხაკაიამ, ფ. მახარაძემ, ბ. მაჩაიძემ და სხვ.

მშრომელი მოსახლეობის საყურადღებოდ

ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოს დადგენილებით, თბილისის მშრომელები შაქრის მისაღებად 1 ივნისამდე უნდა მიმაგრებულიყვნენ, რომელიმე კოოპერატიულ დუქანზე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო იმის გამორკვევა, თუ რომელ მაღაზიას რამდენი შაქარი უნდა მიეცეს მშრომელ მოსახლეობისათვის. ჯერჯერობით კოოპერატიულ დუქნებზე, მიმაგრებულია მშრომელი მოსახლეობის ძლიერ მცირე რაოდენობა. მუშა-მოსამსახურენი უახლოესი დღეების განმავლობაში თუ არ მიეწერებიან კოოპერატიულ დუქნებზე მაღაზიებს შორის შაქრის ივნისის ნორმის განაწილება დაიგვიანებს, რიგს გამო შეიძლება მშრომელ მოსახლეობას დაეკარგოს ივნისის ნორმა შაქარი.

პროლეტარულ სტუდენტთა სასარგებლოდ

პროლეტარულ სტუდენტთა სასარგებლოდ, გაზ. „კომუნისტის" კანტორის ქუთაისის განყოფილებაში შემოიტანეს: ხუთ-ხუთი მანეთი—ამხ. გურგენიძემ და გრ. სიხარულიძემ, ათი მანეთი—ამხ. ერასტი ღვამიჩავამ და 3 მანეთი—ნუცა კანდელაკმა. სულ 23 მანეთი.

სამხედრო ბანაკის მოსაწყობად

ქუთაისის კომუნალური მეურნეობის განყოფილებასთან არსებულმა თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედმა, 1-ლი ქართული დივიზიის ბანაკის მოსაწყობად „კომუნისტი"-ს ქუთაისის განყოფილებაში შეიტანა 15 მანეთი და გამოიწვია ქუთაისის მეეზოვეთა, ცეცხლის მქრობელ რაზმის, ელსადგურის და მექანიკურ სახელოსნების უჯრედები.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **საავადმყოფოს აგება.** ჯანმრთელობის კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს წელს შეუდგეს ახალი 30 საწოლიანი საავადმყოფოს აგებას ქ. ზუგდიდში. საავადმყოფოს აგება დაჯდება 300.000 მანეთი.

მიწადმოქმედების სახ კომისარიატში

◆ **ტრაქტორების აღრიცხვა.** მიწადმოქმედების კომისარიატმა დაამთავრა ტრაქტორების აღრიცხვა მთელ რესპუბლიკაში. გამოირკვა, რომ ამჟამად საქართველოში მუშაობს 263 ტრაქტორი.

◆ **ახალი ტიპის ტრიერი.** ცენტრალურმა საცდელმა სადგურმა მოახდინა ამერიკიდან მიღებული ახალი კონსტრუქციის ტრიერის „სეპარატორ"-ის გამოცდა. აღმოჩნდა, რომ ახალი ტრიერი მეტ სამუშაოს ასრულებს, ვიდრე დღემდე ცნობილი ასეთივე მანქანები. ამის გამო გადაწყვეტილია შეიძინონ მხოლოდ ასეთი ტრიერები.

◆ **სასოფლო-სამეურნეო მანქანების განაწილება.** ახლო ხანში დამთავრდება სხვადასხვა სასოფლო - სამეურნეო მანქანების განაწილება რესპუბლიკის რაიონებს შორის. განაწილების შემდეგ შედგენილი იქნება რუქა, თუ რომელ რაიონში რა სასოფლო-სამეურნეო მანქანებია.

სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატში

◆ **ინვალიდების გაგზავნა კურორტებზე.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა გადასწყვიტა მიმდინარე საკურორტო სეზონის განმავლობაში თავის ხარჯით გაგზავნოს კურორტებზე 30 ინვალიდი.

◆ **დახმარება მუშათა კლუბს.** გორის მუშათა კლუბს სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა გადასცა 250 მანეთი.

◆ **კულტმუშაობა ყრუ-მუნჯთა შორის.** სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატმა თბილისის ყრუ-მუნჯთა საზოგადოებას გადასცა 500 მანეთი კულტმუშაობის გასაძლიერებლათ.

სხვადასხვა

◆ **საბუღალტრო კურსები.** 1 ივლისიდან ქალაქ ცხინვალში ი. ტერ-სტეფანოვის ხელმძღვანელობით იხსნება ორთვიანი საკოოპერატივო, სას.-სამ. საკრედიტო და საბიუჯეტო ანგარიშწარმოების კურსები. კურსებზე მეცადინეობა იწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

◆ **კოოპერატიულ პიესათა კრებული.** რედაქციამ მიიღო კოოპერატიულ პიესათა კრებული, გამოცემა ცეკავშირის. კრებული ღირს 90 კაპ.

◆ **ოთხშაბათს, 12 ივნისს, საღამოს 7 საათზე ხელოვანთა სასახლეში დანიშნულია საქართველოს დრამატურგთა, კომპოზიტორთა და კინო-სცენარისტთა საზოგადოების დამფუძნებელი სხდომა.**

დღის წესრიგი: 1) საინიციატივო ჯგუფის ინფორმაციული მოხსენება; 2) საზოგადოების წესდების განხილვა; 3) საავტორო უფლების დებულების პროექტი და 4) საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოების არჩევნები.

— **საბჭოთა კინოს მეგობართა საზოგადოებაში.** დღეს, 11 ივნისს, საღამოს 8 საათზე საქართველოს სახკინმრეწვში (პლეხანოვის პროსპექტი) შესდგება საბჭოთა კინოს მეგობართა საზოგადოების კულტურულ ფილმის სექციის პირველი სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: მიქაძე, ლოლობერიძე, კრეიტანი, დოლიძე, კალატოზოვი, ზაბოზლაევი, ბერძენიშვილი, სუპატაშვილი, ვარლამოვი, ჩიქობავა და ჯალიაშვილი.

ლენრაიონის საშეფო ორგანიზაციების მე-5 კონფერენცია

კონფერენციის მეორე სხდომაზე მოხსენება გააკეთა კოლმეურნეობათა ცენტრის წარმომადგენელმა ამხ. ა. ხაბურზანიამ, მისი მოხსენება შეეხებოდა სოფლად კოლმეურნეობების პრაქტიკულად მოწყობის საკითხებს.

მოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი მოსმენილ მოხსენებების გარშემო.

სხდომის დასასრულს კონფერენციას მიესალმა სოფ. ლამის-ყანის კომუნის თავმჯდომარე გლეხი **გიგოლა გვრიტიშვილი.**

უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია რაისაბჭოს მოხსენების გარშემო.

სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ კონფერენციამ აირჩია ახალი რაისაბჭო 59 კაცის შემადგენლობით. საშეფო საზოგადოების თბილისის საქალაქო კონფერენციაზე დასასწრებათ გამოყოფილ იქნა 100 დელეგატი.

რაისაბჭოს თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. **ვ. მეიფარიანი.**

საქ. სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოში

მოსახლეობის ზრდის გამოკვლევა

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურმა სამმართველომ დაადგინა გამოიკვლიოს საქართველოს მოსახლეობის ყოველწლიური ზრდის პროცენტი.

სას. მეურნეობის შერჩევითი გამოკვლევა

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო ამ დღეებში შეუდგება საქართველოს სასოფლო მეურნეობის 10 პროცენტიან შერჩევითი გამოკვლევას. გამოკვლეული იქნება ნათესების სივრცე ცალკე კულტურათა მიხედვით, მუშა და მრეწველი საქონლის რაოდენობა, სას.-სამ. ინვენტარი და სხ. გამოკვლევა დამთავრდება ივლისის შუა რიცხვებში.

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვა

საქართველოს სტატისტიკის ცენტრ. სამმართველომ დაადგინა ჩაატაროს საშემოსავლო გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვა.

შემთხვევები

სახლის დანგრევა

9 ივნისს საღამოს კახეთის ქუჩაზე მდებარე სახლს № 32 (ბოსელი) დაეცა მეხი. მეხმა სახლი სრულებით დაანგრია. ნანგრევებში მოჰყვა ერთი სახედარი და ერთი ძროხა.

ზარალი 2.000 მანეთს უდრის.

აფერისტი—მძარცველები

9 ივნისს ერევნიდან თბილისში თუნუქის შესაძენად ჩამოსული მოქ. მაცაკ ოვაკიმოვი უცნობმა მოქალაქემ გაიტყუა მტკვრის ნაპირას მდებარე ერთ-ერთი სახლისაკენ და უთხრა, რომ მას მოიპოვება გასასყიდი თუნუქი და თუ უნდა აჩვენებს. უცნობმა ოვაკიმოვს მართლაც აჩვენა თუნუქი და როდესაც ოვაკიმოვი მეორედ მოვიდა სახლში გამყიდველისათვის ფულის მისაცემად, იმავე სახლში მას დახვდა სამი უცნობი. ფულის დათვლის დროს ერთმა უკანიდან მიპარვით ოვაკიმოვს თავზე ტომარა ჩამოაცვა, ორმა დანარჩენმა კი ამ დროს 200 მან. გამოგლიჯეს მას ხელიდან და მიიმალნენ.

უცნობი აზოტის სიმჟავით

ალაზნის ქუჩაზე სახლის წინ მოსაუბრე ლიზა—შალავაკ და როზიკა სიროპიანებს მოულოდნელად მისულმა უცნობმა მოქალაქემ სახეში შეასხა აზოტის სიმჟავე. დაშავებულები გადაიგზავნენ საავადმყოფოში, ხოლო უცნობი მიიმალა.

ტრამვაის ქვეშ

9 ივნისს, ტრამვაის ვაგონმა № 72, რომელსაც მართავდა ვატმანი ბარამიძე, რუსის ქუჩაზე გადაუარა მოქ. ვარამ ამალოვს, რომელიც მძიმედ დაშავდა.

იმავე დღეს მე-9 მარშრუტის ვაგონმა, კაზბეთის მოედანზე დაეჯახა მოქ. დიღმელაშვილის ცხენს, რომელიც იქვე მოკვდა.

მკვლელობა

9 ივნისს, საღამოს, ფოთის ქ. № 40 რაჟდენ საფაროვმა ბებუთით ყელი გამოსჭრა იმავე სახლში მცხოვრებ აკულინა პროკოფიევას. დამნაშავე დააპატიმრეს.

უკან მიპარვით

მოქ. ვართან მარტიროსიანს (ასლანოვის შეს. № 10) თავის სახლის წინ დგომის დროს უკანიდან მიეპარა არმენაკ ვოსკანოვი და ბეჭში დანით მიაყენა მძიმე ჭრილობა. დაშავებული გადაიგზავნა ქალაქის 1-ლ საავადმყოფოში, ხოლო დამნაშავე მიიმალა.

ქურდობა

მოქ. ფილიპე თოდუას ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოართვეს 72 მანეთი. გაქურდეს მოქ. ძიძ. ფირალოვის ბინა, წაიღეს 1.200 მანეთი ფულად და ნივთები. დააპატიმრეს მართა შელილოვის ბინის გასაქურდათ მისული მიხეილ კარლენის ძე ნოვიკოვი.

ხელოვნება

„ქართული ღამე".—გრიბოედოვისა

რუსეთის დიდი მწერლის გრიბოედოვის გარდაცვალებიდან 100 წლის თავის აღსანიშნავად დაიდგა „ქართული ღამე". არსენიშვილის ხელმძღვანელობით. ცნობილია, რომ ყველა რუს მწერალმა აღნიშნა სპეციალური ნაწარმოებით თავისი ყოფნა ამ.-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში. ხშირად ასეთ ნაწარმოებებში ან გაუგებრობასა აქვს ადგილი, ან მთელი ყურადღება მიქცეულია კავკასიის ეგზოტიკაზე.

გრიბოედოვის „ქართული ღამეც" უმთავრესად ეგზოტიურ მასალაზეა დამყარებული. იგი შედეგია ავტორის დაკვირვებისა ადგილობრივ ყოფაზე, საქართველოში ცხოვრების დროს. გადმოგვცემს ბატონყმობის დროინდელ ვერაგობას. ეს ნაწარმოები ავტორს დაუმთავრებელი დარჩა, თუმცა დარჩენილ ადგილების მიხედვითაც შეიძლება ითქვას, რომ „ქართული ღამე" ვერაფრით ვერ შეედრება იმავე ავტორის გენიალურ ქმნილებას „ვაი ჭკუისაგან".

ნაწარმოების მეტად სუსტი მხარეები კიდევ უფრო საგრძნობი გახდა იმ გარემოებით, რომ სრულიად შეუფერებელ ადგილზე დაიდგა (ცირკის არენა) და ისიც მეტად სუსტი ძალებით.

რომ დამდგმელი არსენიშვილი დეკლარატიული და იმავე დროს სრულიად უადგილო განცხადებებით არ გამოსულიყო, ჩვენ ამ დადგმას გვერდს ავუვლიდით, როგორც ჩვეულებრივ ხალტურას. მაგრამ ამ განცხადებიდან გამოირკვა, რომ თურმე არსებობს დრამატიული სტუდია დეკლარატორის ხელმძღვანელობით და ამ სტუდიის მიზანი ყოფილა ქართული თეატრალური სტილის მონახვა. ასე რომ „ქართული ღამე", გარდა თავისი სპეციალური დანიშნულებისა (მწერლის ხსოვნის აღნიშვნა), წარმოადგენდა ამ სტილის მაძიებელთა სანიმუშო დადგმას. სტილის ძიება, ცხადია, ცუდი საქმე არ არის, პირიქით მეტად კარგი სურვილია, მაგრამ ქულაჯები, ოპერული რეკვიზიტი, სუფრა ყანწებით და გაცვეთილი სიმღერებით, ულაზათო ცეკვა და აქტიორული ძიების მაგივრად პამპულაობა (ვამბობთ გადაუჭარბებლად)—განა ეს ის „სტილი" არაა, რომელსაც დაუზოგავად ვდევნით ჩვენი თეატრალური სინამდვილიდან! არაა სასურველი ასე უნაყოფო და, უკეთ, მავნე შრომა. ვფიქრობთ, ხელოვნების განყოფილება ასეთ შემთხვევებში მეტ ინიციატივას უნდა იჩენდეს და სწორ ხელმძღვანელობას უწევდეს იმ სტუდიებს ან ჯგუფებს, რომლებიც თვითონ ვერ ერკვევიან თეატრალურ საქმიანობაში.

ბ. ბ.

მომღერალთა გუნდების ოლიმპიადა

განათლების სახ. კომისარიატის ხელოვნების მთავარი მმართველობა 28, 29 და 30 ივნისს თბილისში აწყობს სრულიად საქართველოს მომღერალ გუნდების პირველ ოლიმპიადას.

ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებს 27 გუნდი. საუკეთესო გუნდებისათვის დაწესებულია ჯილდოები: ერთი 500 მან., ერთი 300 მან. ორი — თითო 200 მან. და სამი — თითო 150 მანეთი, სულ 7 ჯილდო 1650 მანეთის რაოდენობით. ამას გარდა, მთელი შემოსავალი (ხარჯების გარდა) გადაეცემა ოლიმპიადის მონაწილე გუნდებს თავიანთ შორის გასანაწილებლად.

ოლიმპიადა ჩატარებული იქნება ორჯონიკიძის სახელობის კლუბში.

—„**ქართულ მუსიკალურ კულტურის გზები**". დღეს, 11 ივნისს, საღამოს 8 საათზე, კონსერვატორიის დარბაზში გ. კილაძე გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ქართული მუსიკალური კულტურის გზები". მოხსენების შემდეგ კამათი.

კინო

„დღევანდელი კინო"

ამხ. ტრეტიაკოვის მოხსენება

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ პარასკევს, 7 ივნისს, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში მოაწყო ამხ. ს. ტრეტიაკოვის მოხსენება თემაზე: „დღევანდელი კინო".

მომხსენებელი შეეხო კინოს მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ჩვენი კინო-ორგანიზაციები ჯერ კიდევ ძალიან სუსტათ იყენებენ ამ იარაღს, რომლის შესახებაც ამხ. ლენინმა სთქვა, რომ „ხელოვნების ყველა დარგებიდან იგი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია"-ო.

თუ ამხ. ლენინი კინოს აფასებდა მასების რევოლიუციონური აღზრდის თვალსაზრისით, ჩვენი კინო-ორგანიზაციები, სამწუხაროდ, გატაცებულნი არიან კინოს კომერციული მხარით, რითაც აიხსნება ის გარემოება, რომ კინო-ორგანიზაციებს საზღვარგარეთიდან შემოაქვთ ე. წ. ამერიკული ტიპის ფილმები. ამ შემთხვევაში ისინი ასე მსჯელობენ: „მაყურებელი თხოულობს დასვენებას, გაცინებას და არა მარტო პოლიტიკას"-ო, რომ მაყურებელი არამც თუ არ გაურბის კარგად შესრულებულ რევოლიუციონურ სურათებს, არამედ ეტანება კიდევაც ასეთებს, ამას მოწმობს, თუ გინდ, ის უდიდესი ინტერესი, რომელიც გამოიწვია „ჯავშნოსან პოტიომკინ"-მა, „გენერალურმა ხაზმა", „არსენალმა" და სხვ. მრავალმა სურათებმა, არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც.

ავიღოთ მეორე სახის კინო-სურათები, ე. წ. „კულტურფილმები".

რომ კულტურფილმი არა ნაკლებ საინტერესოა, ვინემ სხვა სურათები და კომერციულადაც ამართლებს თავის თავს, ამას მოწმობს ის უდიდესი ინტერესი, რომელიც გამოიწვია „ჩანგ"-მა, „ნანუკმა", „პამირ"-მა და სხ.

კაპიტალისტურ ქვეყნის სურათებს ყოველთვის ახასიათებდა არა ფაქტების აღნიშვნა და მათი სწორი განვითარება, არამედ სურათით მაყურებელში ილიუზიების გამოწვევა, რითაც კაპიტალისტების ხელში კინოს ენიჭება ჰიპნოტიური ფუნქციები, ჩვენ კი კინო უნდა გადავაქციოთ ადვილად შესათვისებელ და საინტერესო მეცნიერებად.

დასასრულ მომხსენებელმა სახკინმრეწვის მუშაობის შესახებ აღნიშნა, რომ სახკინმრეწვს არავითარი ნაბიჯები არ გადაუდგამს კინო - საზოგადოებრივობის შესაქმნელად.

მოხსენებამ ცხოველი კამათი გამოიწვია, რომელიც მეორე საღამოსაც გაგრძელდა და რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. **კიევლიანინმა, კრეიტანმა, ბრუსილოვსკიმ, ვარლამოვმა, გიდონი, ულენტიმ, ქშონზერმა, ხომერიკმა, ეროფეევმა** და სხვ.

ორატორები გაიყვნენ ორ მოწინააღმ-
ბანაკად. ტრეტიაკოვის მომ
ვდნენ, რომ ხელოვნება, რ
ბა რეალობისაგან ადამიანის
მოშორებისა, კვდება, ისევე
გია. ჩვენ გვესაჭიროება არ
ლოვნება, არამედ რეალ
ამსახველი ხელოვნება, ამი
სიუჟეტზე აშენებული „მს
вые) ფილმები ზედმეტია.
მეორე ჯგუფი კი საბ
კულტურფილმასთან ერთა
სურათების არსებობასაც,
იმით, რომ მარტო კულტ
ბობა ნიშნავს კინოს არსებ
ამის დასასაბუთებლათ ერ
მა მოიყვანა ის ფაქტი, რო
ში ერთ დროს სპექტაკლებ
„ცოცხალი გაზეთებით", რა
ყვა ის, რომ მუშა-მაყურე
ცა და კლუბი იძულებულ
ბელთა კვლავ მოსაზიდათ,
გორც პირველი, ისე მე
შობ — განაცხადა ამ ორა
ვე არ დაგვემართოს კინო
დისპუტის გადატანა გა
რაიონებში.

ნიაღვარი თბილისში

9 ივნისს საღამოს თბილისში მოვიდა კოკისპირული წვიმა. ნიაღვარმა მოსილა ქალაქის მთელი რიგი ქუჩები. განსაკუთრებით დიდი ნიაღვარი მოვარდა ვერის დაღმართზე და საბჭოთა ქუჩაზე, სადაც ტრამ
ჩერებულ იქნა ერთი საა
ნიაღვარის დროს ავლაბა
ძველი სახლი.

ავიაქიმში

შეჯიბრება სროლაში

მიმდინარე წლის ივლისის პირველ რიცხვებში საქ. თავდაცვა-ავიაქიმი აწყობს სრ. საქართველოს სასროლო შეჯიბრებას.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად გამოწვეულია ქუთაისიდან 3 მსროლელი, აჭარისტანიდან—2, აფხაზეთიდან—2 და თბილისიდან—5 მსროლელი.

მეექვსე საკავშირო სასროლო შეჯიბრებაზე, რომელიც შესდგება მოსკოვში 4—6 აგვისტოს, ამიერ-კავკასიის თავდაცვა-ავიაქიმი გზავნის 12 მსროლელს.

ავიაქიმის მდივნების თათბირი

აგვისტოს შუა რიცხვებში თბილისში შესდგება თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების პასუხისმგებელ მდივნების თათბირი.

მოტო-გად

თბილისი - პრიუტ

შაბათს, 9 ივნისს, თბილ
საზოგადოებამ მოაწყო პ
ტო-გადარბენა შემდეგი მა
სი-კოჯორი-პრიუტი-თბილი
მიზანი იყო მანქანების და
შუალებების გამოცდა.
გადარბენაში მონაწილეო
ტოციკლმა და 2 ავტომანქა
გადარბენის სტარტი გა
ლების მოედანზე ღამის 10
ნის მონაწილენი თბილისში
ვე ღამეს 3 ნახ. საათზე.

მიუხედავათ გადარბენის მძიმე პირობებისა, გადარბენის მონაწილეებმა წარმატებით შეასრულეს მათ წინაშე დასმული ამოცანები.

რკინის გზაზე

მატარებლის დამტვრევა

გუშინ, დილით გერან-მინგეჩაურის შუა დაემტვრა საქონლის მატარებელი № 3001. მატარებელი მიდიოდა სამი ორთქლმავლით. ხსენებულ სადგურებს შორის მდებარე გვერდის აშქცევ პუნქტან მიახლოებისას, შესასვლელ ისარზე ლიანდაგიდან გადავარდა სამივე ორთქლმავალი და ერთი ცარიელი კანადური ცისტერნა.

შემთხვევის ადგილზე დახმარე მატარებლით გაემგზავრნენ მოძრაობის რევიზორი, სალიანდაგო, წევის და კავშირგაბმულობის უბნის უფროსები.

ხაზი დაზიანებული აღმოჩნდა და მოძრაობის აღსადგენად საჭირო შეიქნა მოსავლელი გზის დაგება. ამ მიზნით განჯიდან გაიგზავნა რელსებით და შპალებით დატვირთული ვაგონები.

მოსავლელ გზის დაგებასთან ერთად შეუდგნენ მუშაობას ორთქლმავლების ლიანდაგზე დასაყენებლად.

ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა.

მატარებლებზე პირდაპირი მიმოსვლა აღდგენილ იქნა მოსავლელი ხაზით ღამის 12 საათზე.

დასასვენებელი დღე

ვინაიდან ა.-კ. რკ. გზის გამგეობის თანამშრომლებმა და სტალინის სახელობის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა იმუშავეს 5 მაისს (აღდგომას), მათთვის ორშაბათი 10 ივნისი გამოცხადებული იყო დასასვენებელ დღედ.

გუშინ ქარხანაში და გზის გამგეობის სამმართველოში მუშაობა არ სწარმოებდა.

ბიბლიოგრაფია

ს. არსონი და ი. დუბენსკი. საბჭოთა ხელისუფლების სამეურნეო პოლიტიკა, საქართველოს 5 წლიან პერსპექტიულ გეგმის მოკლე შინაარსის დამატებით. თარგმნილი აკ. კალაძის რედაქციით და მისივე დამატებით. სახელგამი. 1929 წ. 197 გვ. ფასი 1 მანეთი და 25 კ.

საბჭოთა კავშირის სამეურნეო წყობილებას ახასიათებს ისეთი თავისებურობანი, რომელნიც აუცილებლივ საჭიროდ ხდიან საბჭოთა ეკონომიკის შესწავლას სპეციალურ სამეურნეო დისციპლინის საშუალებით. ასეთ სამეცნიერო დისციპლინას წარმოადგენს საბჭოთა ეკონომპოლიტიკის კურსი. ზედმეტია აქ იმაზე ლაპარაკი, რომ გარდამავალი ეკონომიკის ამომწურავი ანალიზი და გაგება ვერ მოთავსდება არსებულ ეკონომიურ მეცნიერების ფარგლებში. საბჭოთა ეკონომიკის შესწავლა და ანალიზი მოითხოვს ერთის მხრივ მკაფიოთ იქნას გარკვეული ის მიზნობრივი მიმართულება, რომელიც საფუძვლად უდევს კომუნისტურ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების სამეურნეო პოლიტიკას, ხოლო მეორეს მხრივ საჭიროა უკვე განვლილ სამეურნეო მშენებლობის და შემდეგ განვითარების პერსპექტივების შესწავლა.

ეს ამოცანა როდია ადვილი. სირთულე გამოწვეულია უმთავრესად იმით, რომ საბჭოთა მეურნეობას ახასიათებს ერთის მხრივ გეგმიანობა, მეურნეობის უდიდესი ნაწილის განსაზოგადოება, მეორეს მხრივ ჯერ კიდევ არსებული საბაზრო ურთიერთობა და თავისუფალი აღებ-მიცემობა უმთავრესად საგლეხო მეურნეობის ფარგლებში.

განვლილ სამეურნეო მშენებლობის გზის, აწლანდელ სარეკონსტრუქციო პერიოდის და დასახულ მიზნების განხორციელების დახასიათებისათვის საბჭოთა სამეურნეო პოლიტიკის კურსს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ქართულ ენაზე მეტად მცირე მოგვეპოვება ორიგინალური ნარკვევი საბჭოთა ეკონომიკის ცალკე საკითხებზე, ხოლო რაც შეეხება თარგმანს, ისიც მეტად სუსტადაა წარმოდგენილი და ეს მაშინ, როდესაც მოთხოვნილება ასეთ ლიტერატურაზე დიდია ჩვენს პარ.-საბჭ. სკოლებში და საშუალო და უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლეთა შორის. ამიტომ ყოველ ახალ წიგნს საბჭოთა ეკონომიკის თეორიული ანალიზის თუ სამეურნეო პოლიტიკის ცალკე საკითხთა შესახებ უნდა მივესალმოთ.

არსონის და დუბენსკის სახელმძღვანელო მიზნად ისახავს არა იმდენად საბჭოთა ეკონომიკის თეორიულ ანალიზს, რამდენად საბჭოთა სამეურნეო პოლიტიკის, მიმდინარე სოციალისტური მშენებლობის საჭირბოროტო საკითხთა განხილვას, მკითხველთა ფართე მასისათვის მისაწვდომად, პოპულიარულად.

სარეცენზიო წიგნაკში მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს ჩვენი სამეურნეო განვითარების გენერალურ ხაზს. ავტორები სათანადო კონკრეტულ მასალით მკითხველს უადვილებენ გაერკვევ, თუ საით მიიმართება

ბის ყველა საკითხი დაკავშირებულია ჩვენ სამეურნეო ცხოვრების ამ ძირითად იდეასთან—საბჭოთა კავშირის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციასთან.

სარეცენზიო წიგნაკი შესდგება ოთხ მთავარ განყოფილებიდან:

I. **ს.ს.რ. კავშირის მეურნეობა სოციალიზმის გზაზე.** აქ გაშუქებულია საბჭოთა კავშირის სამეურნეო სისტემის სოციალ-ეკონომიური თავისებურებანი და საბჭოთა მეურნეობის გეგმიანობის პრინციპის რაობა.

II. **სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია.** ამ თავში გაშუქებულია საბჭოთა მეურნეობის განვითარების გენერალური ხაზი და ის სიძნელეები, რომელნიც წინ ელობებიან ხელისუფლებას დასახულ მიზნების განხორციელების გზაზე.

III. **რაციონალიზაცია და კაპიტალური მშენებლობა,** მესამე თავში ავტორები გვაძლევენ მრეწველობის ძირითად დარგების განვითარებას 1927—28 წლამდე და მათ პერსპექტივებს მომავალ ხუთწლედის განმავლობაში. ცალკეა გაშუქებული სოციალისტურ რაციონალიზაციის და კაპიტალურ მშენებლობის საკითხი.

მე-IV თავში **ინდუსტრიალიზაციის** საფინანსო წყობის თავისებურობას, ახასიათებენ ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ისე საგასავლო ნაწილს და დასასრულ გადადიან საკრედიტო სისტემაზე.

დამატების სახით წიგნს ბოლოში დართული აქვს ამხ. **კალაძის** მიერ საქართველოს საგეგმო კომისიის მასალების საფუძველზე შედგენილი ხუთწლიან საპერსპექტივო გეგმების კონსპექტები სხვადასხვა დარგებში, ასეთი მასალის დამატება, რასაკვირველია წიგნს მეტ მნიშვნელობას აძლევს, სასურველი იყო მხოლოდ, რომ ავტორს საქართველოს ხუთწლიან გეგმების განხილვისათვის წაემძღვარებია მოკლე დახასიათება იმ ძირითად დებულებების, რომელნიც განსაზღვრავენ მთელ სახალხო მეურნეობის გეგმის შინაარსს. ამით მკითხველი ნათელ წარმოდგენას იქონიებდა იმის შესახებ, თუ როგორი გამოხატულება ჰპოვა კომ პარტიის მიერ დასახულმა სამეურნეო პოლიტიკამ კერძოთ საქართველოს ეკონომიკის პირობებში.

დამატებას აქვს ის პრაქტიკული მნიშვნელობა, რომ მოსწავლესათვის გასაგები დარჩება, თუ როგორ მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა საქართველო მომავალ ხუთწლედში იმ დიდ მშენებლობაში, რომლის შესახებ მოგვითხრობს არსონის და დუბენსკის წიგნი.

დამატების ნაკლად აღიარებულ უნდა იქ-

[illegible] საბჭოთა კავშირიდან გაძევებულ ყოველგვარ კონტრ-რევოლუციონურ-ავანტიურისტულ ელემენტების, დაწყებული რუს მონარქისტებით და გათავებული გაკოტრებული ქართველი მენშევიკებით.

საერთო კრება საბჭოთა ხელისუფლებისაგან მოითხოვს განაგრძოს თავისი მშვიდობიანი პოლიტიკა, მაგრამ ამავე დროს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს ყველა იმათ, ვინც გაბედავს ხელის შეშლას ჩვენს მშვიდობიანი მშენებლობისათვის.

ჩვენ სიტყვას ვაძლევთ საბჭოთა ხელისუფლებას, რომ ყოველ მომენტში მტკიცედ დავიცავთ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს და ოქტომბრის მონაპოვარს მოღალატე მენშევიკების და ყველა კლასიური მტრების შემოტევისაგან.

ჩვენი ზიზღი და პროტესტი კაპიტალის ლაქიებს!

ისს ქუთაისში
ემონსტრაცია.
საბჭოთა გამო-
ნტები გამოვ-
პლაკატებით.
ერა: „ხელები
ან". დემონსტ-
ქუჩები, სადაც
. (ადს).

ტებული ელე-
ს თანამიმდევ-
რებში,—ყოვე-
დოს პროფკავ-
და მეთოდების
ჰუშაობაში კო-
ხსოვდეთ, რომ
ამოცანას წარ-
ვართოვნ სო-
ი; მათ უნდა
ურ კავშირების
ვრების შენება,
ი მილიონების
მოცდილებაზე
დან აცილებას,
ლებების უკუ-
ზე ისწავლიან
ერთვა-გამგეო-
ომოო გარან-
გამარჯვებ
ბრუნების შე-
პროფკავშირ-

პროფკავშირები, როგორც პროლეტარიატის მასიური ორგანიზაციები მხოლოდ ამ მიზნით შეასრულებენ კომუნიზმის სკოლის ამოცანას და მასებთან პარტიის დამაკავშირებელ როლს პროლეტარიატის გაშლილი სოციალისტური შეტევის პირობებში.

ფრაქცია ფიქრობს, რომ პარტიის გადამჭრელი ბრძოლა მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ აუცილებელ პირობას წარმოადგენს სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის ხუთწლიანი გეგმის შესრულებისა და პროლეტარიატის სოციალისტური შეტევისათვის ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის ფესვების აღმოფხვრის გზით. საკავშირო პროფსაბჭოს ფრაქცია დარწმუნებულია, რომ კომუნისტი პროფმუშაკები მტკიცე, გადამწყვეტ დახმარებას აღმოუჩენენ პარტიას ამ საქმეში და თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში უზრუნველყოფენ პროლეტარიატის მილიონიანი მასების უსაზღვრო ნდობას პარტიისა და მისი ლენინური შტაბის—ცეკას მიმართ.

მოსკოვი.

გადმოცემულია ტელეგრაფით.

რომ ვარშა-
ემიგრაციის
რიტორიაზე,

ვეურები, უდავოა, ამ შემთხვევაში იმ გარეშე ძალებთან შეთანხმებით მოქმედებენ, რომელნიც ჩვენი საერთაშორისო

თავისი ქონებისა და მიწის კოლექტივში შემოტანას?".

აქ ცხადია, რომ გულუბრყვილო კითხვის სახით ავტორს სურს გაატაროს სოციალიზმში „კულაკის მშვიდობიანი შეზრდის" თეორია. არ შეიძლება, — შეკითხვის შემომტანმა არ იცოდეს, რომ საერთოდ, არ არსებობენ ისეთი კულაკები, რომლებიც „ჩვენს ხაზზე დადგებიან", ან „მოისურვებენ ქონებისა და მიწების შემოტანას". ჩვენი გამოცდილებიდან სოფელში კლასობრივი ბრძოლის დარგში ჩვენ ვიცით, რომ კულაკი არა თუ არ შემოდის კოლმეურნეობაში, არამედ ყოველის ღონისძიებით სცდილობს მის დანგრევას და თვით სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის იდეის სახელის გატეხას ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებში, რადგან კოლექტივიზაციის განვითარება მოასწავებს კულაკური მეურნეობის დაღუპვას, და, მაშასადამე, ჩვენს ქვეყანაში „კაპიტალიზმის ძირიან - ფესვიანად აღმოფხვრას".

მეორე ბარათის ავტორი ფიქრობს, რომ „საკმარისია კულაკი ჩაბმული იქნას კოლმეურნეობაში" (ავტორი განცვიფრებით კითხულობს: რათ არ შეიძლება კულაკის მიღება კოლმეურნეობაში?), და მისი „ფსიხოლოგიაც შეიცვლებაო". მაშასადამე, არ არის საჭირო კულაკთან ბრძოლა, ის თვითონ მოვა კოლმეურნეობაში, დასთმობს ქონებას, ცოცხალსა და მკვდარ ინვენტარს, მიწას, „შეიცვლის" ფსიხოლოგიას და „კოლექტივისტი - კომუნისტი" გახდება.

ასეთს თეორიას არაფერი საერთო არა აქვს პარტიის ხაზთან და ის სრულიად გადაჭრით უნდა უარყოფილი იქნას.

არა ნაკლებ დამახასიათებელია შეკითხვა, რომელშიაც ნათქვამია, რომ „რაც უფრო ვიშორებთ ჩვენ ნეპმანს, მით უფრო ძვირდება პროდუქტები და, საერთოდ, მთელი ცხოვრება"-ო.

კომუნისტი, რომელიც ფიქრობს, რომ ჩვენი დროებითი სამეურნეო სიძნელეების მიზეზი ნეპმანის მოშორებაა, და რომელიც მოითხოვს არ შეავიწროონ იგი, ყველა-

გამათრახებაც იქნებოდა. ზედმეტია იმის განმარტება, რომ ერთა ლიგას,

დღეს, 11 ივნისს, საღ. 6 საათზე შესდგება სახელმწიფო უნივერსიტეტის **სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის კომუჯრედის ბიუროს სხდომა.** წევრ-კანდიდატთა დაუგვიანებლად დასწრება სავალდებულოა.

სხდომაზე უნდა გამოცხადდნენ აგრეთვე ამხ. კარლო ორაგველიძე, გ. კვიცარიძე და პარტიაში მისაღებად მამაცაშვილი ნიკოლოზ, ცომაია ევტიხი, შავდია ბაგრატი. სხდომა შესდგება ბიურო-კოლექტივში.

დღეს, 11 ივნისს, საღამოს 6 საათზე შესდგება **სახ. უნ-ტის კომკავშირის და პარტიის უჯრედთა გაერთიანებული კრება.** დასწრება წევრ-კანდიდატებისათვის სავალდებულოა. კრება შესდგება სტუდენტთა კლუბში.

სახ. უნ-ტის ა.ლ.კ.კ. ბიურო კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, 11 ივნისს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია მსუბუქი კავალერიის წევრთა საერთო კრება. წევრების დასწრება სავალდებულოა.

ბიურო-კოლექტივის სხდომა აქტივთან ერთად შესდგება დღეს, 11 ივნისს, დღის პირველ საათზე. ბიურო-კოლექტივის წევრ-კანდიდატების და ცალკე უჯრედთა ბიუროს წევრების დასწრება სავალდებულოა, აგრეთვე შეუძლიათ დაესწრონ დაინტერესებულ ამხანაგებს აქტივიდან.

სახ. უნ-ტის ოდონტოლოგიური ინსტიტ. ა.ლ.კ.კ. უჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, 11 ივნისს, საღამოს 5 საათზე.

ბიუროს წევრების დასწრება სავალდებულოა. დღესვე, საღ. 7 საათზე, შესდგება უჯრედის მორიგი კრება. დასწრება სავალდებულოა.

სახ. უნ-ტის ა.ლ.კ.კ. № 5 უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ სწარმოებს საზ. არჩევნებისათვის შევსებულ სტუდენტთა რეგისტრაცია. ბიუროში უნდა გამოცხადდნენ ის ამხანაგები, რომლებიც მიდიან სოფლად და უნდა წაიღონ სამუშაო ანკეტები. აგრეთვე უნდა გამოცხადდნენ ისინიც, ვინც რჩება ადგილობრივ, რომ გატარდნენ აღრიცხვაში.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 11 ივნისი

დღეს, თბილისის რადიო-ცენტრი გადასცემს შემდეგ პროგრამას:

საღამოს 6 საათიდან —პიონერისა და მოსწავლის საათი— ქართულ ენაზე; რადიო-გაზეთი— ქართულ ენაზე; გაზეთი „პროლეტარი" რადიოთი, — სომხურ ენაზე; ლექცია სამეცნიერო - საბუნებისმეტყველო ციკლიდან — ქართულ ენაზე; დროის შემოწმება და ამინდის ბიულეტენი.

საღამოს 8 საათიდან — კომკავშირელების რადიო-გაზეთი — რუსულ ენაზე; რადიოს მეგობართა საათი (ტეხნიკური კონსულტაცია); კონცერტი თემატიური ციკლიდან—„საპროგრამო მუსიკა"; რადიო-გადაცემათა კვირეული პროგრამის გადაცემა ესპერანტოს ენაზე; კონცერტის გაგრძელება; უკანასკნელი ამბები.

ანგარიშის გამო.
მიღებულ რეზოლი
რენცია გადაჭრით ვ
ტუნისტების მოქმედე
ხაზს უსვამს იმ გარე
ოსეთის პარტორგანიზ
სასოფლო მეურნეობი
და კოლექტივიზაცი
ვინაიდან პარტორგ
ელემენტები, რომლებ
სებენ გლეხობის ფენე
მეურნეობის ახალ საფ
კონფერენცია გადაუდ
ამგვარ ვაწყობილებე
დასასრულ კონფერე
ლობაზე გასაგზავნად
დამწყვეტი ხმით და 5
ჩეულთა შორის არიან
შვილი, ჯატიევი, კ

ახალქ

ახალქალაქი, 10
თეატრის შენობაში გ
პარტკონფერენცია.
დღის წესრიგი: 1)
კონფერენციის შედეგ
მათიკაშვილი), 2) სამ
ძიებანი საკავშირო
იმ გადაწყვეტილებათ
რომლებიც შეეხებიან
ტიის (ბ) მუშაობას,

სამშაბათს,

საქართველ

რაიკომთა

დ

1. პარტიის
მჯდომარი
რატის წმენ

დედა ნატალია დიდიძისა, მეუღლე ტიმოთე მაღლაფერიძე უდროოთ დაობლებული პატარა ბავშვებით—ლილი, გელა და ელგუჯათი, ძმა კიკილია დიდიძე ცოლშვილით, მაზლი გიორგი მაღლაფერიძე ცოლშვილით და სიძეები: რაჟდენ მიქაბერიძე და ანეპოლისტე ბოჭორიშვილი თავიანთი ცოლშვილით, მწუხარებით აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს პირველი საყვარელი შვილის, მეორე უძვირფასესი მეუღლის, მესამე ძვირფასი დის, ხოლო დანარჩენები დაუვიწყარი რძალის

თამარ გრიგოლის ასული დიდიძე-მაღლაფერიძის

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან, კალინინის ქუჩა № 33, 11 ივნისს ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. (შ)

დედა ნატალია, და ნინა, ძმა სევასტი და სიძე ლევან გვარამაძე მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს

თამარ დიდიძე-მაღლაფერიძის

უდროოთ დაკარგვას. გამოსვენება ივნისის 11, 4 ნახ. საათზე ბინიდან, კალინინის ქ. № 33. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2156

ლიუბა გაგუა, ლიზა ექსანიშვილი, ლიდა კიკაჩეიშვილი, ვარო ჩეჩელაშვილი, მარო ყორყოლიანი, დორა თოფურიძე, ანნა სემიონოვა, მიშა მანჯავიძე, ნინო ენაგელი და გიორგი მენაღარაშვილი ვგლოვობთ იშვიათი მეგობრის და ადამიანის

თამარ დიდიძე-მაღლაფერიძის

უდროოდ დაკარგვას. (ე)

ახლო მეგობრები ოლია ნუცუბიძე, სოფიკო ჩხიკვიშვილი ვალია ჯაფარიძე, ელენა ხაცვალაძე, ნუცა გენძეხაძე, ბაცუ კაკაბაძე და თამარ ჯანაშვილი სტირიან ძვირფას ამხანაგის და მეგობრის

თამარ დიდიძის ასული მაღლაფერიძის

უდროოდ დაკარგვას. (ე)

გულდაწყვეტილი მეგობრები: კორნელი ჯულელი, სოსო ქარუმიძე, ვლადიმერ კანდელაკი, ბიქტორ კაჭარავა, ნატალია ვაშაკიძე, ალექსი გერმანაშვილი, ნინო პაიჭაძე, ნონა მანჯავიძე, მარგალიტა კვალიაშვილი, ნადია ფრანგიშვილი აუწყებენ საზოგადოებას მათთვის დაუვიწყარ მეგობრის მასწავლებელ

თამარ დიდიძის

უდროოთ დაკარგვას. 2160

მიშა პატარიძე, ნინო გოგავა, მარგალიტა მესრიკაძე, ირაკლი კუპრაშვილი, ოლიმპიადა ჯინორიძე, მარო ვაშაკიძე, იონა თოდუა, კოტე ჩარკვიანი, დათიკო ნუცუბიძე, ლიძონიძე, შალვა ნუცუბიძე აუწყებენ საზოგადოებას ახალგაზრდა, ენერგიით სავსე მეგობრის მასწავლებელ

ამარ დიდიძის

უდროოთ დაკარგვას. 2161

სახალხო კომისარიატის რკინის გზის სოც. აღზრდის განყოფილება ღრმა
ამოსთქვამს რკინის გზის მე-6 შრომის სკოლის ახალგაზრდა და ენერგიულ მასწავლებლის

არ დიდიძის

გარდაცვალების გამო. 2155

უშაკთა კავშირის მე-29 ადგილკომი, თბილისის რკინის გზის მე-4 სკოლნატის პედ. საბჭო ინტ. მოწაფეებით მწუხარებით აუწყებენ საზოგაა. წ. 8 ივნისს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მასწავლებელი

დიდიძის ასული მაღლაფერიძისა

დაკრძალვა სამშაბათს, 11 ივნისს, 4 ნახ. საათზე. 2163

გზ. მე-6 შრ. სკოლის პედაგოგიური საბჭო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას და ნაცნობ-მეგობართ

დიდიძის ასული მაღლაფერიძის

უდროოდ გარდაცვალებას. 2151

ს პირველი კერის თანამშრომელნი დასტირიან ძვირფასი ამხანაგის

ამარა დიდიძის

უდროოდ გარდაცვალებას. (შ)

სკოლის მე-8 ჯგუფის მოწაფეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგაას პატივცემულ მასწავლებლის ტიმოთე მაღლაფერიძის მეუღლის

თამარის

გარდაცვალებას. 2162

ს სკოლის მასწავლებლები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ამავე სკოლის მასწავლებლის ტიმოთე მაღლაფერიძის მეუღლის

თამარის

უდროოდ გარდაცვალებას. 2165

ღრმად დამწუხრებულნი: მამა რომანოზ, მეუღლე თამარ, შვილები: დავით და ია, რძალი თინათინ და პატარა შვილიშვილი ლიიკო აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ გუშინ, 10 ივნისს, საღამოს 5 საათზე ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი უძვირფასესი

სერგი რომანოზის-ძე გორგაძე

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (ე)

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 10 ივნისს გარდაიცვალა საზოგადოების წევრი—დამფუძნებელი და საბჭოს წევრი, ისტორიკოსი

სერგი გორგაძე

(ე)

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ალექსანდრე შვილით ბიჭუკათი, დები, სიძეები, რძალი და დისშვილები აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

აგრაფინა ბესარიონის ასული აბაშიძისა

დაკრძალვა 12 ივნისს, ნაშუადღევის 5 საათზე, ქ. ზესტაფონში. 2164

არაჩვეულებრივი ფილმი
დ. ფურმანოვის
მოთხრობის მიხედვით
ამბოხება

მალე
საუკეთესო
კინოებში

საუკეთესო სურათი
დიდი
ქალაქის
სიმფონია

სახკინმრეწვის კინოები

საზაფხულო ეთერი	მსოფლიო ფილმი **ჩიკაგო**
სოლეი	
საზაფხულო აპოლო	უცხოეთის ახალი ფილმი **მწვანე შესახვევი** დადგმა რიხარდ ოსვალდის
კალასი	პატი და პატაშონი ყველაზე მხიარულ კომედიაში **ქალა და სილამაზე**
მინიონი	მხოლოდ 2 დღეს **კოშკი**
აპოლო	მხატვრული ფილმი **მიკიტანი ტანია** რეჟ. სვეტოზაროვი

მალე 2 ჯავშნოსანი, ამბოხება, დიდი ქალაქის სიმფონია

მაქვს სამი ოთახი სივრცით 93 მეტრი
19 თებერვლის ქ. № 3 მე-2 სართულში მინდა
გადავცვალო ორ-სამ 60—70 მეტრის სივრციან ოთახზე, მდებარე I, II ან III სამილიციო რაიონში.
ნახვა შეიძლება ნაშუადღევის 3—6 საათამდე
—9 **სერგო ქავთარაძე**

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვისპროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—1

ექ. **დ. ლ. თევზაძე**
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოუშლილობანი ხმის და მეტყველებისა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: საღამოს 5—7 საათ
გარდა კვირა დღეებისა.
ტელ. №2—73 25—6 124-50

ცნობა საქ. ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედ
— ყველა —
სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო სავაჭრო-სამრეწველო და საშინამრეწველო საწარმოთა საყურადღებოდ, რომ საქ. ს. ს. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სავალდებულო დადგენილებაში (№ 01612 ა. წ. 25/V) აღნიშნული ვაჭრობისა და მეცადინეობის საათების მაჩვენებელ-ცხრილების დამზადებისა და საწარმოთათვის მიწოდების უფლება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მისცა მხოლოდ საზოგადოება „წერა-კითხვა"-ს.
სტანდარტული ერთფეროვანი შტამპიანი ლითონის ცხრილის ნიმუში დამტკიცებულია საქ. ს. ს. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის მიერ ა. წ. 7 ივნისს.
ცხრილი ღირს 2 მანეთი
მაჩვენებელი—ცხრილის მეორე მხარეზე აუცილებლად არის ნიშანი საზოგადოება „წერა კითხვა"-ს ბეჭედით.
საქ. ს. ს. რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე საწარმოებს ცხრილებს აწვდიან საზოგადოება „წერა-კითხვა"-ს სპეციალური რწმუნებულები საზოგადოების ბეჭედ დასმული ქვითარებით.
საწარმოებისათვის მაჩვენებლების მიწოდება დაიწყება: ქალაქ თბილისში 8 ივნისიდან, მაზრებში 15 ივნისიდან, აფხაზეთში, აჭარისტანში და სამხრეთ-ოსეთში ა. წ. 12 ივნისიდან.
საზოგადოება „წერა-კითხვა"-ს ცენტრალური გამგეობა.

თანახმად საქ. სოც. უზრ. სახ. კომისარიატის დადგენილებისა № 12 ა/წ. 8 ივნისის თარიღით
ინვალიდთა კოოპერატიული არტელი „გურ-სამეგი"
(გურია სამეგრელო) **გაუქმებულია**
ყველა პრეტენზიები ინვალიდთა კოოპერატიულ არტელის „გურ-სამეგი"-ს მიმართ უნდა წარმოდგენილი იქნეს ა/წ. 15 ივლისამდე შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, ძნელაძის ქ. № 30 (ყოფ. საპიორის) სალიკვიდაციო კომისიას
აღნიშნულ დროის გასვლის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ მიიღება.
2167 სალიკვიდაციო კომისია

„კომუნისტი"-ს
წლიური („კაპიტალი"-ს დამატებით)
ხელისმომწერლების
საყურადღებოდ
გაზეთ „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა აცხადებს, რომ ვისაც არ აქვს გადახდილი მორიგი (ივნისის თვის) შემოსატანი თანხა, მათ ამა ივნისის 15-დან შეუწყდება გაზეთების გზავნა. 3—1

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად **ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა**
მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29
ელსმენი—11—78.

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
სიფილისი, სუსუნატი (მისი გართულებანი) **და კანის სნეულებანი.**
მიღება: დილის 7—7 ნახ. საათ.
საღამ. 6—7 საათ. ქალები
7—9 საათ. კაცები
მარტის ქ. (ყ. ბოგოსლოვის) № 6, (გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აფთიაქთან).
25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე
ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„**სილამაზის ინსტიტუტი**"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტროაპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25

ექიმი —ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს
(ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე. მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექიმი
მ. გ. შახნაზაროვი
სპეციალურად
სიფილისი, „914" შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი
ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასნოგოროის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს
ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოე"-ს), პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8.

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ
კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.

ქ. ქუთაისში
ექიმი
დ. ა. ჩეჩელაშვილი
იღებს სპეციალურად ფილტვების ავადმყოფებს
დილის 8—12 საათამდე. ჭავჭავაძის ქუჩა № 4 ცეცხლის მქრობელ რაზმის გვერდით. 25—1

პროფ. გრ. მ. მუხაძე
თბილისიდან წასულია და დაბრუნდება 20 ივნისს. 13—1

ექიმი
კ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) **სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.**
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—1

დაკარგვი: ოზურგეთის მთლიან მუშათა კოოპერატივიდან გაცემული საწევრო წიგნაკი № 2783 სოლომონ ალექსანდრ_ს-ძე მასხულიას სახელზე, ჩ. გ. 2159

დაკარგვი: პურის წიგნაკი № 125 გრიშა კარაპეტოვის სახელზე, ჩ. გ. 2159

დაკარგვი: პურის წიგნაკი № 3627 კონსტანტინე გიორგის-ძე რატიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2157

დაკარგვი: პურის წიგნაკი № 1601 ივანე გიორგის ძე რატიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2158

დაკარგვი: პირადობის მოწმობა და მეტრიკული ამონაწერი ხარიტონ იოსების-ძე ნიკოლაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2154

დაკარგვი: მუშკოოპის წიგნაკი № 28446 ანდრია იულონის-ძე დგებუაძის სახელზე, ჩ. გ. 2151

დაკარგვი: სამხედრო აღრიცხვის ბარათი დავით პაპელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2151

ტირაჟი—39.072 პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 64 მთავლიტი № 904.